საქართველოს რესპუბლიკა



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 31 მაისი, 2006 წელი.

№ 103 (5444)

იმისთანა ჭმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჭიჩებით ბეჩთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

ყურადღება, ახალგაზრდებო!

აბიტურიენტთათვის, ვინც საუმაღლესოდ ემზადება

თვეზე ოდნავ მეტი დრო დარჩა უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებამდე. როგორ ჩატარდება წლევანდელი გამოცდები, რომელ უმაღლეს სასწავლებელში რამდენია მისაღები და რამდენად სერიოზული კონკურენცია იქნება, როგორ უნდა შესრულდეს ტესტური დავალებები? – ამ და სხვა საკითხებზე რედაქციაში ხშირად ისმის ტელეფონის ზარი და შემოდის მკითხველთა წერილები.

რედაქცია ხვალინდელი ნომრიდან იწყებს საკონსულტაციო ხასიათის მასალების ბეჭდვას, რომლებიც აბიტურიენტებს დაეხმარება გამოცდების ჩაბარებაში. პირველად შემოგთავაზებთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში (ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა) ტესტურ დავალებათა შესრულების აღწერას. შემდეგ ამას მოჰყვება ანალოგიური ხასიათის მასალების ბეჭდვა ისტორიაში, ქართული ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენებში და დანარჩენ საგნებში.

ხვალიდან თვალი ადევნეთ ჩვენი გაზეთის ნომრებს, ძვირფასო აბიტურიენტებო, წარმატებებს გისურვებთ გამოცდებზე!

ნეტა, რამდენ სანს მოგვიწევს აქეროინტ-ენგურის საზღვრის გადაჭრა?!

იხ. მე-5 გვ.

ადმინაშაჯური ონდა დაისაჯონ

იხ. მე-2 გვ.

ანაბრები მგლებსაც აღარ ახსოვთ

იხ. მე-3 გვ.

საქმის მოთავე ბილ კლინტონი იყო

იხ. მე-10 გვ.

❖

მალე ფოლადიც გადმოდულდება...

იხ. მე-4-6 გვ.

❖

როლის გაჩნდა „კანონიერი ქურდი?“

იხ. მე-4-6 გვ.

❖

კოსმოსი ფრინველის გრიპის ფინაალზეგ

იხ. მე-16 გვ.

ოსეოვნაურ სუალონს მიერ სეფრიფვ�ეშენეს

იხ. მე-13 გვ.

◎ რას არ გაიგონებ!

თაღლითობა „ჰუმანიზმით“

დავითაშვილის სახელით პენსიონერებს ფულს სძალავენ

კოგა დავითაშვილის ნათქვამით გაირკვა, რომ თურგე ოპოზიციის სახელით ჯიბის ფულის შოვნა შეიძლება. კონსერვატორების ლიდერს შეატყობინეს, შენი სახელით თაღლითების ჯგუფი პენსიონერებს 3-5 ლარს სძალავსო. სცენარი ასეთია: რომელიმე გაჭირვებულ პენსიონერს ერთ-ერთი თაღლითი ატყობინებს, რომ დავითაშვილმა მას გამოუყო დახმარება (ვთქვათ, ოთხმოცი ლარი, დამატებით – ოცი ლარის ღირებულების სურსათით, რომლის ტრანსპორტირებისთვისაც გარკვეული თანხაა საჭირო. გახარებული პენსიონერი არც იმაზე ფიქრობს, თუ ასი ლარით ეხმარება პოლიტიკოსი, სამი ლარი როგორ ვერ გამოქმედა ტრანსპორტირებისთვის, არც სხვა საეჭვო გარემოებებს აქცევს ყურადღებას და თაღლითს დანდობილად აკლევს მოთხოვნილ თანხას. ასე, დახმარების მომლოდინე თავისი პენსიიდან გადანახულ სამ თუ ხუთ ლარსაც კარგავს.

კოგა დავითაშვილის თქმით, ისეთი შემთხვევებიც ყოფილა, როცა „დახმარების“ მისალებად პენსიონერი ვითომ კონსერვატიული პარტიის ოფისში გაუგზავნიათ და მისი გინა გაუქერდავთ.

მსგავსი ინფორმაცია კონსერვატორებს მხოლოდ თბილისის სხვადასხვა უბნიდან მიუვიდათ, მაგრამ დავითაშვილი არ გამორიცხავს, რომ თაღლითები შესაძლოა, რეგიონებშიც მოქმედებდნენ. ერთ-ერთი დაზარალებულის თქმით, კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარის სახელით მას ფული შუახნის ქალბატონმა გამოსძალა.

სამწუხაროდ, ბევრი პენსიონერი აღმოჩნდა მიმნდობი, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც დაეჭვდნენ და თაღლითისთვის ფულის მიცემის ნაცვლად კონსერვატორებს დაუკავშირდნენ. ასე გაირკვა თაღლითთა არსებობა. კონსერვატორებმა სამართალდამცავებს მიმართეს, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

მოგეხსენებათ, ჟურნალისტებს ეჭვი პროფესიად გვაქვს ქცეული, ამიტომ გაჩნდა კითხვა: მსგავსი ქმედებები ხუთი ლარის საშოვნელად კი არა, კონსერვატორებისთვის სახელის გატეხვისთვის ხომ არ არის გამიზნული. კოგა დავითაშვილისთვის ძნელი წარმოსადგენი აღმოჩნდა, ხელისუფლებამ ამგვარ ხერხს მიმართოს, თუმცა, არაფერს გამორიცხავს.

დაბოლოს, კონსერვატორთა ლიდერი პენსიონერებს მიმართავს თხოვნით, არავის ენდონ და არც ერთი თეთრი არ გადაუხადონ მათთან ოპოზიციონერთა სახელით მისულ თაღლითებს.

ნადუსურ გოგუა

◎ რკინიგზა

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიამ აფხაზეთის გავლით საქართველო-რუსეთის დამაკავშირებელ რკინიგზაზე მიმოსვლის აღდგენის საკითხი განიხილა. სხდომაზე მიწვეული იყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელი ირაკლი ეზუგბაია.

ირაკლი ეზუგბაიას მოხსენებიდან ვერაფერი გავიგეთო, – ასეთია ზოგიერთი დეპუტატის აზრი

კომისიის სხდომის დაწყებამდეზუგბაიამ განაცხადა, რომ აფხაზეთის სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა კონსორციუმს 250 მილიონ დოლარამდე დაუჯდება. შეგახსენებთ, რომ გასული წლის მაისში მოსკოვში რუსეთის, საქართველოს, სომხეთისა და აფხაზეთის რკინიგზელთა ოთხმხრივ შეხვედრაზე გადაწყდა, სოჭი-ინგირის სარკინიგზო მონაკვეთის აღსადგენად საერთაშორისო კონსორციუმი შექმნილიყო. დამფუძნებლები არიან საქართველო, რუსეთი, სომხეთი და აფხაზური მხარე.

ირაკლი ეზუგბაიას კონსორციუმის ჩამოყალიბების მექანიზმების შემუშავება დავალა. გუშინ დეპუტატებისთვის მას ის ტექნიკური დეტალები უნდა გაეცნო, რომლებიც „საქართველოს რკინიგზის“ კომპეტენციაში შედის. მიუხედავად იმისა, რომ ეზუგბაიას განცხადებით, ეს დეტალები საიდუმლოს არ წარმოადგენდა, საჭიროდ ჩათვალა, სხდომა დახურულიყო. მართალია, სხდომის დახურვა-არდახურვის საკითხის გადაწყვეტის უფლება, რეგლამენტის თანახმად, ეზუგბაიას კი არა, თავად დეპუტატებს ეჭიჭებათ, მაგრამ კომისიის თავმჯდომარე შოთა მალაშხია მას უსიტყვოდ დაეთანხმა.

რომან კუსიანს გუნებრივად გაუჩნდა კითხვა, იყო თუ არა საიდუმლო ის ინფორმაცია, რომელიც რკინიგზის ხელმძღვანელს კომისიისთვის უნდა მიეწოდებინა. უარყოფითი პასუხის მილების შემდეგ კუსიანმა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში სხდომის დახურვის მიზეზი არ არსებობდა. კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრა ჩაატარა. დეპუტატთა უმრავლესობამ ღია რეჟიმში მუშაობა მოისურვა, მაგრამ შოთა მალაშხიამ კენჭისყრის შედეგი არად ჩააგდო და სხდომის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო.

დარბაზიდან წუთმეტსვენეგისთვის გამოსული დეპუტატები ჟურნალისტებს ბევრს ვერაფერს ეუბნებოდნენ. ბადრი ხატიძემ თქვა, ეზუგბაიას მოხსენებიდან ვერაფერი გავიგეთ, ვინ ბაიბურთმა კი ჩვენთან საუბრისას ასეთი პარალელი გაავლო:

– ღამით ცოლ-ქმარი საძინებლის კარს ხომ ვერავის გაულებს, ასევე, ჩვენც ვერ მოგიყვებით, რა ხდება დარბაზში.

ცოტა უცნაურია, კომისიის სხდომა რით დამთავრდა ზემოთ აღნიშნულ საყოფაცხოვრებო სცენას, მაგრამ თუ დეპუტატებს ასეთი ასოციაციები ეგადებათ, მათი ნებაა...

მოკლედ, სხდომის „ინტიმურ გარემოში“ არ შეგვახედეს, მაგრამ ის კი შეიძლება გითხრათ, რომ აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები კონსორციუმის შექმნას ნაჩქარევად მიიჩნევენ. ანზორ წოწონავას აზრით, სჯობდა, ჯერ საავტომობილო გზაზე აღდგენილიყო მიმოსვლა. ეს ეკონომიკური თვალსაზრისით გაცილებით მომგებიანი იქნებოდა, რადგან ამ შემთხვევაში, რკინიგზის აღდგენისგან განსხვავებით, მილიონობით ლარის დახარჯვა არ იქნებოდა საჭირო.

ბოლოს ერთ კულუარულ ინფორმაციასაც გაგანდობთ. რაკი კონსორციუმი ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ, ამბობენ, რომ მხარეები უკვე შეთანხმდნენ ასეთ წილობრივ გადანაწილებაზე: რუსეთს 50 პროცენტი, საქართველოსა და აფხაზეთს – ოცოცი, სომხეთს – ათი.

რუსუდან გახარია

◎ ინფორმაცია

უკონტროლო შეიარაღების გამო

ვენაში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულების რიგით მესამე განხილვითი კონფერენცია ტარდება. კონფერენციაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციაც მონაწილეობს, რომელსაც მინისტრის პირველი მოადგილე მამუკა კუდავა ხელმძღვანელობს. თავდაცვის სამინისტროში განაცხადეს, რომ კონფერენციის მსვლელობისას ხელშეკრულების იმპლემენტაციის ასპექტებს განიხილავენ.

საქართველოს დელეგაციამ ყურადღება ორ პრიორიტეტულ საკითხზე გააამახვილა. რუსეთის გაზების გაყვანის თარგაზე 1999 წლის სტამბოლის სამიტის ვალდებულებებზე საუბრისას აღინიშნა, რომ მიღწეულია გარკვეული პროგრამესი. კერძოდ, მიმდინარე წლის 31 მარტს ხელი მოეწერა რუსეთის გაზების გაყვანის შეთანხმებას და გრაფიკის მიხედვით სრულდება ახალქალაქისა და გათუმის გაზების დახურვის პროცესი. ამავე დროს, ქართულმა მხარემ საზგასმით დააფიქსირა საქართველოს ოფიციალური პოზიცია, რომლის თანახმად, გუდაუთის გაზის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით რუსეთის მიერ აღებული ვალდებულება შესრულებულად არ ჩაითვლება მანამდე, ვიდრე გაზის ტერიტორიაზე თუნდაც ერთი სამხედრო მოსამსახურე ან შეიარაღების ერთი ერთეული დარჩება.

ქართული მხარის განცხადებით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში არ არის დაცული ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების ხელშეკრულებით განსაზღვრული ლიმიტები და განლაგებულია მაქიმე შეიარაღების დიდი რაოდენობა, რაც რეგულარულად დასტურდება ფაქტებით, კერძოდ ეუთოს მონიტორინგის მიერ. ამ უკონტროლო შეიარაღების არსებობა კი წარმოადგენს ცნობილი ხელშეკრულების უხეშ დარღვევას.

ინტერპრესნიუსი

◎ კონფლიქტის ზონა

დამნაშავე დამნაშავეა, გინდა ქართველი იყოს, გინდა ოსი

სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება შეშფოთებულია ცხინვალის ტერიტორიაზე ქართული სპეცდანაყოფების გამოჩენით. ამის შესახებ შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ გორის ჩოჩიევმა საგანგებო „როსგალტს“ განუცხადა. მისი თქმით, უახლოეს დღეებში „სამხრეთ ოსეტის“ ტერიტორიაზე რუსეთის სამშვიდოგო გატალიონის როტაცია იგეგმება და „საქართველოს ხელისუფლება ყველა ზომას მიმართავს რესუბლიკაში სიტუაციის დესტაბილიზაციისთვის“.

ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ნაწილის შტაბში აცხადებენ, საქართველოს ხელისუფლება შეიცდება ჩაშალოს რუსი სამშვიდოგოების როტაცია. „საქართველოს შსს-ს ძვლადანაყოფები სამხრეთ ოსეთის გზების ბლოკირებისთვის ემზადებიან. ასევე ცნობილია, რომ მზადდება პროვოკაცია სოფლებში-კეხვსა და თამარაშენში, რათა აიძულონ რუსი სამშვიდოგოები ცეცხლი გახსნან ჩრდილოეთ საქართველოს ანკლავის დასახლებებზე ჯუნეტებში“, – აღნიშნულია „როსგალტის“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

სახალხო დამცველი სოზარ სუგარი და კონფლიქტების დარეგულირების საკითხში სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსი მოქალაქეების მიმართ ქართველი პოლიციელების მიერ ჩადენილ დანაშაულს ადასტურებენ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობისგან დამნაშავე პოლიციელების დასჯას მოითხოვენ. ამის შესახებ განცხადებები სახალხო დამცველმა სოზარ სუგარმა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ოსი მოქალაქეების მონახულების შემდეგ გააკეთეს.

გიორგი ხაინდრავას განცხადებით, ცხინვალის ხელისუფლების შინაგანსაქმეთა მინისტრ მიხეილ მინაძეებთან, დე ფაქტოსაგანგებოსაქმეთა მინისტრ ბორის ჩოჩიევთან შეხვედრებმა, ასევე ცხინვალის რეგიონში ქართველი სამართალდამცავების მიერ ნაცემი ოსი მოქალაქეების მონახულებამ იგი დაარწმუნა, რომ ქართველმა სამართალდამცავებმა ოს მოქალაქეებს უსამართლოდ მოეძებნენ.

მათ ასევე მოინახულეს ფრონეს ხეოგის სოფელ არაკნეთთან ოსების მიერ სასტიკად ნაცემი ილია და სერგო ტოროშიძეები, ხაზგი ჟავჭავაძე და იური ტყემალაძე. მინივეთქმით, ქართველი სამართალდამცავები ყველა ღონეს იხმარენ ეროვნებით ქართველი მოქალაქეების ცემაში ეჭვმიტანილი კრიმინალების, ძმები გაზაევების დასაკავებლად, მაგრამ ქართულმა მხარემ გორის პოლიციაში უდანაშაულო ოსი მოქალაქეების ცემაში დამნაშავე პოლიციელებსაც უნდა აგებინოს პასუხი.

სახელმწიფო მინისტრის მოსაზრებებს სრულად ეთანხმება სახალხო დამცველი სოზარ სუგარი, რომლის აზრით, ქართველ პოლიციელთა მხრიდან მათი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები ეჭვს არ იწვევს და შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულ პოლიციელებს უკანონო მოქმედებებისთვის პასუხი უნდა აგებინოს.

* * *

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 27 მაისს მომხდარ ინციდენტზე პასუხისმგებლობას საქართველოს აკისრებს. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 27 მაისს საქართველოს სპეციალური დანაყოფების შეყვანა ყველა შეთანხმების დარღვევა და პროვოკაციაა. ასეთი განცხადება გააკეთა 30 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. ქართული მხარის მოქმედებები კონფლიქტის ზონაში სიტუაციის გამწვავებისკენაა მიმართული. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხეილ კამინინმა განუცხადა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფლობს ინფორმაციას, რომ 27 მაისს კონფლიქტის ზონაში უეცრადქმნა შეყვანილი საქართველოს სპეციალური დანაყოფები. კამინინის თქმით, ამის შედეგად გლოკირები ული იყვნენ მუდმივი შერეული ქალები, რომლებიც რუსი სამშვიდოგოებითაა დაკომპლექტებული.

„მხოლოდ რუსი მშვიდოგისმყოფელების ამტანობის წყალობით გახდა შესაძლებელი სცენარის უარესი განვითარებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება“, – განაცხადა კამინინმა. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსეთი შეშფოთებას გამოხატავს შექმნილი სიტუაციის გამო და აფრთხილებს საქართველოს, რომ პასუხისმგებლობა ყველა ანალოგიურ მოქმედებაზე, რომელიც კონფლიქტის ზონაში დაქაბულობის ესკალაციისაკენ იქნება მიმართული, ქართულ მხარეს ეკისრება. ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 27 მაისს მორიგი ინციდენტი მოხდა. სამშვიდოგო ძალების ოსური გატალიონის წარმომადგენლებმა ცხინვალის შესასვლელთან დიდი ლიახვის ხიდზე ოსეთ აჩაბეთში მცხოვრები რვა ქართველი დააკავეს, თუმცა, რამდენიმე საათის შემდეგ გაათავისუფლეს.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შს მინისტრის მიხეილ მინაძის განცხადებით, ქართულმა მხარემ ამის სანაცვლოდ 36 ოსი ეროვნების მოქალაქე აიყვანა. გავრცელებული ინფორმაციით, გორის პოლიციაში ოსი ეროვნების ადამიანები სასტიკად ცემეს. ოსური მხარე ინციდენტს ქართული მხარის მიერ მოწყობილ პროვოკაციას უწოდებს და შესაბამის რეაგირებას საქართველოს მთავრობას სთხოვენ.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ 30 მაისს საგანგებო განცხადება გაავრცელა ცხინვალის რეგიონში შერეული სამშვიდოგო ძალების რუსეთის გატალიონის როტაციასთან დაკავშირებით. საგარეო პოლიტიკური უწყება მტკიცე პროტესტს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის სამშვიდოგო გატალიონში როტაცია, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული ორმხრივი შეთანხმებებისა და შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებების უხეში დარღვევით განხორციელდა.

„არა ერთი გაფრთხილების მიუხედავად, რუსეთის მხარემ როტაცია ავიჯერადაც როკის გვირაბით ანუ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოსაზღვრის ამ მონაკვეთზე არსებული ერთადერთი ლეგიტიმური სასაზღვრო-გამშვები პუნქტის – „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ გვერდის ავლით განახორციელა. ამით კი უხეშად დაირღვა რუსეთსა და საქართველოს შორის მოქმედი სასაზღვრო და საავიზო რეჟიმი.

ინტერპრესნიუსი

საქართველოს სახელმწიფოსაზღვრის ამ მონაკვეთზე არსებული ერთადერთი ლეგიტიმური სასაზღვრო-გამშვები პუნქტის – „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ გვერდის ავლით განახორციელა, რითაც კვლავ უხეშად დაირღვა რუსეთ-საქართველოს შორის მოქმედი სასაზღვრო და საავიზო რეჟიმი“, – აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთანავე, საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამხედრონაწილების ჩანაცვლება შერეული საკონტროლო კომისიის ქართული მხარის თანათავმჯდომარესთან შეთანხმებულად ჩატარდა.

როგორც სამინისტრო აცხადებს, ქართული მხარის არა ერთი შეთავაზების მიუხედავად, რუსეთი თავს იკავებს მოლაპარაკებისგან საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ რუს მშვიდოგებისმყოფელთა საავიზო უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის მხარის ამგვარ ქმედებას განიხილავს როგორც უსატივცემულობის მორიგ გამოხატულებას ორი სახელმწიფოს ურთიერთობებსა და სამშვიდოგოპროცესში მოქმედი მექანიზმების მიმართ.

* * *

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საქართველოში რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ვლადიმერ ჩხეიძეს საპროტესტო ნოტა გადასცა. ელჩი სამინისტროში 29 მაისს დაიბარეს და ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამშვიდოგო გატალიონის პირადი შემადგენლობის როტაციის უხეშ დარღვევებით განხორციელებასთან დაკავშირებით საპროტესტო ნოტა გადასცეს.

საგარეო პოლიტიკური უწყების ინფორმაციით, რუსეთის მხარემ როტაცია როკის გვირაბით ანუ რუსეთ-საქართველოს სახელმწიფოსაზღვრის ამ მონაკვეთზე არსებული ერთადერთი ლეგიტიმური სასაზღვრო-გამშვები პუნქტის – „ყაზბეგი-ზემო ლარსის“ გვერდის ავლით განახორციელა. ამით კი უხეშად დაირღვა რუსეთსა და საქართველოს შორის მოქმედი სასაზღვრო და საავიზო რეჟიმი.

ინტერპრესნიუსი

◎ გაერო

ექსპერტთა პროგნოზი

გაეროს ექსპერტებმა ყოფილი საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკის განვითარება იწინასწარმეტყველეს. 2006 წელს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკა გაიზრდება, კერძოდ, დაფიქსირდება შემდეგი მაჩვენებლები: აზერბაიჯანის ეკონომიკა გაიზრდება 15%-ით, ყაზახეთში – 8,3%-ით, სომხეთსა და ტაჯიკეთში – 8%-ით, უკრაინასა და საქართველოში – 6%-ით, რუსეთში – 5,8%-ით, ყირგიზეთსა და თურქმენეთში – 5%-ით.

ეს პროგნოზი გააკეთეს გაეროს მოხსენების ავტორებმა. მოხსენების სათაურია – „ეკონომიკური ტენდენციები, რისკები და შესაძლებლობები ევროპული ეკონომიკური კომისიის რეგიონის ქვეყნებისთვის“.

2005 წელს ეკონომიკური ზრდის ტემპი ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში (გალტიის ქვეყნების გამოკლებით) ცოტათი შენელდა. ფოლადსა და გაბაზეზ ფასის მკვეთრი ვარდნა ნებატიურად აისახა იმ ქვეყნების ეკონომიკაზე, რომლებიც ამ პროდუქტზე არიან სპეციალიზებულნი. გაეროს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია და ნავთობის მიწოდების გაზრდა რუსეთის ეკონომიკას დინამიკურობის შენარჩუნებაში დაეხმარება. ნავთობისა და გაზის სექტორის განვითარება აზერბაიჯანსა და ყაზახეთში ინვესტიციებისა და წარმოების გაზრდას შეუწყობს ხელს. შეწყდება ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელება უკრაინაში.

მოხსენების ავტორები წინასწარმეტყველებენ, რომ ადგილი ექნება სამრეწველო პროდუქციაზე ფასების ზრდას რეგიონში, განსაკუთრებით ყაზახეთსა და უკრაინაში. აქედან გამომდინარე, არ გამორიცხავენ ინფლაციის დონის მომატებასაც ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში.

ინტერპრესნიუსი

◎ მიწისძვრა

საგარეო უწყების სამძიმარი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინდონეზიის კუნძულ იავაზე მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს ღრმა მწუხარებას 27 მაისს კუნძულ იავაზე მომხდარი შემზარავი მიწისძვრის გამო, რომელმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მთელი ქართული საზოგადოება შეძრწუნებულია ტრაგედიის მასშტაბით. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო გულწრფელ სამძიმარს უცხადებს დალუპულთა ოჯახებს.

მედიანიუსი

◎ კანონმდებლები

ანაბრები მგლებსაც აღარ ახსოვთ

მემარჯვენე ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დავით საგანელიძე ხელისუფლებას მოსახლეობისთვის ანაბრების გასტუმრების საინტერესო წინადადებას სთავაზობს. იგი ანაბრების გასტუმრებას გასასხვისებელი კომპანიების აქციებიდან მოითხოვს, რაც, მისი თქმით, იმაში გამოიხატება, რომ თუკი ხელისუფლება მსხვილი ენერგოობიექტების აქციათა ნაწილს მეანაბრეებს მიჰყიდის, ამით საქართველოში მენაბრეთა თემა საბოლოოდ დაიხურება.

დავით საგანელიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ უცხოელ ინვესტორებს გასასხვისებელი ობიექტების მთლიანი წილი არ უნდა მიჰყიდოს, რადგანაც ისინი მაინც მზად არიან, საპრივატიზაციო ნუსხაში შესული ობიექტების მხოლოდ საკონტროლო პაკეტები შეიძინონ და კომპანიები მართონ, დანარჩენი აქციები კი ხელისუფლებამ შესაძლოა საქართველოს საფონდო ბირჟაზე გაიტანოს და ამ გზით შესაძლებელი გახდება სტრატეგიული ობიექტების აქციათა მფლობელების რიცხვში ქართული კომპანიებიც მოხვდნენ: „ამით თავად ეკონომიკაც მოიგებს, რადგანაც საფონდო ბირჟები ამოქმედდება და ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა გააქტიურდება. ამასთანავე, საწარმოს აქციათა მფლობელები ხომ ქართველები იქნებიან, ჰოდა, ინვესტიციების შემოსავლისა და საერთოდ ფულის ხარჯვის პროცესი უფრო გამჭვირვალე იქნება. დღეს ამ მხრივ, სრული გაუგებრობა სუფევს და არავინ იცის, ვინ რას ყიდულობს, რადგანაც ინვესტორები რომელილაც ოფშორულ მხარეში არიან დარეგისტრირებულნი“, – აღნიშნავს დავით საგანელიძე.

რაც შეეხება სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი აქციებით მეანაბრეთა დავალიანების გასტუმრებას, „მემარჯვენეთა“ ერთ-ერთი ლიდერი დარწმუნებულია, რომ თუ ხელისუფლება ანაბრებს შიდა ვალში აიღებს და შემდეგ ამ აქციებში გაქვითავს, პრობლემა ერთიანად გადაწყდება. დავით საგანელიძე აცხადებს, რომ ასეთ პიროგებში უკვე თავად მეანაბრეს ექნება არჩევის უფლება, რომელი კონკრეტული ობიექტის აქცია შეიძინოს. ამასთან, ამ გზით ქვეყანას შესაძლებლობა ექნება იმ ერთიან სისტემაში ჩაებას, რასაც მსოფლიოს ფასიანი ქაღალდების საერთო გაზარი ჰქვია.

მზია გელენავა

„ხელისუფლებას ჩვენი დასუსტება უნდა“, –

ასე მიაჩნია ოპოზიციას

დავით კირკიტაძე ოპოზიციის გადაწყვეტილებას კომიტეტების დატოვების შესახებ, „ტინგიცოგას“ უწოდებს. უმრავლესობის წევრმა ამასთან დაკავშირებით, ამას წინათ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და წარმოადგინა მასალები, რომლის თანახმადაც, ოპოზიცია კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების პოსტებს ითხოვდა.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა „დემოკრატიული ფრონტის“ ჯერ კიდევ ბოიკოტამდელი მოთხოვნა განიხილა.

კომიტეტში 27 მარტის რიცხვით დათარიღებულ ინიციატივაზე იმსჯელეს და კომიტეტების თავმჯდომარეების მოადგილეებად ოპოზიციის წარმომადგენლების დანიშვნის აუცილებლობაზე უმრავლესობა ერთობლივად დათანხმდა. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინათ ყველასგან მოულოდნელად დავით კირკიტაძემ თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტიდან გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა, თქვა, რომ ოპოზიციის მოთხოვნა სამართლიანია და ამ თანამდებობას ის მათ უთმობს. ამ ნაბიჯს ოპოზიციის მხრიდან საპასუხო სვლა მოჰყვა – ეს იმით გამოიხატა, რომ თანამდებობები ოპოზიციის წარმომადგენლებმა კოკა გუნცაძემ და მზია თოთლაძემ დატოვეს. ასევე დატოვებს თანამდებობას გია თორთლაძე „დემოკრატიული ფრონტიდან“, რომელიც ამ თანამდებობაზე ჯერ კიდევ უმრავლესობაში ყოფნისას დანიშნა და მისი გადაყენებისთვის უმრავლესობამ კენჭისყრის მიზეზის მოსაძებნად აქამდე ვერ მოიცალა.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა კირკიტაძის ჟესტი არასერიოზულად ალიქვეს და განაცხადეს, რომ მათთვის პოლიტიკური თანამდებობებით ვაჭრობა კვლავაც დაუშვებელია.

„კირკიტაძემ თავიდანვე გავშვურად გაიგო ეს ყველაფერი. მან იფიქრა, რომ მისი თანამდებობა ოპოზიციისთვის საოცნებო თანამდებობა იყო და ამიტომ გადადგა ის ნაბიჯი, რომ თითქოს ოპოზიცია ამის შემდეგ ბოიკოტს თავს გაანებებდა, შეწყვეტდა თავის პოლიტიკურ პროტესტს და დაეუფლებოდა იმ თანამდებობას, რომელიც დავით კირკიტაძემ გამოანთავისუფლა“, – აღნიშნა ზვიად ძიძიგურამ. დავით კირკიტაძემ კი ბრიფინგზე ის დოკუმენტები აუფრიალა, რითაც „დემოკრატიული ფრონტი“ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების თანამდებობებს ითხოვდა. ოპოზიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ სწორედ კირკიტაძეს და მის მეგობრებს ჰგონიათ ხელისუფლებაში ყოფნა „ტინგიცოგა“, სწორედ ისინი „ტინგიცოგენ“, მაშინ როდესაც ქვეყანაში გაცილებით რთული სიკეთეებია გადასაწყვეტი. ერთ-ერთ ასეთ რთულ საკითხად ოპოზიცია იგორ გიორგაძის ფაქტორს მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით, „მემარჯვენეებმა“ განცხადება გააკეთეს, მათ სხვა ოპოზიციური პარტიებიც შეუერთდნენ. განცხადებაში ნათქვამია, რომ ხელისუფლება იგორ გიორგაძისგან მტრის ხატს ქმნის, რათა ამით მთლიანობაში ოპოზიციის დასუსტება მოახდინოს.

დავით გამყრელიძე, „მემარჯვენეების“ ლიდერი: „გადავწყვიტეთ დაგვფიქსირებინა ჩვენი სრული გამიჯვნა იგორ გიორგაძისგან და ამ ტიპის პოლიტიკური ძალებისგან და ამავე დროს სერიოზული ეჭვი გამოთქვათ, რომ ხომ არ შედის ეს ამ ხელისუფლების ინტერესში. ხომ არ ქმნიან იგორ გიორგაძისგან იმ საფრთხოებელას, რომელიც თავის დროზე შევარდნაძემ, ჭუანიამ და მოძალაქეთა კავშირმა ასლან აბაშიძისგან შექმნეს, რათა ყველა სხვა პოლიტიკური ძალა დაკარგულიყო“.

„დემოკრატიული ფრონტის“ თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი კი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება თავად არის ალიანსში იგორ გიორგაძის პარტიასთან. მისი თქმით, არ შეიძლება ხელისუფლება იგორ გიორგაძეს ერთის მხრივ, ტერორისტს ეძახდეს და მეორეს მხრივ, ქვეყანაში არ კრძალავდეს ტერორისტის ფონდს, რომელიც არა მარტო მუშაობს და თანამშრომლებს აფინანსებს, არამედ სტიპენდიებსაც იძლევა და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებს და კონკურსებს მართავს.

ია გელანტია

◎ ინფორმაცია

ექიმთა სერტიფიცირება

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ვ. მაისს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში იმყოფებოდა, სადაც ექიმთა სერტიფიცირებისთვის საგუთების მიღება დაიწყო. მინისტრმა განაცხადა, რომ სერტიფიცირება აუცილებელი პროცესია იმისათვის, რათა ქვეყანაში მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურებას მივაღწიოთ. „თქვენ მომსწრე ხართ ამა თუ იმ ინციდენტის ექიმთა პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. მხოლოდ ექიმების დასჯა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში ვერ გამოიღებს შედეგს, თუ სისტემა არ შევქმენით ექიმების კვალიფიკაციის მუდმივი სრულყოფისა და ამაღლებისთვის“, - განაცხადა ჭიპაშვილმა. მისი თქმით, სწორედ ასეთი სისტემის შექმნას ისახავს მიზნად სასერტიფიკაციო გამოცდები, რომელიც ექიმებმა უნდა ჩააბარონ და მათ უნდა დაამტკიცონ, რომ მზად არიან მაღალ დონეზე მოემსახურონ ავადმყოფებს. სერტიფიცირებისათვის მსურველთა განცხადებების მიღება ვ. ივნისამდე გაგრძელდება. ცნობისთვის: საქართველოში 46 ათასი ექიმია.

აიკრძალა გარემოვაჭრობა

ზუგდიდის გაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე ვ. მაისიდან გარემოვაჭრობა აიკრძალა. გუშინ დილიდან ზუგდიდის რაიონის გამგეობის და სამხარეო პოლიციის ერთობლივი ძალებით ზუგდიდის გაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარემოვაჭრობა აიკრძალა. გარემოვაჭრეთა დახლები დილის 7-დან 9 საათამდე აიღეს. ადგილზე მისულ გარემოვაჭრეებს დახლები აღებული დახვდათ, რის გამოც მათ პროტესტი გამოთქვეს. მათი განცხადებით, ისინი წვრილმანი ნივთებით ვაჭროდნენ, რაც მათი ოჯახის რჩენის ერთადერთი საშუალებაა და აქედან გამომდინარე, პროტესტს გამოთქვამენ გარემოვაჭრობის აკრძალვის გამო.

გარემოვაჭრეების თქმით, მიუხედავად აკრძალვისა, ისინი კვლავაც გააგრძელებენ ვაჭრობას, თუმცა გაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე უკვე განთავსებული არიან კრიმინალური პოლიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა სამმართველოს თანამშრომლები.

ინტერპრესნიუსი

◎ უმრავლესობა

რა ხდება პარლამენტის კომიტეტებში

საპარლამენტო უმრავლესობა უახლოეს მომავალში დააკომპლექტებს კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების იმ პოსტებს, რომელიც რამდენიმე დღის წინათ ოპოზიციამ დატოვა. კულუარული ინფორმაციით, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს, რომელიც კოკა გუნცაძემ საკუთარი ინიციატივით დატოვა, ნაზი არონია დაიკავებს.

განათლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს, რომელიც „ახალი მემარჯვენეების“ წევრმა მზია თოთლაძემ დატოვა, პეტრე მეტრეველი დაიკავებს, ხოლო ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს, რომელიც დავით საგანელიძემ დატოვა, უმრავლესობის წარმომადგენელი მანანა ჯეგაშვილი დაიკავებს.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრებიალნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარს არაკითხნდა აცხადებენ, რომ „ნდ“ დატურები განხილვის პროცესში ჯერ ჯერობით დაზუტებულ არაფერი არარის. მემარჯვენე ოპოზიციის სამმა დეუტატმა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების პოსტი რამდენიმე დღის წინათ დატოვა.

ინტერპრესნიუსი

◎ თავდაცვა

გარდაქმნა ამერიკულად

თავდაცვის სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივით შევიდა. საკითხი შეეხება იმ საკანონმდებლო ცვლილებას, რომლის საფუძველზეც მოხდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებულ შტაბად გარდაქმნა. გაერთიანებული შტაბის შექმნა ხელს შეუწყობს შეიარაღებული ძალების ყველა კომპონენტის ერთიან, მაღალ დონეზე საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებას და შეიარაღებული ძალების ყველა სახეობის ეფექტიან მართვას. ამასთან, გაერთიანებული შტაბი ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის მიღწევას, რაც პირველ რიგში, სახეობებს შორის მოქმედების კოორდინაციის მაღალ ხარისხს გულისხმობს, – მიაჩნიათ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში.

გაერთიანებული შტაბის ჩამოყალიბება გაცილებით ეფექტიანს გახდის საბრძოლო მოქმედებათა დაგეგმვასა და განხორციელებას, რომლის დროსაც მათ-ვალისწინებული იქნება შეიარაღებული ძალების ყველა კომპონენტი. საჰაერო და საზღვაო ძალებიდან უკვე შერჩეული არიან შესაბამისი განათლების ოფიცრები, რომლებიც დანიშნულებისან გაერთიანებულ შტაბში სხვადასხვა თანამდებობაზე.

2006 წლის 11 მაისს საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, შეიქმნა კომისია, რომელიც მუშაობს ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნული სტრუქტურული ცვლილების გამო კონსტიტუციაში ცვლილების დროულად შესატანად. კომისიის წევრები სხვებთან ერთად არიან: პარლამენტარი გიორგი თარგამაძე, თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე მამუკა კუდავა, პარლამენტარები გიორგი ბოკერია, ნიკოლოზ გვარამია, კახა კუკავა.

კონსტიტუციური გადასინჯვის პროექტი წარედგინებასაქართველოს პარლამენტს, რომელიც მას საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოაქვეყნებს. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ იწყება. გასულ კვირას გაერთიანებული შტაბის შექმნის საკითხზე არასამთავრობო ორგანიზაციებმაც იმსჯელეს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლობა მინისტრის პირველი მოადგილის მამუკა კუდავას ხელმძღვანელობით ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოს“ ოფისში იმყოფებოდა, სადაც ამ ინიციატივის დეტალური განხილვა მოხდა.

მედიანიუსი

საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის განკარგულება №425
2006 წლის 30 მაისი

სს „ინტელექტბანკში“ დროებითი ადმინისტრაციის მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ

საქართველოს ეროვნულ ბანკსა და სს „საქართველოს ბანკს“ შორის 2006 წლის 20 თებერვალს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის (სს „ინტელექტბანკის“ აქტივებისა და ვალდებულებების სს „საქართველოს ბანკისათვის“ გადაცემის ხელშეწყობისა და დახმარების თაობაზეძ პირველი მუხლის 1.2 პუნქტის შესაბამისად:

1. სს „ინტელექტბანკის“ დროებით ადმინისტრაციას, საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2006 წლის 2 მაისის №325 განკარგულებით განსაზღვრული შემადგენლობით და პიროგებით, გაუგრძელდეს მოქმედების ვადა 2006 წლის 1 ივლისამდე.

2. საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა (გ. კალანდაძეძ უზრუნველყოს ამ განკარგულების ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება.

3. ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება შეიძლება მისი გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (სარაჯიშვილის 1ა).

ე. გალდავა

◎ მეტალურგია

მალე ფოლადიც გადმოდუღდება...

მეტალურგიული ქარხნისკენ გზა სამარშრუტო ტაქსით დავიჩქარე. მძღოლის გვერდით მოვთავსდი.

– რომ გააძვირეთ, ხალხი რას ამბობს?

– ჩვენ რა უნდა გვითხრან, – ჯიმუხი აგებულების კაცი, საჭეს რომ ჩაფრენოდა, გულგრილად გამომელაპარაკა, – ხალხმა არ იცის, ბენზინი რომ გაძვირდა, ახლა ელექტროენერგიას და გაზს წაუკიდეს ცეცხლი, შაძრის ფასი გაორმაგდა, პურზე ნულარ იტყვი, გაზარში ხომ ვერ შეხვალ...

– შენ ძირითადად მეტალურგები დაგყავს. რაო, რას ამბობენ? – ჩუმად შევაპარე.

– რა გითხრათ, არ ხმაურობენ. რამდენი ინვესტორი მოვიდა, ყველამ გადაუარა. მე 15 წელი მარტენში ვიმუშავე. მერე, ყაჩაღები რომ შემოგვესივნენ, თავს ვუშველე, მძღოლობით ვფულობ ლუკმა-პურს. არადა, მეტალურგია თუ არ ამუშავდება, ქალაქიდანაც მოგვიწევს გაქცევა. ეს ქარხანაა ჩვენი მამა-მარჩენალი.

– შენ როგორ ფიქრობ, გადარჩება?

მძღოლმა პასუხი არ გამცა. მეტალურგიულის გარშემო ბევრი ჭორი ისევ დადის, თუმცა დღეს მას სხვა პატრონი ჰყავს და...

ახლახან ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახა ბარათაშვილი შემხვდა. საუბარში მეტალურგიაზეც გადავუკარი.

– წადით, საკუთარი თვალით ნახეთ, თუ რა კეთდება.

– თავად თუ გრძანდებოდით-მეთქი.

– ვიყავი და გახარებული წამოვედი, თქვენც გირჩევთო.

ამჯერად გადავწყვიტე, ქარხნის არც ერთ ხელმძღვანელს არ შეეხვედროლი. პარლამენტში უფრო ადვილად შეაღწევ. საშვის გაცემა ისე გაუმკაცრეთ, ჩიტიც ვერ გადაფრინდება.

პირველად 1952 წელს 18 წლისამ შევდგი ფეხი მეტალურგიაში, ჰოდა...

საათს თუ დავუჯერებთ, ჯერ ისევ ადრეა, არადა, მზე შუბისტარზეა წამოჯგიმული. წალკოტში შევედი თუ არა, ჩიტების ჭრიამულმა გამახალისა. მათ საშვი არ სჭირდებათ, 400 ჰექტარზე მეტი აქვთ გასალაღებელ-საპატრონოდ.

ქარხანა-ბაღი – უცხოელებმა ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციან წლებში მონათლეს ასე აქაურობა. ათასჯერ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ამ ბაღმა და არა გიგანტმა აგრეგატებმა, თუმცა ისინიც ჯეროვნად შეაფასეს, მოხიბლეს ჯავარჰარლალ ნერუ, ინდირა განდი, ბრეჟნევი, ცნობილი საზოგადო მოღვაწეები უცხო ქვეყნებიდან და კიდევ ბევრი და ბევრი.

გასული საუკუნის ერის კორიფეებზე, გამოჩენილ შვილებზე რას ვამბობ, ბალაკტიონს, ბამსახურდიას, ხორავას, ვერიკო ანჯაფარიძეს და სხვებს მოუხაროდათ მეტალურგებთან.

შემდეგ შავი ღრუბელი ჩამოწვა და...

ქარხნის ჭიშკარს რომ შეაღებ, პირველად ლამაზი სკვერი შემოგხვდებათ: „ენა, მამული, სარწმუნოება“, მსხვილი, კოხტა ასოებით დიდ პანოზე.

ეს ადრე არ იყო. ინვესტორს ქარხნის დანგრევა რომ სდომოდა, ილიას ეს შეგონება არ გაახსენდებოდა.

საპატიო ყარაულში ჩამდგარი ჯარისკაცებივით აწვართული კვიპაროსები მიმაცილებენ. მერე ნაძვები ენაცვლებიან, ბოლოს ჭადრები. ტყის სიღრმეში სამძროებს შორის მრავლადაა მუხა, მურყანი, ცაცხვი. გაზაფხულობით აკაციები თეთრად რომ იფეთქებს, საამო სურნელით გაალაღებენ იძაურობას.

გზის საფარი ყველგან შეკეთებულია. გაყოლებაზე ხეები შეთეთრებული და ბორდიურები გალამაზებულია. ყველგან სანიმუშო სისუფთავე, ყველაფერს რომ მზრუნველი ხელი ატყვია...

რადგან აქ მზადდებოდა მშენებარე ძირითადი საამქროების მოწყობილობებისათვის საჭირო ნაწილები. მიუხედავად განვლილი უმძიმესი წლებისა, საამქროს კოლექტივმა, მისი თავკაცის ედუარდ აბაშიძის ძალისხმევით უდანაკარგოდ შეინარჩუნა თავისი პოტენციალი. იგი ერთ-ერთი უნიკალურია არა მარტო რუსთავში. დღეს საამქრო სრული დატვირთვით მუშაობს.

რუსლან ჭანკვეტაძეს, თერმული განყოფილების ოსტატს გავესაუბრეთ:

–სულ რაღაც ოთხი თვის წინათ ნამდვილად ვერ ვიფიქრებდით, თუ ქარხანაში სურათი ასე რადიკალურად შეიცვლებოდა. ის კი არა, წუთი-წუთზე ველოდებოდით ზემოდან ბრძანებას, გაგვეყოლა ესა თუ ის უნიკალური ჩარხი. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას ადვილად არ დავთმობდით, მაგრამ...

– მაინც რა ხდება დღეს განსაკუთრებული?

– როგორ თუ, რა? შეიხედეთ საამქროში და პასუხს მიიღებთ.

საამქროში მართლაც ყველა ჩარხი სრული დატვირთვით მუშაობდა. ნამდვილად ღირდა გასინჯვა და თვალის შევლება.

– წლების მანძილზე ერთგულად ვდარაჯობდით ამ საამქროს. ხელფასი მათხოვრული რომ იყო და იმასაც ხანვილებდით, ხან არა, ამას ალარ დაგიდევდით. ამხელა სიმდიდრეს მომავლისთვის შენარჩუნება რომ სჭირდება, ეს გვძონდა გათავისებული.

– ახლა რა დაკვეთებს ასრულებთ?

– ძირითადად მილსაგლინავი, მილსაადიდვო და წვრილსორტული საამქროსათვის ვჩარხავთ საგლინავ ინსტრუმენტებს.

– განწყობილება როგორია?

თუმცა... ჩემივე კითხვა მეუხერხულა. დიდი ხანია, მეტალურგი კაცი ასე გამართული, სახეგაბადრული, ხალისიანი არ მინახავს.

– ოჯახი არ გვიტირის, ძამია, – მოკლედ მომიჭრა ერთმა.

არადა, ქარხანა ჯერ მხოლოდ ამუშავების მოლოდინშია. სანამ ძირითად პროდუქციას გამოუშვებენ, ჯერ ბევრი რამ არის ალსადგენი, გასამართი, მოსაგვარებელი.

ნახევარი საუკუნის წინათ ყმაწვილმა კაცმა პირველად მილსაგლინავ საამქროში შემოვდგი ფეხი, პირველად აქ შევიძინე პროფესია. აქ მზადდება ქარხნის საბოლოო პროდუქცია. შეგახსენებთ, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა ყოფილ საბჭოთა კავშირში სრული მეტალურგიული ციკლის ერთადერთი ქარხანა იყო. დაწყებული კოქსიძიმური საამქროთი, აგლოსაბრძმედი კომბლექსით, მარტენსაგლინავი საამქროთი, ბოლო კი მილები იყო.

საამქროს ადმინისტრაციული შენობის სახურავზე ადამიანები ფუსფუსებდნენ.

– წარმოგიდგენია, სახურავზეც კი ბუჩქები ამოვიდა. ფასადი ჩამოიგბრა... – მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

– მარტო ადმინისტრაციულ შენობებს ხომ არ ალამაზებთ?.. დღეს ეს მოდაშია...

– რას ამბობ, ყველა ძირითადი საამქროს სახურავი იცვლება, აი, ნახავ.

და ვნახე კიდევაც.

ადმინისტრაციული შენობის ფასადზე, მთავარი შესასვლელის მარცხენა მხარეს, ილიას ხატმა შემოგვღიმა და დაგვმოძღვრა:

„სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
სულგრძელობითა ძლევა სჯობს,
ვაჟკაცობითა ძლევასა“.

მარჯვნივ აკაკია...

ვინც ერის დიდ წინამორბედთა სიბრძნეს აქ ასე სათუთად ინახავს, ის ქარხნის და რუსთავის მომავალზე იფიქრებს, წყალი არ გაუვა.

საამქროს უფროსი, საშუალო ასაკის ჯიმუხი, ენერგიული შემართების ზაზა გიგოლაშვილი პირადად ამოწმებს მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს.

მშენებლებს ხანდახან უყვართ წახალტურება.

იხ. მე-6 გვ.

ეს უკვე საქმის დასაწყისია

ტერენტი გრანელის ერთი ლექსის სტრიქონის ეს პერიფრაზი ზუსტად ესადგება მეტალურგიაში მიმდინარე მოვლენებს.

მე და ჩემი თანამგზავრი, ძირძველი მეტალურგი, შემკეთებელ-მექანიკური საამქროს წინა სკვერში მდგარ რამდენიმე ხარატს მივესალმეთ. რომ არ გამომრჩეს, დღეს ქარხანაში ყველას, მუშასა თუ ინჟინერს, ქარხნის ახალი პატრონის გადაწყვეტილებით, ლამაზი უნიფორმა აცვია.

ეს ტანსაცმელი აქვე ფირმა „მარტენში“ იკერება. თითოეულს თავის სარგოს უკერავენ. თავზე კი ყველა დამცავ უსაფრთხო ჩაჩქანს, ე.წ. „კასკას“ იხურავს.

ამ საამქროს მშენებლობა 1944 წელს დაიწყო. იგი პირველი ამოქმედდა,

◎ ბნელი ღამე

როდის გაჩნდა „კანონიერი ქურდი?“

ამ ბოლო დროს ძალზე ხშირად გაისმის ხმები, რომ „კანონიერი ქურდები“ სტალინმა შექმნა და მათ ვერაფერი მოუხერხაო“. ასეთი განცხადებები აბსურდული და ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია, „კანონიერი ქურდების“ ჩასახვის და შექმნის დროს სტალინი ქვეყნის ერთმმართველი არ იყო, თანაც სულ სხვა საქმეებს გაანაგებდა.

მაინც, როდის და როგორ წარმოიშვა „კანონიერი ქურდის“ ტერმინი?

კრიმინალური სამყაროს ისტორიის გაცნობა და შესწავლა საშუალებას გვაძლევს მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ტერმინი „კანონიერი ქურდი“ მხოლოდ რუსული წარმოშობისაა და ის რუსეთში აღმოცენდა XX საუკუნის ოციან წლებში.

20-იანი წლების დამდეგს, როდესაც საფუძველი ეყრებოდა საბჭოთა კავშირის – როგორც ერთიანი და ძლიერი სახელმწიფოს – შექმნა-ჩამოყალიბებას, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის (Чрезвычайная Комиссия _ ЧКძ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან ჩამოყალიბდა განყოფილება, რომელსაც ეწოდებოდა „ოგპუ“ (Отдел государственного политическогo управленияძ. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს განყოფილებას ევალებოდა არა მარტო კონტრრევოლუციური ელემენტებისა და საერთოდ ოქტომბრის რევოლუციისადმი მტრულად განწყობილი საზოგადოების წარმომადგენლების წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღება, არამედ, აგრეთვე, დამნაშავეთა სამყაროს ავტორიტეტებთან უშუალო კონტაქტების დამყარება. სხვათა შორის, საგანგებო კომისიის თავმჯდომარე იყო ფელიქს ძერჟინსკი....

1929 წელს შეიქმნა „გულაგი“ (Гулаг _ Главное управление лагерейძ. „ოგპუს“ დაევალა „გულაგის“ განაკეგში მოთავსებულ მსჯავრდებულებზე აქტიური ზედამხედველობის და კონტროლის დაწესება. მთავარი პოლიტიკური სამმართველოს განყოფილებამაც არ დაუყოვნა და უპირველესად დაიწყო კრიმინალური სამყაროს პროფესიონალი დამნაშავე ელემენტების რიგებიდან აგენტების შერჩევა, გადაბირება და მათგან „ფარული აპარატის“ შექმნა. აგენტების ძირითადი ამოცანა იყო პოლიტიკაში ჩაურევლობა, განაკეგში სასურველი წესრიგისა და დისციპლინის დამყარება. ისინი ფიზიკური შრომისაგან გაათავისუფლეს. იმავდროულად მათ შეეძლოთ განაკის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება და უფლება ჰქონდათ შეხვედროდნენ სასურველ პიროვნებებს. მიცემული პრივილეგიების გარდა, განაკის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა აგენტების ავტორიტეტის ასამაღლებლად. აგენტს, რომელსაც განაკის ხელმძღვანელობაში ნაცნობები ჰყავდა, „ბლატნოი“ (ჟარგონულად „ბლატარი“ძ ეწოდებოდა. გავიდა ხანი და 30-იან წლებში „ბლატნოი“ უკვე „კანონიერი ქურდის“ სახელით მოიხსენიებდა და ის ისეთ „ავტორიტეტად“ ითვლებოდა, რომელიც თავის წრეში ცნობილ და დაფასებულ კრიმინალურ დამნაშავედ ითვლებოდა.

იმავე 30-იან წლებში „კანონიერმა ქურდებმა“ თავიანთ „სხოდკაზე“ (ყრილობაზეძ შეიმუშავეს „დაუწერელი ქურდული კოდექსი“, რომელიც ეფუძნებოდა კრიმინალური რეალობიდან გამომდინარე ქცევის პირობებსა და პრინციპებს. კერძოდ: მთავარი იყო მათი პოლიტიკაში ჩაურევლობა, პირადი ცხოვრების უკუგდება. ისინი მონაწილეობას არ მიიღებდნენ სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობაში და შესაბამისად არ იზრუნებდნენ მის განმტკიცებაში. „კანონიერი“ უშუალოდ და პირადად არ მიიღებდა მონაწილეობას დანაშაულებრივ აქციებში. მას ასეთი აქციებისთვის სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროდან ჰყავდა შემსრულებლები, ე.წ. „შესტიორკები“ („ხელის ბიჭები“ძ. „კანონიერ ქურდებს“ შორის უნდა ყოფილიყო თანასწორობა, ურთიერთდახმარება, ურთიერთსამართლიანობა და სოლიდარობა. მიუხედავად იმისა, რომ მათ საკუთრების უფლება არ ჰქონდათ, შეეძლოთ ესარგებლათ ყველაფრით, რაც დამნაშავე ელემენტებს გააჩნდათ. ისინი თავიანთი გულადობით, სიმტკიცით, სიმკაცრით და სამართლიანობით პოპულარული იყვნენ ხალხში. „კანონიერი ქურდი“ არ მისდევდა კომერციულ საქმიანობას და ქონების დაგროვებას. იგი მხოლოდ „ქურდთა საძმოს“ წესრიგს იცავდა და მათ ინტერესებს ემსახურებოდა. საერთოდ, „კანონიერ ქურდად“ კურთხევა საბჭოს მიერ ხდებოდა. საბჭო არანაკლებ სამი „კანონიერი ქურდისაგან“ შედგებოდა.

იხ. მე-6 გვ.

◎ ინფორმაცია

საუბრის თემა – საერთაშორისო პროცესები

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ვოლსკის და საქართველოში ვიზიტად მყოფი ეუთოს მაღალი დონის წარმომადგენელთა ჯგუფის შეხვედრაზე ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესში საერთაშორისო მონაწილეობის გაფართოების საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრაზე მხარეებმა ასევე განიხილეს 14 ივნისს ბრიუსელში ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებისთვის ფინანსების მოზიდვის მიზნით დაგეგმილი დონორთა კონფერენციის ორგანიზების საკითხები.

საქართველოში ვიზიტად მყოფ ეუთოს მაღალი დონის წარმომადგენლების ჯგუფს ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე ქვეყნის – ესპანეთის ელჩი კარლოს სანჩეს დე გოადრო ხელმძღვანელობს. ეუთოს მაღალი დონის წარმომადგენელთა ჯგუფს გუშინწინ შეხვედრები ჰქონდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში და საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ საკაშვილის დავალებით საქართველოს ხელისუფლებაში ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების სახელმწიფო კომისიას ხელმძღვანელობს.

ინტერპრესნიუსი

◎ სამეგრელო-ზემო სვანეთი

საქმეც მოიტეხს, მეწარმეც

შეიძლება ითქვას, სრულიად კანონზომიერია სამეგრელო-ზემო სვანეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გაზაზე რეგიონული ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის შექმნა, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროექტით განხორციელდა. მისი ოფიციალური პრეზენტაცია ამას წინათ პრეზიდენტის რწმუნებულის სამხარეო ადმინისტრაციის სხდომათა დარბაზში ჩატარდა.

სამხარეო სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტმა, იმავდროულად რეგიონული ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის მენეჯერმა იური წოწერიამ კონკრეტული, ცოცხალი და რეალური არგუმენტებით ილაპარაკა საკონსულტაციო ცენტრის მიზნებსა და ამოცანებზე, რომლებიც სავაჭრო-სამრეწველო პალატის არსებული შესაძლებლობების გაძლიერებას ითვალისწინებს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. რა თქმა უნდა, უპირველესად, ეს ბიზნესსაკონსულტაციო მომსახურების პაკეტის შეთავაზებას, სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაზრდასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას გულისხმობს.

რეგიონული ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის პირველი ეტაპის მოქმედების ეპიცენტრში შედის პრიორიტეტული მომსახურებები, საგადასახადო სამსახურსა და საბაჟოსთან დაკავშირებული პრობლემები, სახელმწიფო და კერძო სექტორთან ურთიერთობა, მენეჯმენტი, ბიზნესის დაგეგმვა, ინვესტიციებისა და სესხების მოძიება, ინფორმაციული და სარეკლამო მუშაობის სრულყოფა: არადა, მხარეში არსებული სამეწარმეო უნარ-ჩვევები, ბიზნესკულტურა რადიკალურ გარდაქმნას მოითხოვს. რეგიონში რეგისტრირებულია და მუშაობს 15000-ზე მეტი იურიდიული პირი და ინდმეწარმე, რომელთა უმეტესობა დაკავებულია მცირე და საშუალო ბიზნესით. გუნებრივია, რომ მუდმივად იზრდება მათი წვლილი რეგიონისა და ქვეყნის ეკონომიკის აღდგენა-განმტკიცების საქმეში.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ მიუხედავად ეკონომიკაში მიღწეული ერთგვარი დადებითი ტენდენციებისა, ჯერ კიდევ დაბალია მცირე და საშუალო ბიზნესის სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციისა და ინფორმირების დონე, რომლებიც სათანადოდ ვერ ფლობენ მენეჯმენტის უნარ-ჩვევებსა და თანამედროვე მეთოდებს. რა დასამალია, რომ ასეთი მდგომარეობა, ძირითადად, გამოწვეულია ბიზნესმომსახურებისა და კონსულტაციის სრულყოფილი სისტემის უქონლობით, რომლის გასაუმჯობესებლად მოწოდებულია ახლადშექმნილი ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრი,

როგორც ჩანს, ცენტრის ფუნქციები მრავალსახაა, მაგრამ მათ შორის, მაინც მთავარი გახლავთ: რეგიონში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისა და სამეწარმეო სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების სისტემური ანალიზი, მეწარმეობის განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების განსაზღვრა და შესაბამისი თემატიკური შეხვედრების მომზადება მხარის ეკონომიკურ აქტივთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ამსაკითხებზე სათანადო რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება და ა. შ.

ასეთი ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის შექმნა დროული და აუცილებელი მოვლენაა როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. ამასთან, საფუძვლიანია ისიც, რომ იგი მხარის სავაჭრო-სამრეწველო პალატის გაზაზეა შექმნილი.

ტყუილად როდია ნათქვამი: პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო.

ალსანიშნავია, რომ მხარის მენარმეები კმაყოფილებით შეხვდნენ დონორი ორგანიზაციის ინიციატივას და იმედოვნებენ, რომ მათი საქმიანობა ურთიერთხელსაყრელი პრინციპით წარიმართება.

ოდიკ ქუხილავა,
„სრ“ საკ. კორ.

სურათზე: სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ბიზნესსაკონსულტაციო ცენტრის პრეზენტაცია.

◎ ინფორმაცია

ვიზიტად უნგრეთში

საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარე სამუშაო ვიზიტით უნგრეთში გაემგზავრა. დეპარტამენტის ხელმძღვანელი შეხვედრებს გამართავს ევროპული სასაზღვრო სამსახურების პირველ პირებთან, რომლებთანაც ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს განიხილავს. ვიზიტისას ქართული დელეგაცია უწყებაში მიმდინარე რეფორმების პრეზენტაციას გამართავს, საუბარი იქნება დეპარტამენტის შს-ში ინტეგრაციასა და ევროკავშირის სტრუქტურებში მის გაერთიანებაზე.

შეხვედრაზე მხარეები ასევე განიხილავენ ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, კონტრაბანდის, არალეგალური მიგრაციისა და ტრანსსასაზღვრო დანაშაულის შესახებ ინფორმაციის გაცვლისა და ტერორიზმის წყაროების აღმოჩენის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების მხრიდან ხელშეწყობის საკითხებს. უნგრეთში ქართული დელეგაციის ვიზიტი 2 ივნისს დასრულდება.

არემონტებენ...

„აფრიკას“

თბილისის ისანი-სამგორის რაიონში ე.წ. აფრიკის დასახლებაში 30 მაისს მიწისქვეშა კომუნიკაციების და გზის საფარის შეკეთება დაიწყო. თბილისის პრემიერის, თემურ ქურხულის განცხადებით, გუმათჰესის ქუჩაზე გამოიცვლება სანიაღვრე ქსელები, სასმელი წყლისა და კანალიზაციის მილები. სასმელი წყლის 1600 გრძივი მეტრის შეცვლა დაიწყო. ასევე დაიწყო 1030 გრძივი მეტრის კანალიზაციის მილების შეცვლა. მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწესრიგების შემდეგ დაიგება გზის ახალი საფარი.

ჯი-ეიბ-ენი

◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

Паспорт надо иметь!

— წამომაწია აფხაზმა..

– სახლში მივდივარ!

ეს სიტყვები ჩემთვის არც ისე ჩვეულებრივია, ერთი შეხედვით რომ ჩანს. მე აფხაზეთში ვცხოვრობ.

ზუგდიდი გამოვიარე. ხიდს მივუახლოვდი. მზემ დააჭირა, უკვე იკბინება. წინ კი ოთხი სამხედრო პოსტია, ოთხი შლაგბაუმი ერთ კილომეტრზე: ჯერ ქართველების, მერე რუსების, ისევ ქართველების და ბოლოს აფხაზების.

ქართველმა ბიჭებმა გზა დამილოცეს. რუსებსაც გამოვცდი. ხიდთან ვარ უკვე. გზა გრძელია, ჩანთა – მძიმე. უნდა შევისვენო.

ხიდს გავცქერი. ზღვა ხალხი დადის. ახალგაზრდები თითქმის არ არიან... ფიქრში გავიპარე, აქერონტი გამახსენდა მითოლოგიიდან, ჯოჯოხეთის მდინარე, რომელიც ცოცხლების და მკვდრების საუფლოებს ჰყოფს. ენგურსაც მსგავსი ფუნქცია აქვს: იგი სამყაროს „მელედ“ და „მოლედ“ ჭრის. მელე (გალმაძ ჩვენები არიან, ქართველები. მოლე (გამოლმაძ კი – მიწისა და საფლავების ერთგული, უსაქართველოდ დარჩენილი ქართველები.

გზა ქართული სამყაროსკენ ენგურის ხიდზე გადის. მატერიალურის გარდა ეს მორალური საფასურია „შენებთან“ მოხვედრისთვის, რომ უკეთ შეიგრძნო, რა შორია, ან რა ახლოა აფხაზეთი.

ხიდზე საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ მოძრაობს, თუ ბაბუს და მის „ლაფშას“ არ ჩავთვლით.

ისევ მითოლოგიაში ვარ: აქერონტზე მენავე ქარონს სულები ჰადესის (მიცვალებულთაძ სამყაროში გადაჰყავს. ენგურზე კი ამას ბაბუ და მისი მოხუცი ცხენი აკეთებენ. მარტოობაში შეამხანაგებულებს მზეში თუ წვიმაში, ქარში თუ თოვლში მგზავრების ტვირთი გადააქვთ. „მელე“ და „მოლე“, „მელე“ და „მოლე“...

– ნანა, შვილო, დამძიმდა ეს დალოცვილი ჩანთა, მომეხმარე, თუ შეგიძლია, – მთხოვა ბებომ მეგრულად, ეტყობოდა, წელთა სიმრავლეს არ ეპუებოდა, თუმცა სიბერე უკან ჩამოეტოვა.

მოხუცი საზღვრის საფასურზე მეწუწუნა:

– ჯერ ლარი იყო, შვილო, მერე ორი გახადეს, მერე სამი, ხუთი, შვიდი მაინც რა ამბავია, ზუგდიდში გასვლა ათი ლარი მიჯდება. ბარემ არ გამოგვიშვან და ეგ იქნება!

მალე ბებომ ნაცნობი ნახა, დავემშვიდოგე.

რუსების შლაგბაუმთან ვარ უკვე, მთავარ საზღვრამდე სულ ცოტა რჩება. რომ არ გამიშვან? შარი რომ მომდონ რამეზე? დამერეკა ჩემებთან!.. ბებო მაინც იყოს!

ფიქრაკვიატებული მივდივარ აფხაზებთან, პასპორტს მთხოვენ, „აფხაზეთის რესპუბლიკის“ პასპორტს! სტუდენტს ვაწვდი ქართულ-რუსულად რომ შეევასვლ საგულდაგულოდ.

– სად მიდიხარ? ვისთან? რომელ სკოლაში სწავლობდი? აბა, თუ იცი, დირექტორი ვინ არის? ამას იცნობ? იმას?..

გამოცდა ჩავაბარე, გამომიშვეს, წინასწარ, ვიცი, რასაც მომაძახებენ, ველოდები!

– Паспорт надо иметь! – წამომაწია აფხაზმა „მესაზღვრემ“ ვალდებულებისთვის, თორემ თვითონაც იცის, რომ არც შემდეგში მეძნება და არც მაგის მერე! ისიც ჩვენებურია.

სახლში ვარ, ჩემებთან!

მზიურ აფხაზეთში მოსახვედრად, ნეტა, რამდენ ხანს მოგვიწევს აქერონტ-ენგურის საზღვრის გადაჭრა?!

P.S. აქერონტის გადასვლით ჰადესში ხვდები. აქ კი, ენგურს გადახვალ და სამოთხეა, მესამედ გაშენებული სამოთხე.

მარიამ ჯანჯარია,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი.

◎ ინფორმაცია

გაფლანგვა კოლეჯში

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველომ მითვისებაგაფლანგვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. საქმე ეხება ზესტაფონის პროფესიული სწავლების კოლეჯს, რომლის ხელმძღვანელობაც კოლეჯის კუთვნილი ქონების მითვისებაში ეჭვმიტანილი.

საგამოძიებო მოქმედებები დაწყებულია, ჩატარდება საბუღალტრო დოკუმენტაციის კომპლექსური რევიზია, რაც მითვისებული თანხის ოდენობას განსაზღვრავს.

მოსამართლეთა სემინარი

ქობულეთში 2, 3 და 4 ივნისს იუსტიციის უმაღლესი სკოლა საგოძალაძე საპროცესო ცვლილებებთან დაკავშირებით ჩაატარებს სემინარს. შეხვედრას დაესწრება 30 მოსამართლე, რომლებიც საგოძალაძე საქმეებს განიხილავენ. ექსპერტებად მიწვეულები არიან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები მაია სულხანიშვილი და მიხეილ გოგიშვილი.

რა სჭირთ ჩვენ ჯარისკაცებს ერაყში?

ერაყიდან საქართველოში რამდენიმე ჯარისკაცი შეიძლება დაბრუნდეს. მიღებული ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ნაწილის რამდენიმე ჯარისკაცმა ერაყში მაღალი ტემპერატურის გამო სამსახური ვერ შეძლო და იგებგმება მათი საქართველოში დაბრუნება. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი ნანა ინწკირველი კომენტარს არ აკეთებს და აღნიშნულზე საუბარიც არ სურს. თავდაცვის სამინისტროს სხვა სტრუქტურებიდან დადასტურებითი ან უარყოფითი ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა.

„ლესაზე“ მოძრაობა აღდგა

„საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, გუშინ დილის 5 საათიდან 08 საათამდე ლანჩხუთი-სუფსის სარკინიგზო გადასარგებზე გადაუდებელი სალიანდაგო სამუშაოები ჩატარდა, რის გამოც სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზის 39 კმზე, „ლესას“ სარკინიგზო გადასასვლელზე აღნიშნულ პერიოდში ავტოტრანსპორტის მოძრაობა შეჩერებული იყო. ტრანზიტული ავტოტრანსპორტის მოძრაობა დროებით სამტრედია-სენაკი-ფოთი-სარფის საავტომობილო გზით განხორციელდა. დილის 8 საათზე სამუშაოები დასრულდა და სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საავტომობილო გზაზე ტრანსპორტის მოძრაობა აღდგა.

მედიანიუსი

შეხვედრა გადაიდო

გალში დაგეგმილი ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გუშინ ტექნიკური მიზეზების გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს საელმწიფო მინისტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში განაცხადეს, რომ ჯერ განსაზღვრული არ არის შეხვედრის ჩატარების ზუსტი თარიღი.

ჯი-ეიბ-ენი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-96-32;
899 328576

◎ მეტალურგია

მალე თოლადიც გადმოდუღდება...

(მეოთხე გვერდიდან)

– რა ხდება თქვენთან?

– ლეთარგიული ძილის შემდეგ გავიღვიძეთ. ჩვენ უკვე შეგუებულები ვიყავით კატასტროფას, რომ ქარხანას ჭართად გაყიდდნენ. ახალმა ინვესტორმა მთავარი – რწმენა მოგვიტანა. დღეს რაც კეთდება, ეს ყველაფერი დიდი საქმის წინამორგედია. შარშან საამქროში სამოცდაათი კაცი კი შევინარჩუნეთ, ვმორიგეობდით, ვყარაულობდით, რომ არ გაეძარცვათ აგრეგატები, დაზგები და ამას აკეთებდნენ ლამის მშიერი ადამიანები. ხელფასზე ხომ ლაპარაკი არ ღირდა. დღეისათვის ასნი ვართ. იმდენი, რამდენიც ახლაა საჭირო, მათ შორის, ყველა სპეციალისტი. თუმცა, ვერ გაარჩევ, ვინ მუშაა, ვინ ოსტატი და ცვლის უფროსი, ყველა საქმითაა დაკავებული. წესრიგში მოგვყავს გიგანტი დგანები, თან ვლებავთ და ვალამაზებთ, გარეთ კი ხალხთან ვმუშაობთ, თითო-თითოდ ვეძებთ ჩვენს პროფესიონალებს. თქვენც ძარგად იცით, მილმგლინავის სპეციალოგა ურთულესია, დიდ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. საბედნიეროდ, პროფესიონალები ჯერ კიდევ შემოგვრჩნენ და ალბათ სულ მალე ყველას მოვიწვევთ, საამქროს სრულად დავაკომპლექტებთ.

საუბარ-საუბარში საამქროში შევედით. თავზე ხიდურმა ამწეთ რომ გადამიგრიალა, შევკრთი.

– ყველა ამწე აღვადგინეთ. ხიდური ამწეების გარეშე მეტალურგია ვერ იქნება, – მეუბნება ჩემი თანამგზავრი და მართლაც, როგორც მილსაგლინავში, ისე მილსაადიდვო და წვრილსორტულ საამქროში ვნახე არათუ განახლებული, სრულიად ახალი ხიდური ამწეები.

– აგრეგატ „400“-ის სათადარიგო გლინს ვჩარხავთ, – სახარატო დგანთან მდგარი ახოვანი კაცი, უფროსი დაგკალიბრებელი იურიტეფნაძე მიხსნის, – დღეს აქ მყოფთაგან ყველამ რამდენიმე სპეციალობა იცის. თვითონ ინჟინერია, მაგრამ სახარატო ჩარხსაც ძარგად ფლობს და დღეს ყველამ ყველაფერი უნდა აკეთოს, რომ ქარხანა მალე ამუშავდესო, ასე მიპასუხა.

– ხელფასი რამდენი გქონდა?

– წარსულს ნუ გამახსენებთ. ახლა კი 350 ლარს ვღებულობ. საშუალო ხელფასი ასეთია. როცა პროდუქციას გამოვუშვებთ, გაგვისამაგდება. არის დაპირება, რომ 300 დოლარის ეკვივალენტს არ ჩამოსცილდება... ასე იქნება, გვჯერა.

– რამდენი წლის ხარ?

– ორმოცდათოთხმეტის.

– მერედა ამ ხნის კაცს როგორ გაჩერებენ?

– აქ ასაკის კი არა, პროფესიონალიზმის მიხედვით იწვევენ ადამიანებს. ქარხანაში შვიდ ათეულ წელს გადაცილებულსაც გვერს შეხვდებით, – საუბარში ერთვება რომან ასლანიშვილი, უბნის ოსტატი, რომელიც ასევე ჩართულია მოსამზადებელ სამუშაოებში.

– როგორ ფიქრობთ, როდის ამუშავდება საამქრო?

– აღდგენითი სამუშაოები ისეთი ტემპით მიმდინარეობს, ალბათ ძალიან მალე. ინვესტორი ფულს უქმად არ გადაყრის, – დარწმუნებულია რომანი.

კიდევ ერთი სასიკეთო ფაქტი.

იქვე მოპირკეთებით უბანზე, ქუროების მოსაჭრელ ჩარხთან რამდენიმე კაცი ფუსფუსებდა. ისინი თბილისის ყოფილი კიროვის ჩარხმშენებელი ქარხნიდან ალმოჩნდნენ. აქ, მოუწვევიათ, რათა ოდესღაც მათ მიერ გამოშვებული დანადგარი აღადგინონ, გააცოცხლონ. ეს ჩარხი საჭაბურღილე მილებისათვის ქუროებს გამოჩარხავს. სპეციალისტებმა გვითხრეს, გვაჩქარებენ, დიდი ფულიც გაიღეს და ჩვენც სიტყვას არ გავტეხთო.

პოლო კეთილია

ახლა კი მოკლედ. იმ დღეს ოთხი საათი და ოცი წუთი დავყავი ქარხანაში. ამის აღწერას ფეხდაფეხ რომ მივყვე, სად წავა. ყველა ძირითადი საამქრო შემოვიარე, ყველა მაღალტექნოლოგიასაა, იმედით აღჭურვილ მუშას თუ ინჟინერ-ტექნიკოსს ვესაუბრე.

ყველაზე მძიმე სურათი წვრილსორტულ საამქროში დაგეხვდა. თითქოს ცუნამმა გადაუარაო, ერთიანად განადგურებულია. ნაძირალებმა ძვირადღირებული, უნიკალური ელექტროკარადები გაანადგურეს. როგორც აქ გვითხრეს, საამქროს აღსადგენად სულ ცოტა 3 მლნ დოლარია საჭირო. არადა აქ დამზადებული სამშენებლო არმატურა, კუთხედები, მრგლოვანი და სხვა დღეს ჰაერივით სჭირდება ქვეყანას. სამ თვეში აღვადგენთ ყველაფერს, ახალი სახის პროდუქციასაც გამოვუშვებთო, გვაიმედებს საამქროს მთავარი მექანიკოსი გელა აკობია.

აი, მილსადიდვო საამქრო, რომელიც ერთ თვეში უნდა ამუშავდეს, სულ სხვა სურათი დაგეხვდა. გამალებით მუშაობენ საამქროს სახურავის განახლებაზე, სადაც მანამ გუჩქებიც კი კოკწიაობდნენ და წყალსაც თქრიალით ატარებდა. მთავრდება ადმინისტრაციის შენობის აღდგენა. მუშათა სასადილოები და აბანოები, აქაც და ყველგან, ევრორემონტს რომ ეძახიან, იმ დონეზე გაკეთდება.

რაც მთავარია, აგრეგატები მზადყოფნაშია. ადგილობრივი რეზერვიდან იმარაგებენ ნამზადს. ასე რომ, ივნისის პირველ რიცხვებში იქ პირველ პროდუქციას გამოუშვებენ. პირველი მერცხლები ვიქნებითო, უხარია 350-ლარიან ხელფასის მქონე მილმდიდავ გოგი ფარცვანიას.

ზურაბ კარგაია პროფესიული სწავლების ცენტრის უფროსია. მისი თქმით, ამჟამად ქარხანაში 25 ახალგაზრდა გადის პროფესიულ სწავლებას. ისინი ელექტრომონტიორებად იმუშავებენ. მომავალი ნაკადი მექანიკოსის სპეციალობას დაეუფლება და ასე გაგრძელდება.

– ქარხანაში დღეს აღმშენელობის, განახლების ბუმია, – ამბობს იური გოგრიჭიანი, დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარის მოადგილე, – ეს თვალსაჩინოა ჩვენი ყოფის ყველა სფეროში, როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური კუთხით. ყოველ სამშაბათს და ოთხშაბათს მიმდინარეობს ყოფილი მუშებისა და სპეციალისტების დაბრუნება თავიანთ სამუშაოზე. ასევე ვიწვევთ ახალგაზრდებს. ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემების შესასწავლად მოწვეული გვყავდა უკრაინელი სპეციალისტები. დღესაც ჩვენთანაა გულგარელი ექსპერტი, ამ დღეებში გერმანელებიც გვეწვივნენ. ერთობლივი გადაწყვეტილებით დადგინდება, თუ რომელი ფოლადსადნობი სისტემა იქნება ჩვენთვის ეკონომიკურად მომგებიანი.

ამუშავდება აგლოსაბრძმედი კომპლექსი, რომელიც აგერ უკვე 15 წელზე მეტია, რაც უმოქმედოდაა. ერთი სიტყვით, ქარხნის სრული ციკლით ამუშავებას გვპირდებიან.

მე შევეცადე უმეტესწილად ქარხნის მუშა-მოსამსახურეთაგან, თითქმის რიგითი ადამიანებისაგან შემეტყო წარმოდგენა მეტალურგიაში მიმდინარე მოვლენებზე.

გივი ჯაბუა

◎ ინფორმაცია

იძიებენ პოლიციელთა „საქმიანობას“

სახალხო დამცველის აპარატი პოლიციის განყოფილებების მონიტორინგის შედეგების გამოქვეყნებას აგრძელებს. ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ პოლიციის საქმიანობაზე მონიტორინგის საბჭოს წევრებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული შემოწმებისას რამდენიმე სახის დარღვევა აღმოაჩინეს.

შესწავლილი მასალები სახალხო დამცველმა საქმის შემდგომი გამოძიებისა და შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით, შს სამინისტროსა და გენპროკურატურას გადაუგზავნა. აპარატში შესული პასუხების თანახმად, შს-მ და გენერალურმა პროკურატურამ სახალხო დამცველის რეკომენდაციები გაიზიარეს და დამნაშავეთა პირთა მიმართ კანონით გათვალისწინებული ზომები გაატარეს.

ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში უკვე დაიწყო წინასწარი გამოძიება შს გოლნისის რაიონული განყოფილების თანამშრომელთა მიმართ. კახეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს ყვარლის შს განყოფილების მორიგე-ინსპექტორს გესლიკ გვიმრაძეს და სილნალის განყოფილების მორიგე-ინსპექტორს გეურძ სირაკანიას შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით შეეფარდათ დისციპლინური სახდელი – საყვედური.

გენერალურ ინსპექციაში ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების დასკვნის საფუძველზე ქართლის სამხარეო შს განყოფილების მორიგე ინსპექტორება კაპიტან სოსო გოგინაშვილს და კაპიტან შალვა კოგალაძეს შს მინისტრის ბრძანებით შეეფარდათ დისციპლინური სახდელი – შენიშვნა.

ვინ „გაგვაჩერებინებს“ მანქანებს?

თბილისის მერია უახლოეს დღეებში გამოაცხადებს კომპანიას, რომელიც დედაქალაქში საქალაქო ტრანსპორტის გაჩერებების კეთილმოწყობაზე იზრუნებს. კონკურსში მონაწილეობის სურვილი ორმა კომპანიამ – „რეალესტ დეველოფმა“ და „მეტროსერვისმა“ გამოთქვა. გამარჯვებულმა კომპანიამ სეტემბრისთვის დედაქალაქში 120-მდე ავტოგაჩერება, 2007 წლისთვის კი თბილისის ყველა უბანში 800-მდე ავტოგაჩერება უნდა მოაწყოს.

სასამართლო პროცესი გადაიდო

თბილისის საქალაქო სასამართლოში არასამთავრობო ორგანიზაცია „ემპათიას“ ხელმძღვანელის მარიამ ჯიშკარიანისა და უფლებრივების საბჭოს მდივნის, იუსტიციის ყოფილი მინისტრის კონსტანტინე კემულარიას სასამართლო დავის განხილვა კემულარიას წარმომადგენლების არგამოცხადების გამო გაურკვეველი ვადით გადაიდო.

ჯიშკარიანი კემულარიასგან პატივისა და ღირსების შელახვისთვის ბოდიშის მოხდას და 5 ათასი ლარის ოდენობის თანხის გადახდას ითხოვს. მოსარჩელე მხარის ინტერესებს სასამართლო პროცესზე არასამთავრობო ორგანიზაცია „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ იცავს.

ახალი წყალსადენი

მარნეულის რაიონის სოფელ ჯანდარაში ახალი წყალსადენი გაიხსნა, რითაც ადგილობრივ მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა საბოლოოდ მოეხსნა. მილსადენი მთლიანად ადგილობრივი გიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით დამონტაჟდა. რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სასმელი წყლის მილები მიწის ზემოთ ამოიტანეს, რაც მილსადენზე უკანონო მიერთებების აღკვეთას შეუწყობს ხელს.

ინტერპრესნიუსი

◎ ბნელი ღამე

როდის გაჩნდა „კანონიერი ქურდი?“

(მეოთხე გვერდიდან)

„კანონიერი“ თავის ტიტულს კარგავდა, თუ მას გაუპატიურებაში (თუნდაც მცდელობაში) დასდებდნენ ბრალს, ხოლო, ვინც ქურდულ ტრადიციებს განუდგებოდა, მის მიმართ იჩენდნენ სისასტიკის და პირად ანგარიშსწორებას ახდენდნენ. თუ ის ძმაკაცების მიმართ ჩაიდენდა უსამართლობას, მაშინ მას „კანონიერი ქურდის“ ტიტულს ჩამოართმევდნენ, რაც ითვლებოდა უმკაცრეს სასჯელად და მადლობა უნდა ეთქვა, საიქიოს თუ არ გაისტუმრებდნენ. „კანონიერ ქურდს“ არ აპატიებდნენ „კანონიერის“ მკვლელობას, თუ ამას ანგარების საფუძველზე ჩაიდენდა. მათი პირადი უფლებამოსილება არცთუ განუსაზღვრელი იყო, ის დამოკიდებული გახლდათ იმ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც „კანონიერთა“ „სხოდკა“ იღებდა. თუ „კანონიერი ქურდი“ რაიმე არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა, მაშინ „სხოდკა“ ამის შესახებ სპეციალური „ქსივის“ (წერილის) საშუალებით ყველას აცნობებდა.

„კანონიერ ქურდებს“ მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ ერთა შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში. ვინც ქურდულ პრინციპებს არაფრად ჩაგდებდა და მონაწილეობას მიიღებდა ერთა შორის სისხლისღვრაში, მათ „საძმო“ ასამართლებდა და სასტიკი განაჩენი გამოჰქონდა. „კანონიერები“ ყოველგვარ დაპალებებს ასრულებდნენ და ეხმარებოდნენ სამართალდამცველ ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეების გახსნაში, აგრეთვე მონაწილეობდნენ მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის აღკვეთაში. ასე რომ, გაუხსნელი საქმეები თითქმის ალარ არსებობდა. ზოგიერთმა „კანონიერმა ქურდმა“ ისე შეტოპა, რომ „ქურდულ საქმოს“ უღალატა და შინსახკომის თანამშრომელი გახდა, ხოლო ამის შემდეგ თვით იწყებდა ყოფილი „ძმების“ დაშოშმინებას...

ადრე „კანონიერი ქურდი“ და ქურდული სამყარო პოპულარული მოვლენად ითვლებოდა. იმ ადგილას და ქუჩაზე, სადაც „კანონიერი“ ცხოვრობდა, სრული სიწყნარე, სიმშვიდე სუფევდა და არავითარ დანაშაულებრივ ქმედებებს ადგილი არ ჰქონდა, რადგან მის ავტორიტეტს აღიარებდნენ, მას პატივს სცემდნენ და, რაც მთავარია, მისი ეშინოდათ. არადა, „შიში შეიქმნს სიყვარულსა“ და მისი სახელი გაფეტიშებული იყო. „კანონიერი“ თავის სოციალურ-ეკონომიკური პიროგებით დანარჩენი მოქალაქეებისაგან არ გამოირჩეოდა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ადრინდელი „კანონიერი“ უფრო არსენას როლში გამოდიოდა, – მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა“...

„კანონიერი“ კრიმინალური სამყაროს სხვა წარმომადგენლებისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას მკერდზე ამოსვირინგებული უნდა ჰქონოდა ხანჯლით განგმირული გული. ასეთი სვირინგის გაკეთება განსაკუთრებული ნებართვის გარეშე სასტიკად იყო აკრძალული. წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითმარქვიას დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. აქვე დავძენ, რომ ყველა „კანონიერს“ აძლევდნენ „კლიჩკას“ (ზედმეტ სახელს).

ასე იყო ადრე... გავიდა ხანი და 60-80-იან წლებში ახალგამოჩეკილმა „კანონიერმა ქურდებმა“ უარყვეს ძველი ტრადიციები და უღალატეს „ქურდულ კოდექსს“. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი კავკასიური წარმოშობის „კანონიერებმა“. მათ ხელი მიჰყვეს წმინდა სისხლის სამართლის დანაშაულებრივ საქმეებს, – ძალადობას, მოსყიდვას, რეკეტს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ კი ჩაებნენ კომერციულ საქმიანობაში და ნარკობიზნესში, დაიწყეს იარაღით ვაჭრობა, სახელისუფლებოწრეებში შელწევა...

„ქურდული კოდექსის“ მოთხოვნათა დამცველებს და, საერთოდ, ძველი ტრადიციების მიმდევრებს „ტრადიციონალისტებს“ უწოდებენ. ისინი ძირითადად რუსი ეროვნების არიან, პოლიტიკაში არ ერევიან და საქმეების გარჩევისას მომრიგებელ მოსამართლეთა როლში გამოდიან. მათგან განსხვავებით, დანარჩენმა „კანონიერმა ქურდებმა“ უარყვეს ადრე ჩამოყალიბებული ტრადიციები და არც პოლიტიკაში ჩარევამონაწილეობაზე აცხადებენ უარს. მათ საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს მალე აუღეს ალღო და კაპიტალიზაციის გზას დაადგნენ. ისინი, ფაქტობრივად, ეკონომიკურ სფეროს განაგებენ და ჩრდილოვანი ეკონომიკის კატალიზატორებად გვევლინებიან. ასეთებს „მოდერნისტებს“ უწოდებენ, რომლებსაც კავკასიელი, განსაკუთრებით კი ქართველი „კანონიერები“ მიეკუთვნებიან, ამჟამად „მოდერნისტებს“ აქვთ ფეუნებელური სასახლეები, უცხოური მარკის ავტომანქანები, დიდძალი კაპიტალი და სხვა ბევრი რამ, რითაც ისინი არ გამოირჩევიან ოლიგარქებისაგან და ელიტარული სამყაროს წარმომადგენლებისაგან.

განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებასთან ბრძოლის რუსეთის სამსახურების ალრიცხვით, ამჟამად მარტო რუსეთში 1200 „კანონიერია“, რომელთაგან ზოგიერთები სასჯელს თავისუფლების ალკვეთის ადგილებში იხდიან. ბევრი მათგანი უცხოეთის ქვეყნებში „მოლვაწეობენ“.

რუსეთში მცხოვრები „კანონიერი ქურდების“ საერთო რაოდენობის 30 პროცენტზე მეტი რუსული ეროვნებისაა, მეორე ადგილზე არიან ქართველები, შემდეგ მოდიან სომხები, აზერბაიჯანელები, შედარებით ნაკლები რაოდენობის არიან უკრაინელები, გელორუსები, ყაზახები, უზბეკები, ჩეჩნები, ოსები...

საფრთხეს აქტიურად იზრდის „კანონიერი ქურდების“ წინააღმდეგ. თუ რაიმე წარმატების მოპოვება გვინდა, მათთან უნდა „იმუშაონ“ ისეთმა პროფესიონალებმა, რომლებსაც გააჩნიათ დიდი გამოცდილება და იციან ქურდული ფსიქოლოგია.

არ დაგვავიწყდეს, რომ ლოზუნგი – „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ ისტორიას ჩაბარდა და მის ნაცვლად უკვე ძალაშია – „მაფიოზებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

გურამ ჩხიკვაძე

მწერალთა კავშირის XXII ყრილობისა და კიდევ ზოგიერთი რამის გამო

პოლემიკა

ამ წერილის დაბეჭდვას საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდი ალარ აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამა წლის 20 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ზურაბ თორიას სახელითმწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის „საქმიანობის“ სახოტბო და მწერალთა ლიტფონდის სალანძღავი მასალა გამოქვეყნდა, ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ მკითხველთა სამსჯავროზე წერილის გამოტანა; დაე, მკითხველმა განსაჯოს მტყუან-მართალი!..

ის, რაც საქართველოს მწერალთა კავშირის XXII ყრილობაზე მოხდა, ალბათ, კომუნისტურ ეპოქაშიც არავის დასიზმრებოდა...

კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ ყრილობისთვის სპეციალურად მომზადებულ-დამუშავებულმა თავმჯდომარემ (**ბადრი ძუთათელაძემ**) თვითონ ბუნებრივად, ღია კენჭისყრით, სასწრაფოდ, კავშირში ახლა მიღებული 170 (?!) წევრის 100 პროცენტიანი „მხარდაჭერით“, თავმჯდომარე-მოადგილეებად კვლავ ძველი შემადგენლობა „დაამტკიცა“, თან ისე, რომ დარბაზისთვის არც უკითხავს, სხვა კანდიდატები თუ იყო კიდევ... როცა ამის თაობაზე რამდენიმე მწერალმა პროტესტი გამოთქვა და, თუნდაც, მოადგილეებზე ფარული კენჭისყრა მოითხოვა, ძუთათელაძემ მათ ცივი უარი უთხრა: რა დროს სხვა კანდიდატების დამატება-დასახელებაა, კენჭი უკვე ვუყარეთო!.. (ახლა კი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ცრუობენ, რომ კანდიდატურები იყო, მაგრამ მოხსნესო!.. როგორც ჩანს, მათ მთელი მწერლობა დაბრმავებული და დაყრუებული ჰგონიათ!..ძ ყრილობის ორგანიზატორებს არც ხმის დამთვლელი კომისიის დასახელება გახსენებიათ, არც არჩევნების შესახებ საარჩევნო კომისიის ოქმის შედგენა, რაც გამოცხადებულ შედეგებს უკანონოს და არალეგიტიმურს ხდის!..

ასეთი ერთგულებისა და თავდადებისთვის კრების თავმჯდომარემ მწერალთა კავშირის გამგეობის წევრობას „გამოჰკრა“ ხელი... ყრილობის მონაწილე მწერლები (აქ, სამწუხაროდ, უნდა ვიხმაროთ სიტყვა „ნამდვილი“ — დიახ, ნამდვილი მწერლებიძ თუ მოწვეული სტუმრები გაოცებას ვერ მალავდნენ...

მაშინ, როცა მწერლობა საზოგადოებას ზნეობისა და სამართლიანობის მაგალითს უნდა აძლევდეს, იგი, ამ შემთხვევაში, მწერალთა კავშირის ზოგიერთი სახელგატეხილი ხელმძღვანელის აქტიურობით, თვითონ გამოვიდა უკანონობის დამცველად, რაც ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციებშიც კარგად გამოჩნდა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჯერ არ დამთავრებულა, როგორც ერთ-ერთ რეზოლუციაში წერენ: **„მწერალთა კავშირის ერთიანი იდეოლოგიური ან სალიტერატურო-მეთოდური პრინციპებით არსებობის ეპოქა...“ და ეს ყრილობაც „ავადმოსაგონარი საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის მსგავსი დიქტატორული პოლიტიკის გატარების ნიმუშია და ანტიდემოკრატიულია თავისი შინაარსით“** (მე-2 რეზოლუციიდანძ.

ყრილობის მიერ მიღებული ხუთიოდ (?!ძ რეზოლუცია სავსეა ყალბი, კომუნისტური ულერადობით სავსე სიტყვებით ხუთიოდ ერთნაირი მინაწერი აქვს: **„მიღებულია ერთხმად!“** როგორ გატონეგო, ერთი კაციც არ იყო რომელიმე რეზოლუციის წინააღმდეგ? ან, თუნდაც, რომელიმე მწერალმა მციერედი უყურადღებობის გამო, თავიც არ შეიკავა?! მაგ სიმართლით იარეთ! მაგრამ ქართულმა მწერლობამ რა დააშავა?! თუნდაც მე-2 რეზოლუცია ავიღოთ, რომელიც პარლამენტის მიერ მწერალთა დასახმარებლად მომზადებულ კანონ-პროექტს (დიახ, კანონ-პროექტს და არა უკვე კანონს!ძ ეხება, სადაც თქვენ „ძვას ძვაზე არ ტოვებთ“ და ტყუილების გულს აყენებთ: მწერალთა კავშირს ლიკვიდაციას უპირებენო!.. პარლამენტის დაცვას არ ვაპირებთ, მაგრამ სიმართლე ხომ უნდა ითქვას? მწერალმა ზაურ კალანდიამ ამ პროექტის ბოლო პარაგრაფი იქვე გაგაცნოთ, სადაც „მწერალთა კავშირი ლიკვიდირებულად გამოაცხადეს“-ო კი არწერია, არამედ ყველა შემოქმედებითმა გაერთიანებამ და, მათ შორის, მწერალთა კავშირმა რეგისტრაცია გაიარო!.. „ლიკვიდაცია“ და „რეგისტრაცია“ რომ სხვადასხვა მცნებებია და რომ კანონ-პროექტშიც ნამდვილად ტერმინი „რეგისტრაცია“ ეწერა, თქვენც იქვე ალიარეთ.. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, მაინც ტყუილზე აგებული რეზოლუცია გამოაქვეყნეთ!.. რას მისცემს ქართულ მწერლობას ამგვარი პოპულისტური ხერხებით ხელისუფლებასთან და პარლამენტთან კონფრონტაციაში ყოფნა? როცა იგივე პარლამენტი (ყოველ შემთხვევაში, ამ კანონ-პროექტით, რომლის დამუშავებაც კვლავაც მიმდინარეობს!ძ ცდილობს, რასაც საშუალებები და გზები გამონახოს მწერლობის გადასარჩენად, ჟურნალ-გაზეთების, წიგნების დასაფინანსებლად, სტიპენდიების, პენსიების, ჰონორარების მოსაძიებლად და ა. შ. **ჩვენ ვთხოვთ პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტს, აღნიშნული კანონი დროულად გაიტანონ დასამტკიცებლად, რათა ქართული მწერლობის პროგლემები ნაწილობრივ მაინც მოგვარდეს!**

ყველამ ნახა, მთელი ყრილობა სასამართლოზე დ ხელის უფლებაზე გამარჯვებულთა საზეიმო შემართებით მიმდინარეობდა და ამისთვის სპეციალურად მომზადებული გამომსვლელებიც, ჟურნალისტთა სახლიდან გამოდებული და ახლახანს მწერალთა კავშირის წევრად მიღებით, „გამწერლებული“ ვინმე ზ. რცხილაძის მეთაურობით, აღფაცებით ალნიშნავდნენ, თუ როგორ იმარჯვეს კავშირის ხელმძღვანელებმა სასამართლოზე, როგორ დაიგრუნეს წასართმევად გამზადებული შენობები, რისთვისაც მათ ამ „ბეიროგისა“ და „შემართების“ სანაცვლოდ კვლავაც დაიმახსურეს თანამდებობებზე არჩევა-დატოვება და ასეც მოხდა, მაგრამ... როგორც იტყვიან: ტყუილს მოკლე ფეხები აქვს! რაც იმავე ხელმძღვანელების მიერ ყრილობის სახელით მიხელილ სააკაშვილსადი გაგზავნილი რეზოლუციიდან ისე გამჟღავნდა, თვითონაც ვერ მიხვდნენ, ისინი საქართველოს პრეზიდენტს წერენ: **„თქვენ შეგიძლიათ ერთი ბრძანებით საქართველოს მწერალთა კავშირს იურიდიულად დაუკანონოთ მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობები (მაჩაბლის ქ.13-11ძ“.** აბა, დარბაზს რაღას ატყუებდით, შენობები დავიგრუნეთ და უკვე ჩვენ გვაკუთვნისო?!.. ან, თუ დაიგრუნეთ და თქვენ გეკუთვნით, მაშინ, საქართველოს პრეზიდენტს რაღას აწუხებთ?! ანდა პრეზიდენტის დედას ხეში რად თქვენს მხარდამჭერებში რომ ახსნეთ, რამდენად სამართლიანია?!

კარგად იცით, რომ მწერალთა კავშირის შენობას მწერლობას ვერავინ წაართმევს, ამაზე არც ყოფილა ლაპარაკი... ისე კი შეიძლება, თქვენ, სათითაოდ დასაკუთრებული კაბინეტები დაკარგოთ და ყველანი ერთ ოთახში აღმოჩნდეთ (მერე რა მოხდა?!ძ, ამ შენობას კი „მწერალთა კავშირის“ ნაცვლად „საქართველოს მწერალთა სასახლე“ ან „ლიტერატორთა სახლი“ ეწოდოს, რაც სამართლიანი იქნება და, სადაც მწერალთა კავშირიც განთავსდება და სხვა სამწერლო ორგანიზაციებიც, რომლებიც დღეს მწერალთა კავშირის შემადგენლობაში არ შედიან, მაგრამ მათი წევრები მემკვიდრეები არიან დიდი ქართული მწერლობისა, როგორც თითოეული ჩვენგანი, აბიტომ მათთაც ისეთივე უფლებები აქვთ ამ შენობებზე, როგორც მწერალთა კავშირის წევრებს, როგორც თქვენ, რომლებიც მას კაბინეტების გამო, ასე ეგლაუჭებით, თორემ მწერალთა კავშირის რიგითი წევრები რას კარგავენ? მათ შენობაში და კლუბში შეხვედრებზე შესვლას ვერც მაშინ დაუშლის ვინმე!.. ისე კი მწერალთა კავშირს, რომელსაც მხოლოდ საკლუბო ფუნქციები შერჩა, ამდენი ხელმძღვანელი არაფერში ჭირდება, ერთი თავმჯდომარეც ეყოფა!.. ხარჯიც უფრო ნაკლები იქნება! მაგრამ ამ ხარჯს ვინ ჩივის? ყრილობის შემდეგ დელეგატებმა მე-2 ვადით „დამტკიცებულ-არჩეულ“ უფროსების დასალოცად წინასწარ მომზადებულ 100-კაციან სუფრაზე ჭრიამულით გადაინაცვლეს!.. რაც შეეხება განკეტის გადასახადს, აბმოგენ, უხელფასოდ მომუშავე ხელმძღვანელება ნისიად „გაპანასესო“, რის დასაფარავადაც „ქართული მწერლობის **პატრიოტულად განწყობილმა რაზმმა** (?!ძ“ (ამონარიდები, აქაც და ქვემოთაც, მწერალთა კავშირის ბოლო, XXII ყრილობის რეზოლუციებიდანაა!ძ და მისმა **„ზოგიერთმა წევრმა მგლური მადა გამოამჟღავნა და მზაკვრული ნილბით (სხვისი!ძ ქონების და ქალაუფლების მეკობრული მიტაცება დაიწყო...“**

არადემოკრატიულად ჩატარებული ყრილობის შემდეგ დაგალება მისცა მწერალთა ამ „პატრიოტული რაზმის“ წევრებს, კვლავაც „დარჩნენ მწერალთა კავშირის წევრებად, განუხრელად (?!ძ დაიცვან მისი სიმტკიცე(?!ძ და ერთიანობა.“(?!ძ, „უფრო ძველივთად(?!ძ გააგრძელონ საძმიანობა“ და სხვა იურიდიულად დამოუკიდებელი ორგანიზაციის (ამ შემთხვევაში საქლიტფონდისძ თავმჯდომარის მოხსნა-დანიშვნის საკითხი განიხილონ(?!ძ; **„ყრილობა ავალებს ახლად არჩეულ ხელმძღვანელობას და გამგეობას, მწერალთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის პირველსავე სხდომებზე დაამტკიცონ მწერალთა კავშირის ლიტერატურული ფონდის (ლიტფონდისძ თავმჯდომარე“** (ნაწყვეტი რეზოლუციიდანძ. თავის თავი ხომ ზარზეიმით აირჩიეს, ახლა ლიტფონდის ხელმძღვანელობასაც ვიდგნენ!.. ამაზე იტყვიან: მადა ჭამაში მოდისო!..

ისე კი, ალბათ, აჯობებდა, საეჭვო ფასად გაძირავებული მწერალთა კავშირის კუთვნილი შენობების და უკანონოდ შექმნილი შპს „ეროვნული მწერლობის“ მარეგი დან, წელიწადში მხოლოდ 5000-6000 ლარს თუ შეადგენდა. ამასთან ერთად, ამ წლებში ფონდი ქვიშხეთში ინახავდა 4 თანამშრომელს, უხდიდა ხელფასს, კოსმეტიკურ რემონტს უტარებდა ქვიშხეთის დასავენებელ და უკვე დანგრევის პირას მის ულ კოტეჯებს და ა.შ. მიმდინარე წელს, დაუფინანსებლობის გამო, ხელფასები საერთოდ არ გაცემულა! ამის თაობაზე საჭიროს საბუთები უკვე გადავეცით იუსტიციის სამინისტროს და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს; ფონდის საძმიანოებით დაინტერესებულ პირებს ადგილზე თავისუფალდ შეუძლიათ ყოველგვარი ინფორმაციის მიღება...

საკითხავია, ორი წლის განმავლობაში რამდენ მწერალს გაუწია დახმარება თვითონ მწერალთა კავშირმა? რომლის შემოსავალი გაძირავებული შენობებიდან („მერნის“ — 25 პროცენტი, მაჩაბლის ქ.1, N 13, N11ძ რომორც ამბობენ, თვიურად მინიმუმ 3500 დოლარამდეა, რაც წელიწადში 42000 დოლარს, ხოლო ორ წელიწადში — 84000 დოლარს უტოლდება(?!ძ ეს კი 150 000 ლარს (?!ძ აჭარბებს! სად მიდის ამდენი თანხა? ვის ხელში ხვდება და რას ხმარდება? ამის თაობაზე მწერლების 90 პროცენტმა არაფერი იცის! ისე კი კარგი იქნებოდა, ამ საკითხით დაინტერესებულიყვნენ, მაშინ მწერალთა ყრილობა ასე ბრმად და „ერთხმად“ კი არ აირჩევდა ამ ხელმძღვანლობას, არამედ ზოგიერთს საკადრის პასუხს მოსთხოვდა!.. რადგანაც 150000 ლარიდან, ვთქვათ, 30000 ლარი დიხარჯა წიგნებზე, ხელფასებზე და ა.შ., მარტო 300 მწერალს, ორი წლის მანძილზე დანარჩენი 120000 ლარიდან, დივიდენდების სახით თითოეულს სულ ცოტა 400-400 ლარი მაინც ერგებოდა! რომელიც არავინ იცის, სად დაიკარგა!...

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ სახლში წაიღეს, მაგრამ რაღაც ინფორმაცია ხომ უნდა არსებობდეს?!

— შენობის, წყლის, შუქის გადასახადი გადავიხადეთო, წიგნები გამოვეცითო, — იტყვიან... წიგნებს ბ. გვერდწითელიც კარგად და უკეთესი გემოვნებითაც ბეჭდავდა, მაშინ რასას ვერჩიოდით?!. რაღაც საძმის კეთებას კი ნუ დაგვამადლით, მანდ მწერლების საძმეების მოსაგვარებლად და პროგლემების გადასაჭრელად ირჩევენ და არა პირადი ცხოვრების მოსაწყობად! თუ კავშირში, პროგლემების მეტი არაფერია, მაშინ თანამდებობისთვის თავს რაღაზე იკლავდით?!

იმის შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის XXII ყრილობაზე მოხდა, მწერალთა კავშირის დაშლა სხვადასხვა გაერთიანებებად უკვე გარდაუვალია, რადგანაც ამ ხელმძღვანელებმა (განსაკუთრებით ზოგიერთმა!ძ საკუთარ ამბიციებს, კაბინეტომანიას გადააყოლეს მთელი მწერლობა, მათ უკანონოდ, ძალადობით, ვითომ „თავისუფალი, საყოველთაო არჩევნები“ ჩაატარეს (მათი ტერმინებია!ძ, რაც „დიქტატორული პოლიტიკის გატარების შესანიშნავი ნიმუშია“ (ეს ციტატაც რეზოლუციიდანაა!ძ, კონსოლიდაციის ნაცვლად მათ მწერლები ერთმანეთს დაუპირისპირეს!..

ლიტფონდი და მისი გამგეობა მიმართავს ყველა ნორმალურად მოაზროვნე მწერალს (კავშირის წევრს თუ არაწევრსძ, მათივე რეზოლუციას გამოვიყენებენ: **„გაეროს, იუნესკოს, უცხოეთის საელჩოებს და დიპლომატიურ წარმომადგენლებს, მსოფლიოს ყველა ხელოვანს, დაიცვან დემოკრატიის მონაპოვარი და არ დაუშვან დიქტატორული რეჟიმის ჩამოყალიბება საქართველოში, რისი კიდევ ერთი თვალსაჩინო დასტურია აღნიშნული“** ყრილობის მიერ მიღებული კომუნისტური სულისკვეთებით დატვირთული განცხადებები; არ დაუშვან თავისუფალ მწერალთა გაერთიანებების შეზღუდვა-შევიწროების შემთხვევები, **ზოგიერთების „მგლური მადის გაზრდა და ქონების მეკობრული მიტაცების დიქტატორული მცდელობები!..“**

ისე კი გვინდა მწერალთა კავშირის გამგეობის ახალ წევრებს მეგობრულად შევახსენოთ, რომ მწერლობა ზნეობრივი პას უხისმგებლობაცაა, ამიტომ ვთხოვთ, უკანონობას მხარს ნუ დაუჭერენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, მწერალთა კავშირის ისედაც შელახული ავტორიტეტი უფრო შეილახება!.. რადგანაც აქედან, როგორც თვითონ წერენ რეზოლუციაში: **„ერთი ნაბიჯია ნებისმიერი პოლიტიკური თუ პროფესიული გაერთიანების ლიკვიდაციამდე“!..**

საქართველოს მწერალთა ლიტერატურული ფონდის პრეზიდენტი

ინფორმაცია

აქცია გორში

შიდა ქართლის პოლიციის შენობასთან ორი წლის წინათ გარდაცვლილი ლაშა მაყაშვილის ახლოგლეები გუშინ დილიდან აქციას მართავდნენ. ლაშა მაყაშვილის ცხედარი ორი წლის წინათ მდინარე მტკვრის სანაპიროზე იპოვეს. თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმე თვითმკვლელობის მუხლით აღიძრა, თუმცა მოგვიანებით ოჯახის წევრების პროტესტის შემდეგ კვალიფიკაცია შეცვალეს და სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. ამ ორი წლის განმავლობაში ოთხი გამომძიებელი გამოიცვალა, თუმცა მკვლელობაში ეჭვმიტანილი ჯერჯეროგით გამოკვეთილი არ არის. ოჯახის წევრები გამოძიების ხელახლა დაწყებას ითხოვენ და ყველა იმ ადამიანს ადანაშაულებენ, ვინც არაობიექტურ გამოძიებაში მონაწილეობას ილებდა. სამართალდამცველების მხრიდან ჯერჯეროგით კომენტარი არავის გაუკეთებია.

რა მომავალი აქვს „მომავალს“?

ჯემალ გოგიტიძის ყოფილი პირადი მრჩეველი ბორის ტარიელაძე აჭარის მოსახლეობას სახალხო მოძრაობასთან — „მომავლისთვის“ — ურთიერთობის გაწყვეტისკენ მოუწოდებს.

როგორც ბორის ტარიელაძემ 30 მაისს გათუმში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ეს ორგანიზაცია მოსკოვიდან იგორ გიორგაძისა და ჯემალ გოგიტიძის მიერ ფინანსდება. მისი თქმით, ამ ორგანიზაციას ამჟამად ყოფილი ჟურნალისტი ნინო კვირიკაძე ხელმძღვანელობს, რომელიც ასლან აბაშიძის ერთგულ მხარდამჭერად მოიაზრებოდა. ბორის ტარიელაძის განცხადებით, ჯემალ გოგიტიძე ის ადამიანია, რომლის შინაგან საქმეთა მინისტროების დროს რევოლუციამდელ აჭარაში იგეგმებოდა ხიდების აფეთქება, განდფორმირებების ჩამოყალიბება, დატერორება, ადამიანებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა. „ყველაფერი მის კაბინეტში იგეგმებოდა და მას უშუალოდ აჭარაში ჯემალ გოგიტიძის დავალებით ასრულებდნენ“, — აცხადებს ტარიელაძე.

გვაზავა თავს დამნაშავედ არ ცნობს

ზუგდიდის სასამართლო ე.წ. ზვიადისტის ბეჟან გვაზავას აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმსჯელებს.

გვაზავას სოლქო პროკურატურამ 29 მაისს გვიან ღამით წაუყენა ბრალი. მას იარაღის უკანონო ტარება ედება ბრალად. მისი ადვოკატის პაატა სოტკილავას განცხადებით, დაკავებული თავს უდანაშაულოდ ცნობს და ჯერჯეროგით დუმილის უფლებას იყენებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში გვაზავას 3-დან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

ბეჟან გვაზავა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა რამდენიმე დღის წინათ წალენჯიხის რაიონის დაბა სქურის ტერიტორიაზე დააკავეს. მან კურორტ სქურში, პატრიოტული ბანაკის მიმდებარე ტერიტორიიდან, იარაღიდან უმისამართოდ გაისროლა. ერთ-ერთი ვერსიით, იგი მეგობრებთან ერთად ქეიფობდა, რის შემდეგაც ჰაერში რამდენჯერმე ავტომატიდან გაისროლა.

ინტერპრესნიუსი

◎ ფიქრი მომავალზე

თენგიზ არჩვაძე:

„გულს მიკლავს უიმედობა“



მთელი გაზაფხული გვმოძღვრავდა ტელევიზიით თენგიზ არჩვაძე: „გაგუეგო, დავრგოთ ნერგები!“

აბა, ამაზე კარგი საქმე, მართლაც რა უნდა იყოს?

ამ ნერგების ნაყოფს ხანშიშესულნი ვეიძლება, სულაც ვერ მოვესწროთ, მაგრამ მომავალს ხომ დავუტოვებთ?..

– „კათარზისის“ შეკვეთილია ეს კლიპი, – მიამბოს ჩვენი ხალხის საყვარელი მსახიობი, გულმხურვალე მამულიშვილი (ესაუბროთ კაფეში, თან ჩვენი ტრადიციების სადღეგრძელოს ვსვამთ. – გადამეკიდნენ და, მეტი რა ჩარა იყო... ისე, საერთოდ, მე ძალიან მსიამოვნებს ნერგების დარგვა, ხეხილის მოვლა. მისაძციელს ზემოთ ლაშარის ჯვარია – სოფელი. იქ ვიყიდე რამდენიმე წლის წინათ ნაკვეთი თავისი სახლ-კარით. ხეხილი გლომად დამხვდა ეზოში, მაგრამ მეც მივამატე... ახლა იქა ვარ უმეტესად, ჩამოდი, დავლოცოთ ჩემი ღვინით არაგვისპირი...

– მამაპაპისეულ სოფელში თუ ჩადიხარ?

– ზემო ბარში გვედგა კარგი სახლი, ბარაკონთან, რაჭის ერისთავის რეზიდენციასთან ახლოს, ძალიან დააზიანა 1991 წლის მიწისძვრამ. მივდეკ-მოვდეკი, კეთილი ხალხი დამეხმარა, დავიწყე მშენებლობა, ჩავყარეთ საძირკველი, მაგრამ ზამთარმა მოგვისწრო, მერე ქვეყანა აირია და დარჩა და დარჩა საძირკველი...

– იმ სახლის მკვიდრნი თუ გახსოვს?

– გაგუა 1907 წელს მოკლეს და, აბა, საიდან მემახსოვრება... 51 წლის იყო... სუფრაზე თამადად დასვეს, შუა ლხინში აუხირდნენ და მოკლეს – „სხვაგვარად“ მოაზროვნე იყო, ილიელი იყო და აკი, დიდ ილიას მიაყოლეს... 5 შვილი დარჩა, მამაჩემი გრიგოლი იყო უფროსი და მას მოუწია და-ძმების გაზრდა...

– რაც ხანში შევდივართ, დამეთანხმები, წინაპართა ხსოვნა მაყფრდება. ამ ბოლო დროს, პუროგისას, ოთხი გვარის, ანუ ჩვენი გეგიეგის და გაგუეგის სადღეგრძელო დამჩემდა. შენი ოთხი გვარი, ეჭვი არ მეპარება, რომ სხაპასხუპით გეცოდინება...

– აგა, როგორ!... გაგუაზე რომ გიყვეგოდი, ის დავითი იყო – არჩვაძე, მეუღლე ჰყავდა ნატო გოჭორიშვილის ქალი, დედულეთიდან ნიკოლოზ სხირტლაძე და ანა ქვათაძე იყვნენ ჩემი გაგუა და გეგია.

– შენს შვილებს, რომელიმეს, თუ დაარქვი მათი სახელი?

– მე ორი ქალის მამა ვარ, ნატოს – გეგიის სეხნიას – იცნოგ შენ... იმათგან სამი შვილიშვილი და ერთი შვილიშვილის შვილი – 7 წლის ნატო მყავს, ანუ ჩემი ქალიშვილის სახელი ჰქვია მის შვილიშვილსაც – თამარ ჭოხონელიძის სტუდიაში დადის, სიმღერის ნიჭი დაჰყვა...

– ალბათ, გიჟდებიან შენზე... ასეთი გაგუა განა გევრს ჰყავს...

– კარგი რა... უერთმანეთოდ გვიჭირს, ცხადია... მე მაინც ჩემი „ანგარიშები“ მაქვს ახალთაობის მიმართ: ის „ქართული“ სიყვარული იკარგება ფესვის, ძირის, წარმომავლობის, გნებავთ, სამშობლოს მიმართ... ამას, სამწუხაროდ, ხელისუფლებაც ხელს უწყობს – კოსმოპოლიტები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში, ილიას გზა და „ენა, მამული, სარწმუნოება“, გევრში უკვე ირონიულ ღიმილს იწვევს. არადა, გავითქვიფეთ ამ უკიდეგანო ოკეანეში, ჩაგვყლაპავს გლობალიზაცია და ეს უზარმაზარი კულტურული ფასეულობა – თუნდაც, ქართული ენა, ქართული დამწერლობა, აღარავის დასჭირდება. ხოლო უჯიშო, უჯილაგო, ტრადიციების უარმყოფელი „ამერიკელი ქართველი“ გინდ ყოფილა და გინდ არა...

ამიტომ, ჩემო ძმაო, სკეპტიკოსი გავხდი და ამ სიგელეში ხშირად ვიმეორებ გრიგოლ ორგელიანის, ილიამ რომ „პოეზიის ღენერალი“ უწოდა, გულამოსკვნილ ჩივილს:

„დავგერდი, გედს ვერ მოვესწარ,
დაეგხო ჩემი საშშოგლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

ჰოდა, კი გატონო, ჩვენისთანა მცირე ერის შვილი დაეწაფოს კომპიუტერის ცოდნას, გაიფართოოს გონებრივი ჰორიზონტი, ოღონდ, უნდა იცხოვროს ბრძნული ქართული შეგონებით, – **გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ!..** ამას, კარგად ვხედავთ, გევრი არ აკეთებს...

– ეგეთი უიმედობა, ნამეტანია...

– საქართველოში, სამწუხაროდ, დღეს გევრია ასე. რა იქნება ხვალ?.. ეს კითხვა უგურღავს ტვინს ქართველ კაცს, საშველი კი არ ჩანს...

– ალბათ, უნდა დაგეთანხმო.

ვილენ მარდალეიშვილი

სააქციო საზოგადოება „საქფოთქმრეწვის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება 2006 წლის 23 ივნისს 12 საათზე ადმინისტრაციულ შენობაში: ქ. თბილისი, მაიაკოვსკის ქ. № 7.

დღის წესრიგი:

1. დირექციის ანგარიში 2005 წლის საქმიანობის შედეგებზე;
2. სამეურნეო-საფინანსო საკითხების განხილვა;
3. აუდიტორის არჩევა.

სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2006 წლის 2 ივნისი.

დირექცია, სამეთვალყურეო საბჭო.

იყიდება ტუალეტის ქაღალდის მწარმოებელი დანადგარი, ოთხ ფერზე საგეჭდი მოწყობილობით, გამოშვების წელი – 1991, იაპონური, გაუხსნელი. ფასი შეთანხმებით, საკონტაქტო ტელეფონი 855 44-33-22 ვახტანგი, შპს „პლანეტა“.

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-96-32; 899 328576

◎ თარიღი

ქვეყნის სასიკეთოდ დაანგარიშებული წლები

გულალტრული აღრიცხვის დისციპლინებში სამეცნიერო-პედაგოგიური ხაზით მომუშავე ქართველ მოღვაწეთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პროფესორ ივანე გოდერძიშვილს.

იგი დაიბადა 1926 წლის 15 მაისს, ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოში. იქვე მიიღო არასრული საშუალო განათლება, ხოლო საშუალო სკოლა დაამთავრა ყაზბეგში (1947 წ.ძ.

1947-1948 სასწავლო წელს იმუშავა ყაზბეგის რაიონის სოფ. ახალციხის 8-წლიან სკოლაში, დაწყებითი კლასების მასწავლებლად. 1948-1953 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტია. 1953-1956 წლებში იმუშავა გაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, საღრიცხვო-ეკონომიკური დისციპლინების მასწავლებლად.

1956 წელს ჩაირიცხა და 1957 წელს წარმატებით დაამთავრა ქ. მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგროპედაგოგიური ფაკულტეტი, საგულალტრო აღრიცხვის სპეციალობით და მიენიჭა საგულალტრო აღრიცხვის დისციპლინების მასწავლებლის კვალიფიკაცია.



1957-1958 სასწავლო წელს იმუშავა ქ. ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, საგულალტრო აღრიცხვის დისციპლინების მასწავლებლად, ხოლო 1958 წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გულალტრული აღრიცხვისა და ანალიზის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, სადაც იმუშავა 3 სასწავლო წლის განმავლობაში.

1959 წელს საკონკურსო შერჩევის წესით ჩაირიცხა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დასწრებული სწავლების ასპირანტურაში, გულალტრული აღრიცხვის სპეციალობით, ხოლო 1961 წლის სექტემბრიდან, ინსტიტუტის ინტერესებიდან გამომდინარე, საკავშირო საატესტაციო კომისიის ნებართვით, ასპირანტურაში გადაიყვანეს დაუსწრებელ სწავლებაზე და დანიშნეს სტატისტიკისა და საგულალტრო აღრიცხვის კათედრის ასისტენტად. გატონი ივანე 45 წლის განმავლობაში უანგარო და თავდადებულად მოღვაწეობს დღევანდელ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში. აქ დაიცვა მან საკანდიდატო დისერტაცია საგულალტრო აღრიცხვის თემაზე (1971 წ.ძ და აქვე გაიარა მეცნიერ-პედაგოგის ყველა იერარქიული საფეხური, – ასისტენტიდან პროფესორობამდე.

პროფესორმა ივანე გოდერძიშვილმა თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ქართული სააღრიცხვო მეცნიერების განვითარებაში. მან შექმნა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურული ბაზა საგულალტრო აღრიცხვის დისციპლინებში. მათი ჩამოთვლა (საბაზეთოქ ჯუნლიკაციაში შეუძლებელია. საკმარისია აღინიშნოს, რომ მისი სამეცნიერო შრომების რაოდენობამ 120-ს გადააჭარგა, რომელთა საერთო მოცულობა 400-მდე ნაბეჭდ თაბახს შეადგენს. გამოქვეყნებული შრომებიდან: 40-მდე ნაშრომი წიგნის სახითაა გამოცემული, რომელთაგან 6 ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოა უმაღლესი სასწავლებლებისთვის, მათ შორის 3 სახელმძღვანელოა განათლების სამინისტროს გრიფით (სააღრიცხვო-ეკონომიკური, აგრობიოლოგიური, ზოოტექნიკური და იურიდიული სპეციალობებისათვისძ; 4 მონოგრაფია; 34 – ინსტიტუტის (უნივერსიტეტისძ სამეცნიერო შრომებსა და სახელმძღვანელოებში ჩართული ნაშრომი; 28 – საუურნალო სტატია (რუსულ და ქართულ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალებშიძ, ხოლო დანარჩენი – სამეცნიერო-მეთოდური ხასიათის მოხსენებათა თეზისები, მეთოდური მითითებები, რეცენზიები, საცნობარი ხასიათის და სხვა პუბლიკაციებია.

პროფესორ ივ. გოდერძიშვილის მოღვაწეობა მხოლოდ სამეცნიერო მუშაობით არ შემოფარგლულა, სამეცნიერო მუშაობის პარალელურად მან მრავალი წელი იღვაწა ეკონომიკის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დაუსწრებელი სწავლების დარგში, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანად და გულალტრული აღრიცხვის (შემდგომ გულალტრული აღრიცხვისა და აუდიტისძ კათედრის გამგედ.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს პროფესორ ივ. გოდერძიშვილის მუშაობა კათედრის გამგედ (1986-1996 წ.წ.ძ. მან ზედმიწევნით კარგად იცოდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში მთავარი მაინც მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება იყო, ამ ურთულესი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა კი სწავლისა და მუშაობის სათანადო პირობების შექმნას მოითხოვდა. გატონმა ივანემ კათედრის ხელმძღვანელობა სწორედ ამ საქმის მოგვარებით დაიწყო: გააახლა, თანამედროვე ინვენტარით მოაწყო ლაბორატორიები და სასწავლო და სამუშაო კაბინეტები, უახლესი ტექნიკით აღჭურვა გულალტრული აღრიცხვის სასწავლო კაბინეტი და მშობლიურ ენაზე სტუდენტებს შეუქმნა სასწავლო-მეთოდური ლიტერატურული ბაზა: ძირითადი და დახმარე სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები, თვალსაჩინო მასალები „გულალტრული აღრიცხვის თეორიაში“, სავარჯიშოების, ამოცანების კრებულები კათედრის სასწავლო დისციპლინებში, მათი გამოყენების მეთოდური მითითებები, დამუშავებითი რვეულები პრაქტიკული მეცადინეობებისათვის, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის პროგრამები, ახალი სასწავლო პროგრამები, უზრუნველყო სტუდენტები პირველადი აღრიცხვის დოკუმენტაციით, სინთეზური და ანალიზური აღრიცხვის რეგისტრებით და ა.შ.

შედეგმაც არ დააყოვნა: ინსტიტუტის 53 კათედრიდან 34-ე ადგილზე მყოფი კათედრა, საკონკურსო მაჩვენებლების მიხედვით, მისი ხელმძღვანელობით მესამე წელს უკვე პირველ ადგილზე გავიდა და საპრიზო ადგილი გოლომდე შეინარჩუნა.

პროფესორ ივანე გოდერძიშვილის ღვაწლი თვალსაჩინოა აგრეთვე უმაღლესი განათლების ეკონომისტ-გულალტრების მომზადების საქმეში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტში პედაგოგიური მოღვაწეობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პერიოდის განმავლობაში მან ათასობით მაღალკვალიფიციური სპეციალისტი (ეკონომისტ-გულალტერიძ მოამზადა, რომელთაგან მრავლად არიან დღეს უკვე მეცნიერებათა კანდიდატები – დოცენტები, მეცნიერებათა დოქტორები – პროფესორები, ხელმძღვანელი მუშაკები. მხოლოდ საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ, ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანატში შემავალი მაპროფილებელი კათედრების პროფესორ-მასწავლებელთა უმეტესობა პროფესორ ივანე გოდერძიშვილის ყოფილი სტუდენტი, ასპირანტი ან მაძიებელი ვართ.

პროფესორ ივანე გოდერძიშვილის თავდაუზოგავი შრომისა და საქვეყნო საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილის აღიარებასა და დაფასებას ადასტურებს მისთვის მინიჭებული ჯილდოები და წოდებები. მათ შორისაა:

– ყოფილი სსრ კავშირის განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, სადოქტორო ხარისხის დაუცველად, პროფესორის სამეცნიერო წოდების მინიჭება (1988 წ.ძ;

– ყოფილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოება (1990ძ;

– ღირსების მედლით დაჯილდოება (1996 წ.ძ;

– აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევა (1998 წ.ძ.

– ღირსების ორდენით დაჯილდოება (1999 წ.ძ;

– აგრარული განათლების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევა (2000 წ.ძ და სხვ. რომ აღარაფერი ვთქვათ საპატიო სიგელებსა და გრძანებებით გამოცხადებულ მადლობაზე, რომლებიც მრავლად აქვს იუბილარს.

მადლობა უფალს, რომ გატონი ვანო კვლავ მხნედ გრძნობს თავს და ჩვეული ენერგიითა და მონდომებით უანგაროდ ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

გატონო ივანე, გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან 55 წლის იუბილეს! გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის გედნიერი მომავლისათვის.

შალერ გენია, **საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი, აგრარული განათლების და ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიების ნამდვილი წევრი;** **ლავრენტი ჩიგურდანიძე,** **საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის პროფესორი;** **რევაზ ძაძამია,** **საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის პრეზიდენტი, დოცენტი.**

Appendix I

მილორად პავიჩი

ასეთი ვინმე არცვინ ყოფილა ჩემი მიმოგონების პირთა შორის, რომელნიც ვითარცა ტაბლასა ზედა დაყრილნი სათამაშო ქაღალდნი, სუყველანი ერთად ცხადლივ მხვდებოდნენ თვალში, ის არც სიზმრებში ჩანდა, სადაც ჩემი მიმოგონების ზემოხსენებულნი პირნი გადაბრუნებულნი იყვნენ სათამაშო ქაღალდებსავით, რომელთაგან თითოეულის ამოცნობა შემეძლო ჩემი სურვილისამებრ. იმ პირს კი ვერსად თვალი ვერ დავადგი.

საიდანღაც მთებიდან ცულით წიფლის ჭრის ხმა ისმოდა – წელიწადის ამ დროს მხოლოდ წიფელსა და თელასა ჭრიდნენ, მაგრამ ცულმოხვედრილი თელა სხვაგვარად ხმიანობს. ეს ხმები მშვენივრად მახსოვდა იმ პირველი საღამოდან, როცა ისინი პირველად მომესმა ათ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ქარბუქის ჟამს, სულ უკლებლივ მახსოვდნენ ის დაღუპულნი ჩიტნიც, იმ ქარბუქში გაღწევას რომ ლამობდნენ, და ტყაპატყუპით ცვიოდნენ თოვლ-ჭყაპში, მაგრამ, გინდ მომკალი, ვერასგზით ვერ გამეხსენებინა რაც იმ სახეზედ დავინახე, რომელსაც ისის იყო ვუყურებდი. ვერ ვიხსენებდი ნიკონის სახის ვერც ერთ ნაკვთს, ვერც ერთ ფერს, ისიც კი აღარ მახსოვდა, წვერი ჰქონდა თუ არა. ეს იყო პირველად და ერთადერთხელ, როცა მეხსიერებამ მიღალატა. და ეს იმდენად განსაკუთრებული და დაუჯერებელი რამ იყო, რომ ახლნა სწრაფად და აღვილად მოიძებნა. ახლნა ერთადერთი იყო. შეუძლებელია იმის დამახსოვრება, რაც ამქვეყნიური არ არის, არაამქვეყნიური წამიერადაც არ ილექება მეხსიერებაში. წამოსვლისას მზერით მოვძებნე ნიკონი და შიშის კანკალით პირდაპირ პირში შევხედე, შიშით კი ის მაშინებდა, ემანდ მზერა არ მომაჭამოს-მეთქი. თუმცა მაინც თავისი ქნა, ის კი არა, ერთი გაღრაჭუნება კბილებიც გააღრაჭუნა, თითქოს რაღაც გემრიელად მომკბიჩა და მზერამოჭმული დავბრუნდი წმ. იოანეს მონასტერში.

ვიდექი და ერთ გადასაწერ დედანს, ანუ დანუსხვილს რასმე რომ გადავწერდი. ახლა მეორეს ვიწყებდი, მაგრამ ერთხელაც ვიგრძენი, რომ ჩემს ნერწყვში მეტი სიტყვები იყო, ვიდრე იმას ჰქონდა, ეს გადასაწერი დედნები ვისაც დაენუსხა. ამის მერე, რაც რამ გადასაწერად დანუსხვილი მოჰქონდათ, ყოველსავე ჩემეულ ერთ-ორ სიტყვას, ხანაც მთელ ფრაზებს ვუმატებდი. სამშაბათი დღე იყო, და პირველი საკუთარი სიტყვები გემოთი მჟავე და მაგარი მეჩვენებოდა, მაგრამ ყოველ დღესთან ერთად, შემოდგომის დადგომის კვალობაზედ, ეს ჩემი სიტყვები, თითქოს ხილის მოსავალიაო, სულ უფრო მწიფდებოდა, სულ უფრო წვნიანი, გემრიელი და ტკბილი ხდებოდა. ისეთი შინაარსით ივსებოდა, რომელიც მარტო საამო კი არ იყო, ძალასაც მატებდა წამკითხველს. მეშვიდე საღამოს, იმის შიშით, ვაითუ ეს ჩემი ხილის მოსავალი გადამიმწიფდეს, სულ ძირს ჩამომივიდეს და დამილპეს-მეთქი, ავდექი და წმინდა პეტკას ცხოვრებას მთელი ერთი გვერდი მივამატე, რომელიც არც ერთ ჩემ გადასაწერ დანუსხვილ დედანში არ იყო. ბერმონაზონთ არა მარტო შეამჩნიეს ჩემი ესეგვარი ურიგობა და არ მამხილეს, არამედ, პირიქით, უფრო ხშირად დამიწყეს თხოვნა, გადაგვიწერეო, და წიგნებს, ჩემი წამატებებითურთ, მეტ პატივს მიაგებდნენ, ვიდრე სხვა გადამწერელთა ნახელავს, რომელი გადამწერელნიც კარგა ბლომად იყვნენ მეცხვარის ხეობაში. ამ ამბავმა ფრთები შემასხა, და შეუზღუდავად განვიზრახე საქმიანობა. აწ არა მარტო ახალ-ახალ ამბავთ ვუმატებდი სხვათა და სხვათა ნაირ-ნაირ ცხოვრებას, არამედ ახალ მეუდაბნოე-განდეგილთ და ახალ სასწაულთაც ვიგონებდი, ჩემს წიგნებს კი ბევრად მეტი ფასი დაედო, ვიდრე ისინი ღირდა, საიდანაც ვითომ ვიწერდი. თანდათანობით ვიგრძენი, რომ ჩემს სამელნეში საშინელი რამ ძალა იმაღებოდა, რომლის სამზეოზედ გამოყვანაც საკუთარი ნება-სურვილისამებრ შემეძლო. და სწორედ მაშინ დავასკვენი: ყოველ დამწერელს ორ სტრიქონშიც სულ იოლად შეუძლია თავისი გმირის მოკვლა. ხოლო იმისთვის, რომ მოკლა მკითხველი, ანუ ხორცისგან და სისხლისგან შემდგარი არსება, საკმარისია წიგნის პერსონაჟად, ცხოვრების გმირად იმისი გადაქცევა. მერმე უკვე ყველაყა აღვილია...

იმ დროს მირქმის მონასტერში ახალგაზრდა ბერი ცხოვრობდა, გვარად ლონგინი. იგი განდეგილი იყო, მეუდაბნოე, და თავს გედად გრძნობდა, რომელიც ქარის დაბერვას უცდიდა ფრთებგაშლილი, რათა წყალზედ გასრიალებულიყო. თვით დღეთა დამნათვლელ ადამსაც კი არა ჰქონია ისეთი ხალასი სმენა, როგორიც ამ ბერსა ჰქონდა. თვალებს კი იმ კრაზანებსავით აბრიალებდა, რომელთაც წმინდა რამ მოარული სენი გადაქვთ. ერთი თვალი მამრული ედგა, მეორე მდედრული, მაგრამ თითოეულში თითო ნესტარი უჩანდა. და კეთილს ისევე გამჭრიახად ხედავდა, ვითარცა ქორი წიწილას. მან ხშირად იცოდა თქმა: „ყოველ ჩვენგანს სულ აღვილად ძალუძს მისაბაძად ვინმე ბევრად უკეთესის არჩევა, ვიდრე ჩვენ რომელიმენი ვართ. აგრერიგად სული დედამიწიდან ცამდის იაკობის კიბისდამაგვარ რასმე აამაღლებდა, და ყოველივე ერთურთს დაუკავშირდებოდა, იოლად და მხიარულად გაწონასწორდებოდა, რამეთუ სულაც არსაძნელოა ისეთი ვინმეს მიყოლა, ვინც შენზედ უკეთესია, და იმისითვის ყურის დაგდება. სუ ყოველი ბოროტება იმისგან წარმოდგება, რომ ცდუნებას ვერცროდის თავს ვერ ვაღწევთ და იმათ ვუგდებთ ყურს და იმათ ვბაძავთ, ვინც ჩვენზედ უარესია...“ ოდეს მან თავისთვის წმინდა პეტრე კორიშსკის ცხოვრების გადაწერა დამიკვეთა, რომელმა პეტრემაც მარხვის მეხუთე დღეს უბერებელი საწუთრო მოიხილა, წყვდიადი იდგა, ჩიტნი ტოტებშუა შავ მეხსავით და მედგარსავით ცვიოდნენ თვისთა ბუდეთა შიგან. ესევითარი სისწრაფითა და გამალებით დაქროდნენ ჩემი აზრებიც, და ვგრძნობდი, რომ წინ ვერ აღვუდგებოდი იმ ძალის შეგრძნებას, რომელი ძალაც ჩემში იღვიძებდა. დავჯექი წმინდა პეტრე კორიშსკის ცხოვრების გადასაწერად და ერთ ადგილას, სადაც მარხვის ხანგრძლივობაზედ იყო ლაპარაკი, ხუთი დღის მაგივრად ორმოცდაათი ჩავწერე და ესეგვარი სახით მივართვი გადაწერილი წიგნი ახალგაზრდა ბერს. მან ბაგეაგალობებულმა გამომართვა წიგნი, იმავე საღამოს ჩაიკითხა, მეორე დღეს კი მთელ ხეობაში ხმა გავარდა, ბერმა ლონგინმა დიდმარხვა წამოიწყოო.

– – – – – – – – – – – – – – –

– – – – – – – – – – – – – – –

ორმოცდათერთმეტი დღის შემდეგ, ლონგინი ხარების მონასტერში რომ დაკრძალეს, პირდაპირ მთის ძირას, ფრთის კალმის ოდესმე ხელში აღებაზედ უარი ვთქვი. ზარხდომილი ჩავიცქირეებოდი სამელნეში და ვფიქრობდი: ვიწრო სული ნამეტნავად გაძვლიანებულია-მეთქი. და საკუთარი ცოდვის გამოსყიდვა გადავწყვიტე. წავედი დილით იღუმენთან და წმ. ნიკოლოზის მონასტრის სკრიპტორიუმში პროტოკალიგრაფ ნიკონ სევასტის მწედ განწესება ვთხოვე. იღუმენი თანახმა გამიხდა, და როცა იქ გამოვჩნდი, ნიკონმა სენაკში წამიყვანა, სადაც მუშაობდა ხოლმე, და სადაც გოგრის თესლისა და სალბის სუნი იდგა, სალბმა კი, მოგეხსენებათ, ბერ-მონაზონთა აზრით, ლოცვა იცის. ბერნი ოთხიხუთი დღით ართმევდნენ სხვა მონასტრებს ანდა უკრაინიდან მოსულ დალალ-ფერეზიკთ ისეთ წიგნებს, თვითონ რომ არა ჰქონდათ მონასტერში, და სუყველას საჩქაროდ მაზეპირებინებდნენ. მერმე წიგნთ უკან უბრუნებდნენ პატრონთ, მე კი ვიდექი და თვეობით დღენიადაგ ვუკარნახებდი დასწავლილ ტექსტს, რომელსაც თავისი ფრთის კალმით იწერდა პროტოკალიგრაფი ნიკონი. ის თან წვერს უთლიდა ხოლმე ფრთის კალამთ და თან საღებავებზედ მელაპარაკებოდა: ერთი მხოლოდ მწვანე არ იყო მცენარეული წარმოშობისა, მწვანეს რკინისგან იღებდნენ, სუყველა დანარჩენს ნიკონი მცენარეთაგან წურავდა და ფერად-ფერადი ასოებით ამკობდა წიგნებს, რომელთაც ჩვენ ვწერდით. აგრე წავდგი ნაბიჯი ნიკონთან დაწყვილებულმა, ვითარცა მამრმა დღეებმა მსგეფსში. ნიკონი ცაცია იყო, ღაჩაკვა, მუშაობაში მარცხენა ხელის მხმარებელი და მარჯვენას უმალავდა, რასაც იქმოდა. წერით დღედაღღე ვწერდით, ხოლო სამუშაო როცა არ იყო, ნიკონი მონასტრის კედლებს ხატავდა, თუმცა ამ საქმეს მალე შეეშვა და სულ ერთიანად წიგნებს შესძღვნა თავი. აგრე მივუყვებოდით ჩვენი ცხოვრების გზას – ნელ-ნელა, ღამღამეობით, წლობით.

1683 წელს, წმინდა ევსტრატი სერბელის დღეს, იმისთანა ქაფათარი ფეტვის მთესვარი ყინვა დაიჭირა, ლოგინში ძაღლებს იწვენდნენ, ხოლო ჩექმებსა და კბილებს ტეხვრისგან სულ ჭახაჭუხი გაჰქონდათ და სკდებოდნენ. ჭკები ფრენისას ითოშებოდნენ მწვანე ცაში, ქვებსავით ცვიოდნენ ძირს და მაღლა ჰაერში ტოვებდნენ თავიანთ ყივილს. ენა გრძნობდა ბაგეთა ყინულს, რომელ ბაგეთაც ენის შეგრძნება აღარა ჰქონდათ. გაყინული მორავას მეორე ნაპირიდან ქარებმა დაუბერეს, ხოლო მდინარის კალაპოტის გასწვრივ ყინულის ქერქიდან ვერცხლის ჯაგარსავით ამოჩრილიყო შეჭირხლული ლელქაში, მტირალა ტირიფნი მდინარეში ჩაყინულ თოშიან ტოტთაგან დაწნულ გალიაში იდგნენ. ბურუსში თითქმის ერთ ადგილას გაქვავებულებივით ჩანდნენ მარტოხელა ყვავნი და ხამუშ-ხამუშ ძლივს ამოჰქონდათ ფრთები მარილტუტა ნესტის თეთრი ლექიდან. მაღლა ცაში კი, ბოლცომ-კორტოხთა თავზედ, რომელთა შორისაც ყინვა დაბუდებულიყო, ყოველსავე ამას ეთხოვებოდნენ და მზერისთვის მიუწვდომელ სივრცეში დაქროდნენ ჩვენი – ნიკონისა და ჩემი აზრები, არეულდარეულნი, ვითარცა ზაფხულის თვალშეუსწრებელნი ღრუბელნი, და იმ აზრებთან ერთად სადღაც შორს მიფრინავდა სუყველა ჩვენი მიმოგონება, სულ ერთიანად გულისგამაწვრილებელი, ვითარცა ზამთრის ავადობა-სალმობანი. მერმე კი, მარტში, ჯვრის თაყვანისცემის მსგეფსში, ათუხთუხებულ ლობიოს ქოთანში იყიანი კულა ჩავდგით, შევათბეთ, დავლიეთ, ვჭამეთ და სამუდამოდ დავაგდეთ წმ. ნიკოლოზის მონასტერი, ბელგრადს იმ წელიწადს პირველ და უკანასკნელ თოვლთან ერთად მივედით, თაყვანი ვეცით, ლოცვად დავუდექით ბელგრადელ პირველწამებულთ – სტრატონიკეს, დონატსა და ერმილეს – და ახალ ცხოვრებას შევუდექით.

ორივენი მდივან-მწიგნობრებად ვიქეცით, და ჩვენი ფრთა-კალამნი და სამელნენი სახელმწიფოთა წყლებსა და საზღვრებს გადადგადმოდიოდნენ. ეკლესიათათვის აწ თითქმის აღარ ვმუშაობდით, ჩვენს მთავარ საქმედ წიგნების გადაწერა გავიხადეთ, რა ვიცი, რომელ ენაზედ არა ვწერდით. აწ არა მარტო კაცთათვის, დიაცთათვისაც ვსაქმობდით, რამეთუ კაცთა და დიაცთა ამბავნი ერთნაირად ვერ მთავრდება. ჩვენთა ზურგთ უკან მდინარენი და დაბლობნი (რომელთა სახელნი თან მიგვქონდა), აყროლებულნი მზერანი, ყურთა შიგან გაყრილნი საკლიტურებიანი ხარტუკნი, ფრინველთა ნისკარტებით აბურდული ნამჯით მოფენილნი გზანი, ოხშივარადენილნი ხის კოვზნი და კოვზთაგან გამოყვანილნი ყეჯალ-ჩანგალნი, ხოლო ათას ექვსას ოთხმოცდაოთხი წლის სულთა სამშაბათს იმპერიის დედაქალაქში – ვენაში შევედით. წმინდა სტეფანე ვენელის ეკლესიის დედოზარმა ჩვენთვის დრო-ჟამის ათვლა დაიწყო, პატარა ზარნი გამალებულნი რეკავდნენ, თითქოს კოშკიდან დანებსა ყრიანო, დიდნი კი ზეიმოვნად ხმიანობდნენ, თითქოს ღამეს ტაძრის გარშემო კვერცხნი მოჰქონდა და დებდა. ხოლო როს ამ კოშკის ქვეშ ბინდბუნდში შევედით, პოლიელეის გუგუნში წკრიალა ქვანაგზედ ერთჟამიერად რამდენიმე ლამპარი დაეშვა, გრძელ ბაწართ გამობმული, რომელნიც ცეცხლწაკიდებულ დედაზარდლთ ჰგავდნენ, ლამპართა გარშემო კი ცვილის სუნი იდგა, ის სუნი სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა, თანდათან ეკლესიის სახეს იძენდა და, ვითარცა სხეული სამოსელს რასმე, ისე იმოსავდა ქვის კედელთ. უკუნეთი იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი და რაც უფრო მაღლა, კოშკის წვერისკენ მიიწევდა მზერა, უკუნი უფროისად ხშირდებოდა და ბლანტდებოდა, ასე რომ აღვილი შესაძლებელი იყო, იქ, ბლანტ უკუნში, სულ ზემოთ, ყოველ წუთს გაწყვეტილიყო ბაწარი, რომელსაც ეკლესიის ძირზედ სინათლე ეკიდა... აქ ახალი სამუშაო მოვიშოვეთ და გავიცანით ჩვენი ახალი მასპინძელი, ბატონი აბრამი, ბრანკოვიჩთა* კეთილშობილი გვარის ნაშიერი, კაცი, რომელსაც კალამი უჭრის და ეკლესიებს ხმლით აშენებს. ბატონ აბრამზედ ბევრს არ ვილაპარაკებ, ორიოდ სიტყვას ვიტყვი, რამეთუ იგი ისევე გვზაფრავდა, რარიგადაც გვიყვარდა.

ხალხი ჰგონებდა, რომ ბრანკოვიჩი უწმინდურ ძალას არის გადაკიდებული, ახალგაზრდობაში ორმოცი დღე პირდაუბანელი დადიოდა, ვახშმად ეშმაკს ფეხი დაადგა და გაჯადოქრდა. ორსავე მხარზედ თითო-თითო ბალნის კუდი ამოუვიდა, გულთმისანი და ნათელმხილველი გახდა, მარტში სულ ძილი ერეოდა, მუდამ და სუ ყოველ საქმეში წარემატებოდა, მრავალი რამ ხელეწიფებოდა, თანაც არაოდენ სხეულით, არამედ სულითაც, რომელიც, სანამ იმის სხეულს ეძინა, მტრედთა გუნდსავით ბოინობდა, ქარს იხმობდა, ღრუბელთ ერეკებოდა, სეტყვა მოჰყავდა და მიჰყავდა, ცხრაუცხო მოგვ-ჯადოქართ ჯიქურ ებრძოდა წლის მოსავლისა და საქონლისათვის, რძისა და პურისათვის, არცვის არ უთმობდა თავისი მხარის ბარაქასა და დოვლათს.

თარგმნა
გურამ გოგიაშვილმა

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „სრ“ № 51-102.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქმის მოთავე ბილ კლინტონი იყო

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით აზერბაიჯანულმა ნავთობმა 29 მაისს მიაღწია თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა სანავსადგურო ქალაქ ჯეიჰანს. პირველ 80 ათას ტონა აზერბაიჯანულ ნავთობს უკვე ტუმბავენ ერთ-ერთ ბრიტანულ ტანკერში, რომელიც 3 ივნისისთვის აილებს კურსს ევროპისკენ.

როგორც გვაცნობეს, აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიაში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გახსნის ოფიციალური ცერემონია გაიმართება 13 ივლისს ჯეიჰანში. საზეიმო ცერემონიას დაესწრებიან პროექტის მონაწილე ქვეყნების – თურქეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის პრეზიდენტები, აგრეთვე, მრავალი უცხოელი სტუმარი. თურქეთის მთავრობამ უკვე გაუგზავნა ოფიციალური მიწვევები შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და აზერბაიჯანის ნავთობის პროექტებში ჩაბმული სხვა ქვეყნების ხელმძღვანელებს. სულ ცერემონიაში მონაწილეობისთვის ელიან 16 ქვეყნის წარმომადგენლებს. რუსეთის დელეგაცია ჯეიჰანის საზეიმო ღონისძიებათა მონაწილეებს შორის არ ფიგურირებს.

აქამდე ითვლებოდა, რომ რუსეთის გვერდის ავლით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობის იდეა ეკუთვნოდა აზერბაიჯანის აწ განსვენებულ პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს. მაგრამ ამ დღეებში გაირკვა, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების ამ პროექტის ინიციატორი ყოფილა ვაშინგტონი. როგორც აზერბაიჯანის ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა ვაფა გულუზადემ (ჰეიდარ ალიევის პრეზიდენტობის დროს იგი ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საერთაშორისო კავშირურთიერთობის განყოფილებას), აზერბაიჯანის ლიდერს ასეთი წინადადებით პირველად სატელეფონო საუბრის დროს მიმართა შეერთებული შტატების ექს-პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა. მან ეს დაასაბუთა იმით, რომ ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენის გარდა, აზერბაიჯანს სჭირდება ევროპის გაზრეგზე კასპიის ნავთობის გატანის ალტერნატიული მარშრუტი, რომელიც რუსეთს აუვლის გვერდს. კლინტონმა უკვე მონიშნა კიდეც მილსადენის მარშრუტი: საქართველოს ტერიტორიის გავლით – თურქეთის ჯეიჰანის ნავსადგურისკენ. „ჩვენთვის ეს მოულოდნელი წინადადება იყო, მაგრამ ჰეიდარ ალიევი, რომელმაც რამდენიმე წამში აწონ-დაწონა მისი ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე, მაშინათვე დათანხმდა“, – თქვა ვაფა გულუზადემ. მოგვიანებით ალიევ-უფროსს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის მშენებლობა იყო „მთელი მისი ცხოვრების საქმე“, მოსკოვთან კამათის დროს კი მტკიცედ იცავდა მის პერსპექტიულობას და მიზანშეწონილობას. პროექტის რეალიზაცია დაასრულა უკვე მისმა ვაჟმა, აზერბაიჯანის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა.

როგორც აზერბაიჯანში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მრავალი ექსპერტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანს „პოლიტიკურ პროექტს“ უწოდებს – მნიშვნელოვანწილად იმის გამო, რომ ამ მილსადენმა დაარღვია რეგიონიდან ნედლეულის ტრანსპორტირების საქმეში რუსეთის მონოპოლია. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი გახდა იმის ნათელი დადასტურება, რომ მისი მონაწილე ქვეყნები – აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი – უკვე ორიენტირებულები არიან არა რუსეთზე, არამედ შეერთებულ შტატებსა და ევროპაზე. აქციონერების მიერ ნავთობსადენის მარშრუტის განმტკიცების შემდეგ ფაქტობრივად დაიწყო კიდეც ამერიკელების აქტიური შელწევა როგორც აზერბაიჯანში, ისე საქართველოში. ვაშინგტონმა ეს რეგიონი უბრალოდ გამოაცხადა თავისი ეროვნული ინტერესების ზონად და თბილისსა და ბაქოს გაუწია დახმარება ეროვნული შეიარაღებული ძალების რეფორმირებაში – და აქ ძირითადი ყურადღება იყო გამახვილებული იმაზე, რომ აუცილებელი იყო მაგისტრალური მილსადენების და კასპიის ზღვაზე აზერბაიჯანის ნავთობის და გაზის საბადოების უშიშროების უზრუნველყოფა.

პროექტი მონაწილე ქვეყნებს საკმაო ფინანსურ მოგებას ჰპირდება. მაგრამ როგორც ბაქოში, ისე თბილისში, იმედი აქვთ, რომ ამერიკელთა მხრიდან უფრო მეტი ყურადღების მიპყრობა ამ რეგიონისადმი მისცემთ თავ-თავიანთი ტერიტორიული პრობლემების მოგვარების შესაძლებლობას, ჩამოუშორებული მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების საშუალებას.

როგორც ცნობილმა აზერბაიჯანელმა ანალიტიკოსმა ალფაი აჰმედმა თქვა, სადღეისოდ უკვე არავინ აყენებს ეჭვქვეშ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის უპირატესობას მსოფლიო ბაზრებზე კასპიის ნავთობის გატანის საქმეში. უფრო მეტიც, ბრიტანეთის „ბრიტიშ პეტროლეუმის“ კომპანიის წარმომადგენლები აპირებენ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით განახორციელონ რუსეთში მოპოვებული ნავთობის ექსპორტირება და ამ მიზნით გამოიყენონ ნოვოროსიისკ-ბაქოს ნავთობსადენი, თქვა ექსპერტმა. ივნისში ალმა-ათაში დაგეგმილია გაიმართოს აზიაში ურთიერთმოქმედებისა და ნდობის ღონისძიებათა თათბირის მორიგი სხდომა, რომელზეც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამოყენების პროგრამასთან მიერთების შესახებ შეთანხმებას ყაზახეთიც მოაწერს ხელს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის თაობაზე თავისი გეგმები აქვს ისრაელსაც. ამ ცოტა ხნის წინათ აზერბაიჯანში ვიზიტის დროს, ისრაელის პარლამენტის წევრები შეხვდნენ აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრს ნათიკ ალიევს და გამოთქვეს ისრაელის ქალაქ აშკელონამდე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გაგრძელების იდეა, რათა მოხდეს აზერბაიჯანული ნავთობის გატანა ინდოეთში და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სოჰბეტ მამედოვი

НЕЗАВИСИМАЯ

30 მაისი.

სააკაშვილი ევროპელებს ურჩევს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხედავს, რომ მოსკოვი არ აპირებს არაფრის დათმობას ევროპასთან ურთიერთობაში, როცა საქმე ეხება ნავთობისა და გაზის მიწოდებას, ასეთ რჩევას აძლევს ევროპელებს: საჭირო გამოინახოს ენერგორესურსების ალტერნატიული წყაროები და შემუშავდეს საერთო ენერგეტიკული სტრატეგია. „რუსეთი, როგორც დიდი ენერგეტიკული სახელმწიფო, ველარ შეძენს საფრთხეს იმ შემთხვევაში, თუ იძენება ალტერნატიული წყაროები, – განაცხადა სააკაშვილმა გრიუსელში ჯერმან მარშალის ფონდის მიერ ორგანიზებული კონფერენციის ფარგლებში მიცემული ინტერვიუს დროს. – როცა ჩემს ევროპელ მეგობრებს ვეუბნები, რომ მათ გაცილებით მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინონ ცენტრალური აზიის ქვეყნებით, ისინი მპასუხობენ, რომ ეს რთულია, რადგან იქ არ სუფევს სტაბილური ვითარება... მაგრამ ჩინელებს ეს ხომ არ აშინებს! სანამ ევროპელები ფიქრობენ, ჩინელებმა უკვე მოაწერეს ხელი კონტრაქტებს. ასევე მოიქცნენ რუსებიც. ძალზე მნიშვნელოვანია ალტერნატიული წყაროების ძებნა... ეს რუსეთსაც აიძულებს თავისი ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას. კიევში, სადაც 22 მაისს სააკაშვილი მონაწილეობდა სუამის სამიტში, მან საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან უწოდა „გაუგებრობათა მთელი ჯაჭვი“. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაუარესდა მას შემდეგ, რაც რუსეთმა დაუწესა ემბარგო საქართველოდან იმპორტირებულ მთელ რიგ საქონელს, უწინარეს ყოვლისა, ღვინოს და მინერალურ წყლებს. საქართველოს პრეზიდენტი ამ ღონისძიებებს მიიჩნევს „ეკონომიკურ და პოლიტიკურ სანქციებად“, რომლებიც ასახავენ რუსეთის რეაქციას უკრაინისა და საქართველოს დემოკრატიულ ევროპულ კურსზე. ეს სანქციები, თქვა შემდეგ სააკაშვილმა, ასახავენ „რუსეთის ახალ ევროპულ პოლიტიკას“.

„ღვინის ომი“ ახლა საკმაო ზარალს აყენებს საქართველოს ეკონომიკას, მაგრამ პერსპექტივისთვის ეს შეიძლება დადებითადაც კი წაადგეს საქართველოს, როგორც ეს მოხდა ამ ათიოდე წლის წინათ გალტიის ქვეყნებთან დაკავშირებით. „ეს ჩინებულ სტიმულს მისცემს ჩვენი საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას. საჭირო ასევე, რომ ევროპის კავშირმა დაიწყოს თავისი ბაზრების გახსნა, რადგან ყოვლად დაუშვებელია, რომ ჩვენ, უკრაინა, მოლდავეთი და საქართველო მიგვატოვონ ასეთ სიტუაციაში“.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დამლევამდე აპირებს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლას. ეს ის ორგანიზაციაა, რომელიც რუსეთმა შექმნა 1991 წელს სსრ კავშირის ნანგრევებზე. მიხეილ სააკაშვილი აცხადებს, რომ სურს საქართველოს გაწევრიანება ნატოში. თანამეგობრობიდან გამოსვლის შემდეგ, საქართველომ შეიძლება მოითხოვოს რუსი სამშვიდოებლების გაყვანა აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, რომლებიც ამჟამად იქ დგანან დსთ-ს ეგიდით. თბილისს იმედი აქვს, რომ ასეთ შემთხვევაში, ამ კონტინგენტს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები შეცვლიან.

სილვი კოფმანი,
მარი ჟეგო,
„გაზეტა სნგ“, 30 მაისი.

ნუთუ ვერ ავიცილებთ სისხლისღვრას?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში 27 მაისს საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმების შეყვანა შეაფასა როგორც პროვოკაცია და წინათ მიღწეული ყველა მორიგების უხეში დარღვევა.

„რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მხარის ასეთ მოქმედებას მიიჩნევს აქამდე არსებული ყველა მრავალმხრივი მორიგების უხეშ დარღვევად და ასეთ მოქმედებაში ხედავს პროვოკაციას, რომელიც მიზნად ისახავს კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავებას“, – განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერაციის საგარეო-პოლიტიკური უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხეილ კამინინმა.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემებით, 27 მაისს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონის რაიონში მოულოდნელად შეიყვანეს საქართველოს სპეციალური დანიშნულების რაზმები. „ყოველივე ამის შედეგად გლოკირებული აღმოჩნდნენ რუსი მშვიდობისმყოფლებით დაკომპლექტებული მუდმივი შერეული სამშვიდობო ძალები“, – თქვა კამინინმა.

მხოლოდ რუს მშვიდობისმყოფელთა თავშეკავების წყალობით მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება“, – თქვა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა.

„რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო გამოთქვამს გულისტკივილს ამ სიტუაციის გამო და აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში დაძაბულობის ესკალაციისთვის გამიზნული ნებისმიერი ანალოგიური მოქმედებისთვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრება ქართულ მხარეს“, – დაასკვნა კამინინმა.

НОВОСТИ

30 მაისი.

შეჯაბრება

სააქციო საზოგადოების მორიგი კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ

სააქციო საზოგადოება „მესხეთის“ დირექტორი იწვევს სააქციო საზოგადოების აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2006 წლის 19 ივნისს დღის 12 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის № 40. სააქციო საზოგადოება „მესხეთის“ მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2006 წლის 8 მაისი.

დღის წესრიგი:

1. სამეურნეო წლის შედეგების დამტკიცება;
2. სამეთვალყურეო საბჭოს ცვლილება;
3. აუდიტორის არჩევა;
4. სხვადასხვა.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს „მესხეთის“ დირექტორთან (მის: ქ. ბათუმი, რუსთაველის № 40ქ, ხოლო განმარტებებების მისაღებად, მოთხოვნა წერილობით უნდა იქნას დაყენებული დირექტორის წინაშე კრებამდე 10 დღით ადრე.

სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი რეკომენდაციებს უწევენ, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

კრების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან – ჩვეულებრივი აქციის მფლობელი აქციონერები, თუ ისინი რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში 2006 წლის 8 მაისის მდგომარეობით და საერთო კრებაზე წარმოადგენენ რეგისტრატორის მიერ დამოწმებულ აქციონერთა რეესტრიდან ამონაწერს და საკუთარ პირადობის მოწმობას.

აქციონერები კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლებას შეამოწმებენ სს „მესხეთის“ რეგისტრატორთან შპს „კომპანია-ცენტრთან“, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. მოსაშვილის ქ. № 24, ტელ: 22-53-51.

პატივისცემით, გივი ქორქია

ქაბულში კომენდანტის საათია

ორშაბათს ღამით ქაბულში მოქმედებდა კომენდანტის საათი. ხელისუფლებამ გადაწყვიტა მისი შემოღება ავღანეთის დედაქალაქში მომხდარი უწესრიგობების შემდეგ.

ავღანეთის ხელისუფლება აცხადებდა, რომ ყველა იმ ადამიანის წინააღმდეგ, რომელიც დაარღვევს ქალაქში ღამით გადაადგილებაზე შემოღებულ აკრძალვას, გამოიყენებენ „სერიოზულ ღონისძიებებს“.

ორშაბათს რამდენიმე ათასი ავღანელი გამოვიდა ქაბულის ქუჩებში. მათ ქვები დაუშინეს ამერიკელთა სამხედრო ავტომობილებს, რასაც ამერიკელმა ჯარისკაცებმა სროლით უპასუხეს. შეტაკებების შედეგად დაიღუპა სულ ცოტა შვიდი ავღანელი.

უწესრიგობა დაიწყო მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატების არმიის მანქანა ქაბულში შეეჯახა 12 მსუბუქ ავტომობილს, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ავღანელი.

ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტომას კოლინსმა განაცხადა, რომ ამერიკული სატვირთო ავტომობილი მწყობრიდან გამოვიდა და შეეჯახა რამდენიმე მანქანას პიკ-საათის დროს.

„ეს იყო ტრაგიკული შემთხვევა და ჩვენ დიდ სინანულს გამოვთქვამთ ადამიანების დაღუპვის გამო“, – თქვა კოლინსმა. მან დასძინა, რომ კოალიციამ უკვე დაიწყო ამ ინციდენტის ოფიციალური გამოძიება. ავღანეთის პოლიციაც იტყობინება, რომ ყოველივე ამის მიზეზი იყო მანქანებისგან შექმნილი ეგრეთწოდებული „საცობი“, რომელშიც ამერიკული სამხედრო კოლონაც მოჰყვა.

საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შემდეგ ათობით ავღანელი გარს შემოერტყა ამერიკელთა ავტომობილს. თვითმხილველთა თქმით, ისინი მანქანას ქვებს უშენდნენ და გაიძახოდნენ: „ძირს ამერიკა!“, „სიკვდილი ყარზაის!“. ამის შემდეგ ამერიკელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს.

ზოგიერთი თვითმხილველის მტკიცებით, ამერიკელი ჯარისკაცები ესროდნენ შეუიარაღებელ ადამიანებს, თუმცა, სხვები აცხადებენ, რომ ამერიკელთა სამხედრო კოლონის დასახმარებლად მივიდა ავღანური პოლიცია და შეკრებილთ ცეცხლი სწორედ ჯარისკაცებმა და პოლიციელებმა გაუხსნეს.

ყოველივე ამის შემდეგ ქაბულში დაიწყო უწესრიგობა, რომლის დროსაც ქალაქში ისმოდა სროლა, განრისხებული ადამიანები კი ცეცხლს უკიდებდნენ ავტომობილებს და თავს ესხმოდნენ პოლიციის გლოკ-საბუშაგოებს.

ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ ყარზაიმ ტელევიზიის პირდაპირი ეთერით მიმართა ქვეყნის მცხოვრებლებს. მან მოუწოდა ავღანელ ხალხს, რომ წინ აღუდგნენ ამ პროვოკატორებს და არ მისცენ მათ ავღანეთის კიდევ ერთხელ დანგრევის ნება.

გაავებული იავა

ინდონეზიის ხელისუფლებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა დაიწყეს იავის კუნძულზე მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ათი ათასობით ადამიანისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება.

შაბათს მომხდარი რიხტერის სკალით 6,3 बალი სიმძლავრის მიწისძვრის შედეგად, უკანასკნელი მონაცემებით, დაიღუპა 5427 კაცი, 20 ათასამდე – დაშავდა და კიდევ 200 ათასი ადამიანი უსახლკაროდ დარჩა.

სახლების ნანგრევებქვეშ კვლავ ეძებენ ცოცხლად დარჩენილ ადამიანებს, მაგრამ, მაშველთა თქმით, მათი გადარჩენის შანსი, პრაქტიკულად, ნულის ტოლია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებით, ინდონეზიის ძველ დედაქალაქ ჯოკიკარტში ჩაფრინდნენ პირველი თვითმფრინავები, რომლებმაც ჩაიტანეს სასმელი წყალი და კარვები. მაშველების მუშაობას ძალზე ართულებს იავის კუნძულზე მთლიანად მოშლილი ინფრასტრუქტურა.

ინდონეზიის ხელისუფლების წარმომადგენლები უფრო ეფექტიანი მუშაობისთვის მოუწოდებენ ჰუმანიტარული ოპერაციის მონაწილეებს. „ჩვენ აუცილებლად უნდა გავაუმჯობესოთ კოორდინაცია, – განაცხადა ინდონეზიის პრეზიდენტმა სუსილო ბამბანგ იუდჰოიონომ. – როცა ჩავედი დაზარალებულ რაიონებში, დავრწმუნდი, რომ ბევრი რამის გაკეთება გაცილებით უფრო სწრაფად შეიძლება“.

იავის კუნძულზე – ინდონეზიაში ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში – მრავალმა ათასმა ადამიანმა უკვე მესამე ღამე გაათია ღია ცის ქვეშ. ჰუმანიტარული საგენტოები გამოთქვამენ შეშფოთებას ინფექციური დაავადებების გავრცელების შესაძლებლობის გამო.

„რეგიონში თითქმის ყველა მეექვსე საავადმყოფო დანგრეულია, დანარჩენ საავადმყოფოები კი დაშავებულებით არის სავსე“, – იუწყებოდა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

გაეროს და წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა გამართეს სპეციალური თათბირი ინდონეზიაში სამაშველო ოპერაციის კოორდინაციის შესახებ და განაცხადეს, რომ ახლა დაზარალებულებს ყველაზე მეტად სჭირდებათ საველე ჰოსპიტლები, დროებითი თავშესაფრები, მედიკამენტები და სასმელი წყალი.

გაეროს ჰუმანიტარულმა სააგენტოებმა სტიქიის შედეგად დაზარალებულ რაიონებში უკვე ჩაიტანეს 10 ათასი კარავი, მაგრამ ეს აშკარად არ არის საკმარისი. ინდონეზიელი სახელმწიფო მოხელეები აცხადებენ, რომ იგრძნობა სურსათის უკმარისობაც.

„ჩვენ კი მივიღეთ მედიკამენტები და სურსათი ხელისუფლებისგან, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა, – აღნიშნა ასოციაციტედ პრესის სააგენტოსთან საუბრისას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა. – როგორ დავაპურებ 1200 კაცს 40 კილოგრამი ბრინჯით?“

ინდონეზია მდებარეობს გადიდებული სეისმური აქტიურობის ზონაში. ქვეყანაში 129 აქტიური ვულკანია.

პარიზში ახალი ტალღა აგორდა

ორშაბათს ღამით პარიზის გარეუბან სენა-სენ-დენიში მოხდა ასამდე ახალგაზრდის შეტაკება პოლიციასთან. შვიდი პოლიციელი მსუბუქად დაშავდა, დაპატიმრებულია უწესრიგობის ექვსი მონაწილე.

შეტაკებები დაიწყო მას შემდეგ, რაც ახალგაზრდა ადამიანთა ჯგუფმა ცეცხლი წაუკიდა ავტომობილებს და ნაგვის კონტეინერებს. როგორც ისინი აცხადებდნენ, ამით ცდილობდნენ ეძიათ შური ერთ-ერთი ახალგაზრდის დაპატიმრებისთვის. ჯერჯერობით დაუდგენელია დამწვარი ავტომობილების ზუსტი რაოდენობა.

უწესრიგობები მოხდა ასევე კლიში-სუ-გუას გარეუბანშიც, სადაც შარშან პოლიციელებთან შეტაკებები დაიწყო მას შემდეგ, რაც ორი ახალგაზრდა კაცი დაიღუპა, როცა ისინი ცდილობდნენ წესრიგის დამცველებისგან გაქცევას.

გასული წლის ნოემბერში ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებული პოლიტიკით უკმაყოფილო ახალგაზრდებმა საფრანგეთის ტერიტორიაზე სამი კვირის განმავლობაში დაწვეს 10 ათასამდე ავტომობილი.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის დამლევს საფრანგეთს მოედო რგვისა და უწესრიგობის უპრეცედენტო ტალღა. მღელვარება დაიწყო 27 ოქტომბერს კლიში-სუ-გუაში მომხდარი ინციდენტის შემდეგ. მაშინ დაიღუპა ორი ადგილობრივი მოზარდი. ახალგაზრდებს ეგონათ, რომ მათ პოლიციელები მისდევდნენ და სცადეს დამალვა ელექტროქვესადგურში, მაგრამ ისინი დაიღუპნენ დენის დარტყმის შედეგად.

ბოლო 40 წლის განმავლობაში საფრანგეთში ამ ყველაზე მასშტაბური საპროტესტო აქციის შედეგად, ვანდალებმა დაარბიეს შენობები, გადაწვეს მანქანები, გამართეს შეტაკებები პოლიციელებთან, რომლებშიც ძირითადად მონაწილეობდნენ ახალგაზრდა იმიგრანტები და იმიგრანტთა შვილები.

ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთში მიიღეს სპეციალური საკანონმდებლო ღონისძიებანი, რომელთა თანახმადაც, მაგალითად, შესაძლებელია კომენდანტის საათის გამოცხადება.

მოკლედ

ყაზახეთის დედაქალაქში იწვის ყველაზე მაღალი, 30-სართულიანი „ტრანსპორტ ტაუერის“ შენობა, რომელშიც განლაგებულია ტრანსპორტისა და კომუნიკაციების, კულტურისა და ინფორმაციის სამინისტროები, აგრეთვე, მთელი რიგი რესპუბლიკური კომიტეტები, მათ შორის, ინფორმაციის კომიტეტიც.

* * *

რუსულ ენას ლუგანსკში რეგიონული ენის სტატუსი მიეცა. ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცა ლუგანსკის საქალაქო საბჭოს 60 დეპუტატმა. წინათ ანალოგიური სტატუსი რუსულ ენას მიანიჭა ლუგანსკის საოლქო საბჭომ. კანონმდებლთა აზრით, ეს ნორმალური გადაწყვეტილებაა, რომელიც შეესაბამება როგორც ამომრჩevლების, ისე დეპუტატების სურვილს.

* * *

ამერიკის ხელისუფლება ახლა ისეთ მდგომარეობაშია, რომ ველარ შექმნის კიდევ ერთ კრიზისს ჩვენს რეგიონში, მიაჩნია ირანის საგარეო საქმეთა მინისტრს მანუჩეჰრ მოთაქის. „შეერთებულ შტატებს არ სურს, რომ სხვა ქვეყნებსაც ჰქონდეთ პირთვული ტექნოლოგიები. ეს გახლავთ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა, რომელიც ამ შემთხვევაში ყოვლად მიუღებელია“, – დასძინა მინისტრმა.

* * *

ისრაელის არმიამ ღაზის სექტორში გაანადგურა ტერორისტთა ჯგუფი. ეს იყო პირველი ოპერაცია, რომელიც ისრაელის თავდაცვის არმიამ განახორციელა ღაზის სექტორში ცალმხრივი გამიჯვნის პროგრამის რეალიზაციის შემდეგ. სპეციალური დანიშნულების რაზმმა მოსპო „ისლამის ჯიჰადის“ მოთარეშეთა დაჯგუფება, რომელიც ისრაელის ტერიტორიისთვის „ძასამის“ ტიპის რაკეტების დაშენას აპირებდა.

* * *

DAEWOO კომპანიის დამფუძნებელი და ექს-თავმჯდომარე საპყრობილეში 10 წელიწადს დაჰყოფს. ასეთი ვადის პატიმრობა მიუსაჯეს კიმ უ ჩუნს, მეწარმეს, რომელმაც 30 წლის განმავლობაში პატარა კერძო კომპანია უზარმაზარ კორპორაციად აქცია. მას გრალად ედება თაღლითობა და გაფლანგვა. გარდა ამისა, ამ 69 წლის გიზნესმენმა კორეის მთავრობას უნდა აუნაზღაუროს ასევე მიყენებული ზარალი – 22 მილიარდი დოლარი.



* * *

ძლიერი აფეთქების ხმა გაისმა საბერძნეთის კულტურის მინისტრის გეორგიოს ვულგარაკისის საცხოვრებელი სახლის მახლობლად. აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანს მანამდე ეკავა საბერძნეთის საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრის თანამდებობა. ასაფეთქებელი მოწყობილობა დადებული იყო ავტომობილის ძვეშ და იგი ამოძმედდა რამდენიმე წუთით ადრე, სანამ მინისტრი და მეუღლე სამსახურში წავიდოდნენ.

◎ თაობა

საგზურები გაინაწილეს

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა 14 წლის მოჭადრაკეთა საქართველოს პირველობა, რომელიც იმავდროულად შესარჩევი ტურნირიც იყო.

გოგონებში ჩემპიონობა და მსოფლიო პირველობის საგზური ნინო ანაკიძემ მოიპოვა. მეორე ადგილი ხვდა ნათია ჯალაბაძეს, რომელიც ევროპის პირველობაზე გაემგზავრება. ბრინჯაოს მედალი ფატი რიჟამაძემ დაიმსახურა.

ვაჟებში ყველას ლევან ბრეგაძემ აჯობა, მეორე იყო ნოდარ ლორთქიფანიძე. ისინი, შესაბამისად, მსოფლიო და ევროპის პირველობებზე იასპარეზებენ. მესამე ადგილზე გასული ნოდარ დავარაშვილი უსაგზაროდ დარჩა.

◎ ჭადრაკი

ლევმანის თემა

საჭადრაკო კომპოზიტორი, „ამოცანების და ეტიუდების“ კრებულების რედკოლეგიის წევრი (1927-29), გაზეთ „პრავდის“ (1920) საჭადრაკო განყოფილების რედაქტორი, მწერალი სიმონ ლევმანი (1896, ვიტებსკი – 1943) ორი და სამსვლიანი ამოცანების თემატიკაზე შექმნილი მრავალი ორიგინალური წინადადებების ავტორი გახლდათ.

1923 წლიდან გამოაქვეყნა 250-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის კომპოზიციები. კონკურსებზე დაიმსახურა 120 საპრიზო შეფასება, მათ შორის 32 პირველი პრიზით დაჯილდოვდა. ეს ამოცანები საჭადრაკო სამყაროში ლევმანის თემის სახელწოდებითაა ცნობილი.

ლევმანის თემის არსი თეთრი ფიგურების გახსნისა და გამოთთიშვის მოტივებზეა აგებული, რომელთა ეფექტურობა მხოლოდ საშამათო სვლის გაკეთების წინა მომენტში ვლინდება.

თამაზ შენგელია

„ბრიტანული ჭადრაკის კრებული“ (1932), I პრიზი



შამათი 3 სვლაში

1. ... b5 2. მd3 ლ:d3 3. f4X

1. ... კg5 ან (მe7) 2. მg4 ან (მf7) მgf5 3. კe6X

◎ ოლიმპიადა

საპრიზო ადგილების შანსი გაუჩნდათ

ტურინში გრძელდება მოჭადრაკეთა მსოფლიო ოლიმპიადა. მერვე ტურში საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა 2,5:1,5 სლია უზბეკეთის გუნდს (გაადურ ჯოზაავა რუსტამ კასიმჯანოვს დაუზავდა, ლევან ფანცულაია ტიმურ გარეევთან დამარცხდა, მერაბ გაგუნაშვილმა და დავით არუთინიანმა კი, შესაბამისად, ანტონ ფილიპოვსა და სერგეი კაიუმოვს მოუგეს). ამ გამარჯვების შემდეგ ჩვენებმა 21,5 ქულა მოაგროვეს, რაც, მომდევნო ტურებშიც წარმატების შემთხვევაში, საპრიზო ადგილებზე მოხვედრის შანსს იძლევა.

პირველ ადგილზეა სომხეთის ნაკრები – 24 ქულა, მეორე-მესამე ადგილებს 22-22 ქულით რუსები და უკრაინელები იყოფენ.

ქალებში 19 ქულით კვლავ რუსები ლიდერობენ. მათ ნახევარი ქულით უკრაინელები ჩამორჩებიან. 17-17 ქულა აქვთ ჩინელებსა და ამერიკელებს. 16,5 ქულით მეხუთე ადგილზეა საქართველოს ნაკრები, რომელმაც მერვე ტურში გულგარეთთან ფრედ (1,5:1,5ძ დაამთავრა შეხვედრა (ნინო ხურციძე ანტუანეტა სტეფანოვას დაუზავდა, ნანა ძაგნიძემ მარგარიტა მეოისკასთან წააგო, ლელა ჯავახიშვილმა კი ემილია ჯინგაროვა დაამარცხაძ.

გუშინ ჩვენი ვაჟები ჩინელებს, ქალები კი უნგრელებს ეთამაშებოდნენ.

◎ სამგო

ევროპა მოილიეს, წინ მუნდიალია

ამას წინათ საბერძნეთში დამთავრდა სამგისტთა ევროპის პირველობა ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში ოცდაერთი ქვეყნის ოთხასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა, მათ შორის – საქართველოდან.

– ევროპის პირველობაზე ოცი მოჭიდავით გავემგზავრეთ, – გვითხრა საქართველოს სამგისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ იაძემ.** – ამ ასპარეზობისთვის, თითქოს, ურიგოდ არ მოვემზადებულვართ და ნადავლიც საგულისხმოა, თუმცა ჭაბუკთა გამოსვლით მაინც უკმაყოფილო ვარ – მეტი შეეძლოთ. როგერტ მშვიდობაძე (56ძ ჩემპიონი გახლდა, გიორგი გახტაძე (60ძ ფინალში დამარცხდა, ილია ტყეშელაშვილმა (52ძ და ნიკოლოზ კუცია (81ძ მესამე ადგილები დაიკავეს. აი, ახალგაზრდებმა კი გვასახელეს. ისინი საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებულ რუსეთის ნაკრებს მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩნენ. ოქროს მედლები გელა სანიკიძემ (68 კგძ და გივი ტატანაშვილმა (ძიმე წონაძ დაიმსახურეს. მეორე ადგილებზე გავიდნენ ლევან ჩუბინიძე (48ძ და ნუგზარ ბადაშვილი (100ძ, ხოლო დიმიტრი მულაძე (52ძ, თამაზ სახეიშვილი (57ძ, ლევან ძოჩიევი (62ძ, დავით შენგელია (74ძ და თეიმურაზ კაკოიშვილი (90ძ ბრინჯაოს მედლებით დაკმაყოფილდნენ.

ახლა საქართველოს სამგისტები ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც ოქტომბერში მოსკოვი უმასპინძლებს.

თამარ გეჯაძე

◎ ორგიტაზე

მილიარდიანი ფსონი

ბრიტანელი გუკმეკერები მზად არიან ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებზე მიილონ თითქმის მილიარდი გირვანქა სტერლინგის (1,89 მილიარდი დოლარისძ საერთო თანხის ფსონები.

ფსონები ათასნაირია – დაწყებული, თუ მსოფლიო ვარსკვლავებიდან ვინ გაიტანს ყველაზე მეტ გოლს ან რამდენი კუთხური იქნება ამა თუ იმ მატჩზე და დამთავრებული იმით, თუ როგორი ვარცხნილობით გამოვა მინდორზე ინგლისის ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი.

ტოტალიზატორში თამაში ბრიტანეთში მუდამ პოპულარული იყო, მაგრამ 2001 წელს აზარტულ თამაშებზე გადასახადების გაუქმებამ და ინტერნეტის გავრცელებამ ბრიტანელი გუკმეკერების წლიური ბრუნვა 7 მილიარდიდან 50 მილიარდამდე გაზარდა.

ინგლისის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელის უეინ რუნის სერიოზულმა ტრავმამ ცუდად იმოქმედა გუკმეკერების მუშაობაზე, მაგრამ ნაკრებში მოულოდნელად 17 წლის ტეო უოლკოტის გამოძახებამ „არსენალიდან“ ახალი სიცოცხლე შემატა ტოტალიზატორებს.

უეფა ალბანეთს ემუქრება

ევროპის საფეხბურთო კავშირი (უეფაძ დაემუქრა ალბანეთის ფეხბურთის ასოციაციას, რომ შეაჩერებს ამ ორგანიზაციაში მის წევრობას და ალბანეთის ნაკრებს, აგრეთვე ქვეყნის სხვა გუნდებს არ დაუშვებს უეფას მიერ გამართულ არც ერთ შეჯიბრებაზე. ასეთი მკაცრი მუქარის საბაბი გახდა სახელმწიფოს ჩარევა საფეხბურთო ხელისუფლების საქმიანობაში – რამდენიმე კვირის წინათ ალბანეთის უმაღლესმა სასამართლომ არაკანონიერად მიიჩნია ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის თებერვლის არჩევნები.

გასულ პარასკევს უეფამ ალბანეთის სპორტის მინისტრს გუიარ ლასკის გაუგზავნა ოფიციალური წერილი ასეთი გადაწყვეტილების დაუშვებლობაზე გაფრთხილებით.

ბედნიერი „ყოფილები“

„მე კვლავ ბედნიერი ვარ, მყავს საყვარელი მამაკაცი და მისგან გავუშვს ველი“, – ამბობს პორნოფილმების ყოფილი ვარსკვლავი ლიუჩე კაპონეგრო (Selend. 39 წლის ლამაზმანის ახლანდელი რჩეული „უდინეზეს“, „ფიორენტინასა“ და „პესკარას“ ყოფილი ფეხბურთელი, 49 წლის ნიკოლა ძანონეა.

ლუჩიემ სახელი გაითქვა ჯერ კიდევ 1993 წელს პორნოფილმში „სკანდალური პროვინციელი ქალბატონები“ მონაწილეობით, თუმცა მდიდარი მენავთობის შვილმა ეს ინდუსტრია 2001 წელს მიატოვა, რაც თეატრსა და კინოში თამაში დაიწყო. ახლა ის პოპულარულ მუსიკალურ პროგრამა Hot-ს უძღვება.



◎ ნარდი

წავლენ, თუკი ვიზებს მისცემენ

კუს ტბაზე სამ დღეს გრძელდებოდა მონარდეთა ქვეყნის ღია ჩემპიონატი, რომლის ორგანიზატორი იყო საქართველოს ნარდის ასოციაცია (პრეზიდენტი თემურ ქურციკიძეძ. შეჯიბრებაში 200-მდე ქალ-ვაჟი მონაწილეობდა. ისინი ხუთ სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას.

ყველაზე დაძაბული გამოდგა ასპარეზობა ნარდში საერთაშორისო წესებით. ვაჟთა ფინალში ნოდარ მელია დავით თევდორაძეს სძლია და ტურნირში გამარჯვებისთვის დაწესებული მთავარი პრიზი – ოქროს კამათლებიც დაიმსახურა. მესამე ადგილები კახა ალთუნაშვილსა და თამაზ გიორგობიანს ხვდათ. ქალებში უძლიერესი იყო სახელოვანი მონარდე ნანა ხაზიური, რომელმაც გადამწყვეტი ორთაბრძოლა ცისანა მჭედლიძეს მოუგო. მესამე ადგილებზე ციცინო ასლანიშვილი და ლელა იაშვილი გავიდნენ.

გრძელ ნარდში ყველას ცნობილმა სპორტულმა კომენტატორმა ნუგზარ ჯულელმა ავჯობა. ქართულ (მოკლეძ ნარდში პირველი ადგილები ომარ დვალმა (ოსტატთა შორისძ და რევაზ კიკნაძემ (მოყვარულთა შორისძ დაიკავეს. წყვილთა პაექროზის ფინალში გუნდმა „ვერემ“ (ზურაბ გველესიანი, გიორგი ჭალაგანიძეძ „ადმირალი“ (ტარიელ ვარდანაშვილი, ოსკი ჯინჯიხაშვილიძ დაამარცხა.

გამარჯვებულებსა და პრიზიორებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის, საქართველოს ნარდის ასოციაციის, ლუდი „ბითბურგერ-ბუდვაიზერის“, ტურისტული სააგენტო „მეტროპოლ-თრეველის“, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ დირექციის მიერ დაწესებული ჯილდოები გადაეცათ.

საქართველოს საუკეთესო მონარდეები ახლა ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატისთვის, რომელსაც 9-17 ივლისს მონტე-კარლო უმასპინძლებს. ოღონდ გამგზავრება სათუო, რადგან, თემურ ქურციკიძის თქმით, ჩვენს სპორტსმენებს ვიზებთან დაკავშირებით საფრანგეთის საელჩო უქმნის პრობლემებს. ყოველ შემთხვევაში, უწინ ასე იყო. იქნებ, ამჯერად ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდეს.

ლექსო ცინცაძე

სურათებზე: თემურ ქურციკიძე (მარცხნივძ ომარ დვალს აჯილდოებს; ღია ჩემპიონატის გამარჯვებულები: მარცხნიდან – ზურაბ გველესიანი, ნუგზარ ჯულელი, გიორგი ჭალაგანიძე, ნოდარ მელია და ნანა ხაზიური.

როგერტ ბაგოიანის ფოტო.

◎ გილიარდი

თასიც, ფულადი ჯილდოც



წლეულს პირველად გათამაშდა საქართველოს გილიარდის ეროვნული ფედერაციის თასი „დინამიურ პირამიდაში“. კლუბმა „იმპერიალმა“ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის უმაღლესი რეიტინგის მქონე 16 სპორტსმენის ასპარეზობას უმასპინძლა (ტურნირის საპრიზო ფონდი 2500 ლარს შეადგენდაძ.

დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ ფინალში გიორგი ტიზლიარიშვილმა 7:4 სძლია არტურ პოღოსიანს და მთავარ პრიზს დაეუფლა. მესამე ადგილებზე გიორგი ნინოშვილი და ირაკლი ლომია გავიდნენ.

გილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ალექსიძემ გვითხრა, რომ მსგავსი ტურნირი ტრადიციული გახდება და იგი საერთაშორისო სტატუსსაც შეიძენს, რადგან საპაექროდ უცხოელ მოგილიარდეებსაც მოიწვევენ.

„იმპერიალში“ უახლოესი შეჯიბრება 12 ივნისს გაიმართება და იგი გილიარდის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებლის – ზაზა დარასელის ხსოვნას მიეძღვნება. პირველობისთვის პროფესიონალ სპორტსმენებთან ერთად მასმედიის წარმომადგენლებიც იასპარეზებენ.

სურათზე: გიორგი ტიზლიარიშვილი ასპარეზობისას.

როგერტ ბაგოიანის ფოტო

◎ ეროვნული სტადიონი

მთელი საქართველო აქ არის

ამ დღეებში გორის პაიჭაძის სახელოვნის ეროვნულ სტადიონთან თუ ჩაგივლიათ, მტვერში ამოგანგლულ მიდამოს, ხარაჩოებში ჩასმულ სვეტებსა და საძმიანად მოფუსფუსე ადამიანებს შეამჩნევდით. თვითმცლელების, ტრაქტორ-გრეიდერებისა და სხვა მძიმე ტექნიკის გუგუნი აყრუებს იქაურობას: ასეა ოცდაოთხი საათის განმავლობაში. ეროვნული სტადიონი საშუალო პოლიგონადაა ქცეული. ვის არ ნახავთ აქ – რომელი კუთხისა და ეროვნების წარმომადგენელს... მთელი საქართველო აქ არის, რათა დროულად მოესწროს რეკონსტრუქცია და ევროპის ჩემპიონატის 2 სექტემბრის შესარჩევი მატჩი საფრანგეთთან განახლებულ სარგიელზე ვიხილოთ.

კარგა ხანია, ტრიბუნებიდან ძველი სკამები აიღეს, რკინა-ბეტონის სამუშაოები დამთავრდა, მალე ახალი ჰიდროიზოლაციის დაგებაც დასრულდება. გასულ უქმეებზე სამშენებლო კომპანია „თბილისის“ (გენერალური დირექტორი თემურ ჩარკვიანი) „შვილოგილი“ კომპანია „ნიუსიტის“ (დირექტორი ზაქარია გიორგაძე) წარმომადგენლები სექტორებს შორის კიბეების გაახლებითა და სხვა საქმეებით იყვნენ დაკავებული. საუშაოთა მწარმოებელმა ვანო მჟელლიძემ მითხრა, რომ სტადიონის რეკონსტრუქციაზე ყოველდღიურად 350-400-მდე ადამიანი მუშაობს, რათა დროულად მოესწროს მისი დამთავრება და კეთილმოწყობილი ტრიბუნებიდან ერთად ვუქომაგოთო ჩვენს ნაკრებს.

ცხადია, მშენებლთა ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი სათამაშო მოედანია. ძველი საფარი „მერანის“ სტადიონზე წაიღეს, ეროვნულზე კი მძიმე ტექნიკის დახმარებით მიწა მოასწორეს, ახლა გერმანული ტექნოლოგიით დრენაჟისა და ამერიკული ფირმის სარწყავი სისტემის დამონტაჟება დაიწყება. რეგორი იქნება საფარი, ამის შესახებ კომპანია „გეოგრასის“ დირექტორს **ლევან ცხოვრებაშვილს** გავესაუბრე.

საქართველოში ყოველთვის იდგა სათამაშო მოედნების კეთილმოწყობის პრობლემა. გამონაკლისი არც „დინამოს“ ბაზა ყოფილა. როცა იქ სპორტული მოედნების ინსტრუქტორად ლევან ცხოვრებაშვილი დაინიშნა, მან საფარის განახლებაზე დაიწყო ზრუნვა. რამდენჯერმე ეწვია მოსკოვური კომპანია „რუსსკიე გაზონის“ ხელმძღვანელებს. იქაური ტექნოლოგიების შესაბამისად სასათბურე მეურნეობის შექმნა გადაწყვიტა. დაინტერესა მოსკოვში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი – ყოფილი საკავშირო კატეგორიის მსაჯის დემურ აბუთიძის ვაჟი კახა აბუთიძე, დაუკავშირდა თურქული ფირმა „ჩიმექსის“ ხელმძღვანელებს – მამა-შვილ ეროლ და ომარ შენიუზებს. მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში შეარჩიეს 10 ჰექტარი ფართობი და საქმესაც შეუდგნენ. სამხარეო და რაიონული გამგეობის ხელმძღვანელებთან ერთად ბატონ ლევანს დიდი დახმარება გაუწია ქანდის ყოფილი სანერგე მეურნეობის დირექტორმა ნოვრუზ ბაბაევმა, რომელსაც „გეოგრასის“ დირექტორი ძლიერ ემადლიერება – რომ არა ამ ადამიანის უანგარო თანადგომა, ძალიან გამიჭირდებოდაო, ამბობს ბატონი ლევანი, რომელსაც სათამაშო მოედნებზე საფარის დაგების გამოცდილება რამდენიმე წლის წინათ უკრაინის საკურორტო ქალაქ ტრუსკავეცში მიუღია. მერე „ჩიმექსის“ დახმარებით „ოლიმპისა“ და ზესტაფონის სტადიონებზე უმუშავია.

– უწინ ბალახის საფარის რულონები სხვა ქვეყნებიდან შემოგვძონდა, – გვითხრა მან. – ახლა საკუთარ სასათბურე მეურნეობაში ვაწარმოებთ. მისი გადარგვის შემთხვევაში საფარი ძირებს უკეთ გაიმაგრებს, ნიადაგსაც იოლად შეეგუება და მოვლაც არ გაგვიჭირდება. ეროვნულ სტადიონზე საფარის დაგებას დაახლოებით 25 ივნისს დავიწყებთ და ერთ კვირაში დავამთავრებთ. შემდეგ მოედნის მოვლას შევუდგებით. იგი უნდა დაიტკეპნოს, ნიადაგი სასუქით განოყიერდეს, მოირწყას, დადგენილ ვადებში ბალახი გაიპარსოს. 40-45 დღე გვჭირდება, რათა მოედანი სათამაშო კონდიციამდე მივიყვანოთ. ასე რომ, დარწმუნებული ვარ, 2 სექტემბერს ფრანგი და ქართველი ფეხბურთელები საფარით კმაყოფილი დარჩებიან.

– საკუთარი ძალებით გაწვდებით ამდენ საქმეს?

– როგორც გითხარით, ჩვენი პარტნიორია თურქული კომპანია „ჩიმექსი“, რომელსაც სასათბურე მეურნეობა 75 ჰექტარზე აქვს გაშლილი. მისი დაგებულია „გალათასარაის“, „ფენერბახჩეს“, „გეშიქთაშის“, „ტრაბზონსფორისა“ და სხვა ცნობილი კლუბების სტადიონების საფარი, ასევე დიდი ქალაქების გაზონები. საერთოდ, მთელ თურქეთში გაზონების კულტია. არც არის გასაკვირი, რადგან 400 კვადრატული მეტრი მწვანე საფარი დღე-ღამეში 4-5 ადამიანისთვის საჭირო ჟანგბადს იძლევა, ისრუტავს ნახშირორჟანგს, ნაგავს. ერთი სიტყვით, ეკოლოგიისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამჟამად ქანდაში იმყოფება „ჩიმექსის“ ცნობილი სპეციალისტი აბრონომი ჰასან შაჰინი ორ თანაშემწესთან ერთად და ის აკონტროლებს ეროვნულ სტადიონზე დასაგები საფარის ხარისხიანობას. ყოველდღიურად შვილივით ელოლიავება გაზონს.

„გეოგრასის“ დირექტორთან ერთად ქანდაშიც გავემგზავრე და ის საფარი ვნახე, რომელიც ეროვნული სტადიონისთვის არის გამიზნული.

– რაც ეს ბალახი ამოვიდა, მას შემდეგ ერთხელაც არ მოგვირწყავს და არც სასუქი შეგვიტანია, – ამიხსნა ბატონმა ჰასანმა. – უნიკალურად ნოყიერი ნიადაგი და სუფთა წყალი გაქვთ. რაც თქვენთან გუნებრივად მოდის, იმას თურქეთში ხელგდაკაპიწებული შრომა სჭირდება. სამი თვეა, საქართველოში ვარ და ამ საფარს ვუვლი ბატონ ლევანთან ერთად. სტადიონზე მის დაგებასაც მე ვუხელმძღვანელებ. გვერ ცნობილ სარგიელზე მიმუშავია და ოცდაათწლიანი გამოცდილება მაქვს. მერწმუნეთ, თქვენს ეროვნულ სტადიონს ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო სათამაშო მოედანი ექნება. სანამ ამას სპეციალისტები არ ალიარებენ, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, – ღიმილით დასძინა სტუმარმა.

– დიდ საქმეს აკეთებს ლევან ცხოვრებაშვილი, – ჩაერია საუბარში **ნოვრუზ ბაბაევი.** – სასათბურე მეურნეობის მოწყობით მან ჩვენი და მეზობელი სოფლების 200-მდე ადამიანი დაასაქმა. თითოეულს ყოველთვიურად 150-200 ლარი აქვს ხელფასი, ზოგს გამომუშავებით მეტიც გამოსდის. ახლაც ჩვენი სოფლიდან სტადიონის რეკონსტრუქციაზე 60-მდე ადამიანი მუშაობს. ხელს თუ არ შეუშლიან, მეჯერა, ბატონი ლევანი საქართველოსთვის ბევრ საშვილიშვილო საქმეს გააკეთებს...

თბილისში რომ ვბრუნდებოდით, „გეოგრასის“ დირექტორმა ერთი საინტერესო ამბავიც გაიხსენა:

– „ჩიმექსის“ თავკაცმა ეროლ შენიუზმა შარშან მე და კახა აბუთიძე შვილის ქორწილში დაგვპატიჟა. ომარმა ტრაბზონში ცნობილი ბიზნესმენის – ალბაირაქის ქალიშვილი შეირთო. ქორწილი ფადიშაჰის სასახლეში გადაიხადა. სტუმრებისთვის სუფრა თეთრ კარვებში იყო გაშლილი. ჩვენ იმ კარავში მოვხვდით, სადაც მაგიდასთან თურქეთის პრემიერ-მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, პარლამენტის სპიკერი და მისი მეუღლე, მთავრობის სხვა წევრები ისხდნენ. ბატონმა ეროლმა პრემიერ-მინისტრი ერდოგანი გაგვაცნო და მას ჩვენი კომპანიონოგის შესახებ აუწყა. ქვეყნის მთავრობის მეთაური კმაყოფილი დარჩა ორი მხარის მეგობრული ურთიერთობით.

ერთიც მინდა დავძინო – ჩვენს კომპანიას სახელი „გეოგრასი“, რაც „ქართულ ბალახს“ ნიშნავს, ბატონმა ეროლმა დაარქვა.

– რა ჯდება სტადიონზე გაზონის დაგება?

– ერთი კვადრატული მეტრი თურქული საფარის ფასი განგაჟებითა და ტრანსპორტირებით 23-25 დოლარს აღწევს, ჩვენს მეურნეობაში გამოყვანილი საფარი კი – ორჯერ ნაკლები ჯდება, თანაც ადგილობრივ ნიადაგთან ბალახის შეგუებლობა ასპროცენტიანია, რასაც იმპორტირებულზე ვერ ვიტყვით.

– სხვა სტადიონების ხელმძღვანელთაგან თუ გაქვთ შემოთავაზება?

– ეროვნულზე სამუშაოების დამთავრების შემდეგ, ალბათ, „ჩიხურას“ სარგიელზე გადავინაცვლებთ. არის სხვა წინადადებებიც, კერძოდ, აზერბიჯანიდან, მაგრამ ამჯერად ჩვენი საზრუნავი მხოლოდ ეროვნული სტადიონია, მერე კი ვნახოთ...

არნახული ტემპით მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები გორის პაიჭაძის სახელოვნის სარგიელზე. ტრიბუნები და ტერიტორიის დიდი ნაწილი გაწმენდილია; გარედან უკვე დაიწყო სტადიონის შელეგვა, შეკეთდა და ილებება სახურავი. მალე ინდივიდუალური სკამების დამონტაჟებაც დაიწყება. ჩქარობენ მშენებლები – ორ სექტემბრამდე ხომ არც ისე დიდი დრო დარჩა.

ვაჟა დანელია



სურათებზე: ნოვრუზ ბაბაევი (მარცხნივ), ჰასან შაჰინი და ლევან ცხოვრებაშვილი ქანდის სასათბურე მეურნეობაში; ასე იპარსება გაზონი; სარეკონსტრუქციო სამუშაოები ეროვნულ სტადიონზე.

ავტორის ფოტო.

◎ წინა საუკუნის საოცრებები

წლეულს მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ გულგარელ გრმა წინასწარმეტყველ ქალს, ვანგას, 95 შეუსრულდებოდა. გევრი დაწერილა თუ თქმულა ამ უნიკალურ, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეულ ქალგატონზე და კვლავაც დაიწერება. მარტო ის რად ღირს, რომ 55 წლის მოლვაწეობის მანძილზე ვანგამ მილიონზე მეტი მნახველი გაისტუმრა (წელიწადში 18200-მდე გამოდის თვეში – 600-ზე მეტი!ძ. იმათ შორის ცნობილი და ძალიან ცნობილი პიროვნებებიც იყვნენ.

დავსტუდიოთ თვალსაჩინო განმჭვრეტელი

გევრი მეცნიერი ვანგას თალლითად თვლიდა, თუმცა ასევე გევრი სწავლული სერიოზულად ეკიდებოდა უსინათლო ქალის ნიჭს. ერთი

პროფესორი ვანგასთან რამდენიმე წლიანი საუბრების შედეგად იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ქალგატონს მართლაც არაჩვეულებრივი ტელეპათიური უნარი ჰქონდა. გავიხსენოთ ვანგას განმჭვრეტელობის რამდენიმე საგულისხმო ფაქტი.

თავის დროზე ჰიტლერიც ესტუმრა გულგარელ მისანს და რომ მოუსმინა, მასხარად აგდება დაუწყო. მაშინ ვანგამ ფიურერის მცველები მეზობელ ქუჩაზე გაგზავნა – **იქ ახლა ჭაკი კვიცს მოიგებს, რომელიც ასეთი და ასეთი იქნებაო, თან დაწვრილებით აღუწერა, თუ როგორი. კვიცი სწორედ აღწერის შესაბამისი აღმოჩნდა და ჰიტლერი გაცოფებული გაბრუნდა.**

სტალინის გარდაცვალებამდე ნახევარი წლით ადრე იწინასწარმეტყველა ვანგამ ეს ამბავი, რისთვისაც საპატიმროში ჩასვეს, თუმცა უმალვე გამოუშვეს გელადის სიკვდილის შემდეგ.

1979 წელს მისანთან მსახიობი ვიაჩესლავ ტიხონოვი ჩავიდა. ის-ის იყო, ზღურგლს გადააგიჯა, რომ ვანგამ შესძახა: **„რატომ არ შეუსრულე თხოვნა შენს საუკეთესო მეგობარს? იური გაგარინზე გეუბნები – რაცა უკანასკნელი საცდელი გაფრენისათვის მიემგზავრებოდა, გამოსამშვიდობებლად მოვიდა შენთან და გითხრა: დრო არა მაქვს, ამიტომ ძალიან გთხოვთ, იყიდე მალვიძარა და მაგიდაზე დაიდგი. დაე, ეგ საათი ჩემ თავს გახსენებდესო...“**

მსახიობი იმდენად აღელდა, რომ ცუდად გახდა და ვალერიანის წვეთებით დაამშვიდეს. მან იქვე აღიარა, რომ ყველაფერი სწორედ ასე იყო, მაგრამ გაგარინის დაღუპვით გამოწვეულ გაწამაწიაში დააავიწყდა იმ მალვიძარას ყიდვა...

მწერალი ლეონიდ ლეონოვიც ეახლა ვანგას. **ხელნაწერები დაგეწვებაო, უთხრა მასპინძელმა. სტუმარმა არცთუ გოლომდე დაიჯერა ეს, მაგრამ მოსკოვში დაგრუნებულმა, ყველა ქაღალდი აგარაკიდან ქალაქის გინაში გადაიტანა, სადაც_ დაეწვა კიდევაც.** შემდგომ, როგორღაც, ლეონოვმა დაამუნათა მისანი, ცოლი რომ მომიკვდებოდა, რატომ არ გამაფრთხილეო. **„როგორ არა, – აღშფოთდა ვანგა, – მე ხომ სუვენირი გამოგიგზავნე, ყავის ფინჯანი. ერთი“.**

ხშირად ხვდებოდა წინასწარმეტყველს ყალეუხეთის პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი. **ქალმა მას ზუსტად მიუთითა სამშობლოში მსხვილ ნავთობსაბადოზე. ააშენეს კიდევაც იმ ადგილას დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.** 1995 წლის ზაფხულში კი ვანგამ ასე მიმართა ილუმჟინოვს: **„ორ პრეზიდენტ კირსანს ვხედავ“.** საკმაოდ უცნაურად გაისმა ეს, მაგრამ **ნოემბერში ყალმუხეთის პირველი პირი საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს...**

მოგვყავს სხვა ახდენილ წინასწარმეტყველებათა ნუსხა: **მეორე მსოფლიო ომის დაწყება და გერმანელთა ვზარების შეჭრა იუგოსლავიაში; გულგარეთის მეფის ბორისის სიკვდილის თარიღი; გულგარეთის განთავისუფლების დღე – 1944 წლის 9 სექტემბერი; მოვლენები პრაღაში 1968 წელს, როცა საბჭოური ტანკები ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის ქუჩებში გამოჩნდნენ; ინდირა განდის გამარჯვება 1969-ში, ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე, რასაც არცვინ ელოდა; ჯიმ კარტერის პრეზიდენტობის მხოლოდ ერთი ვადა; 1984 წელს სირიაში დაწყებული ომი; პერესტროიკა-გადაწყობა სსრ კავშირში...**

სულ გოლოს – რამდენიმე, ჯერჯეროგით აუწდენელი ნაწინასწარმეტყველევი: **XXI საუკუნის დასაწყისში კაცობრიობა მოიცილებს კიბოს – დადგება დღე, როცა კიბოს ბორკილებს გაუყრიან, მის წამალში გევრი რკინა იქნება; სსრ კავშირი აღდგება XXI საუკუნის პირველ მეოთხედში; მეცნიერება დიდ აღმოჩენებს გააკეთებს არამატერიალურ სფეროში; მთელი დაფარული ოქრო ზედაპირზე ამოვა, მაგრამ წავა წყალი...**

რეჟისორმა ფგგ მოატყუა

ცნობილ ჰოლივუდელ კინორეჟისორს ჯონ მაქთირნანს ბრალი ედება ფედერალური გამოძიების ბიუროსათვის ყალბი ჩვენებების მიცემაში. ტელეარხის ABC-ის შეტყობინებით, „წითელ ოქტომბერზე ნადიროგისა“ და „თომას ქრაუნის აფერის“ დამდგმელს ხუთი წლით პატიმროგა ემუქრება.

რეჟისორმა განუცხადა ფგგ-ს აგენტებს, რომ არაფერი იცის კერძო დეტექტივის ეთნონი პელიქანოს მხრივ ჰოლივუდელი პროდიუსერის ჩარლზ როვენის სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის თაოგაზე – იუწყება ტელეარხი.

მაქთირნანი და როვენი ერთად მუშაოგდნენ ფილმზე „როლერგოლი“. გამოძიების მონაცემებით, სწორედ 55 წლის მაქთირნანმა დაიქირავა კერძო დეტექტივი საუბრების მოსასმენად. სახელი პელიქანო „ფიგურირებს“ ჰოლივუდელი ვარსკვლავების, კერძოდ, სილვერსტერ სთალონეს სატელევიზიო საუბრების მოსმენასთან დაკავშირებულ სკანდალში. მიყურადების მონაცემებს დაშინებისა და შანტაჟისთვის იყენებდნენ.

პელიქანი თავს დამნაშავედ არ ცნობს. მაქთირნანი მეთოთხმეტე ეჭვმიტანილია კინოვარსკვლავთა მიყურადების გახმაურებულ საქმეში.

◎ ვარსკვლავები

კინოქალაქის ბოლოდროინდელი ნაბიჯები

შირლი მაქლეინმა კვლავ დაიწყო კინოში აქტიური გადადგმა. კარიერაში ერთგვარი პაუზა აგენტის სიკვდილმა გამოიწვია, მაგრამ მალე მსახიობ ქალს მიწვევა მიწვევაზე მიუვიდა. ახლა მაქლეინი სახასიათო და ასაკოგრივ როლებს თამაშობს, როგორც, მაგალითად, ფილმში „ხმა დადის“, სადაც ჯენიფერ ანისთონთან ერთად გადაუღეს.

ძველ ჰოლივუდს რომ იხსენებს, ამბობს, რომ იმ დროს არცვის მოუვიდოდა თავში მსახიობის აგარაკზე ფარული კამერის დაყენება ან მიკროფონის შეჩრა საავადმყოფოში საწოლის ქვეშ. ახლა ჩვენ პირადი ცხოვრება აღარ შეგვარჩინეს, გეგონეგა, ტაგლოიდურ რეალოგაში ვცხოვრობთო.

სწორედ ტაგლოიდურ რეალობას ახსენებს მსახიობი ქალი თავის გოლო წიგნში „კამინო“. ის ათი წიგნის ავტორია, პირველი კი – „ნუ ჩამოვარდებით მთიდან“ – 1959 და 1960 წლებს შორის დაწერა. მაქლეინი ნაწერებში იგონებს წარსულს, მსჯელობს აწმყოზე და მკითხველებს სულიერ გამოცდილებას უზიარებს. არც კომპიუტერს ცნობს და არც საწერ მანქანას – კალმისტრით წერს ხან მარჯვენა ხელით, ხანაც მარცხენით.

გაისად მსახიობ ქალს გადაიღებენ ფილმში „Closing the Ping“, რომელსაც გელფასტსა და ჩრდილოეთ კაროლინაში გადაიღებენ.

Культура

სიუზენ სარანდონი: ფეფა 39 წლისა გავხდი

გამოჩენილი კინომსახიობი ქალის ხუთ საუკეთესო ფილმად ითვლება „მშვენიერი გავშვი“, „შიმშილი“, „ისთვიკელი კუდიანები“, „ტელმა და ლუიზა“, „ოდის მკვდარი“.

სიუზენისთვის ოჯახი პირველ ადგილზე დგას. ის როდი ეკუთვნის

იმ სახელგანთქმულთა რიცხვს, ვინც გარეშეებს პირად ცხოვრებას უმალავს. ცნობილ მსახიობსა და რეჟისორთან თიმ როგინსონთან ქორწინებაზე, გინდა შვილებზე (13 წლის ვაჟსა და 10 წლის გოგონაზეძ მზადაა საათობით ილაპარაკოს. გეგონება, არც არსებობს კითხვები, რომელთა დასმასაც იუხერხულებს...

– ეროტიკული ჟურნალისთვის არასოდეს გადამიღია ფოტოსურათი. „ფლეიბოი“ 20 წელია, რაც ამას მეხვეწება. ჟურნალის რედაქტორთან წელიწადში გარე 25-ჯერ ვსადილობდი რესტორნებში და სულ უფრო და უფრო მეტ ჰონორარს მთავაზობდა. ის-ის იყო დავიწყე ფიქრი, თუ როგორ მექცია უჩვეულოდ ფოტოსტრიპტიზი, რომ მოულოდნელად დავორსულდი. პირველი შვილი 39 წლის ასაკში გამიჩნდა. გავშვების დაგადება ნამდვილი სასწაული იყო. ახლა ვინმე რომ მეკითხება, თუ როგორ დაფეხმძიმდეს, ვეუბნები: გაემგზავრეთ იტალიაში, დისვენეთ ორიოდე კვირა, კაი ჭამეთ და კაი სვით. დამიჯერეთ, ეს მოქმედებს!

სხვათა შორის, შვილებისთვის აუტანელია თვით იდეაც, რომ დედას ეკრანზე შეუძლია კოცნა არა მამისა, არამედ რომელილაც სხვა მამაკაცისა. ამიტომაც არასდროს არ უყურებენ ჩემს ფილმებს...

ერთხელ ბიჭი მოვიდა შინ და მეკითხება: „დედა, მართალია, რომ კინოში ვამპირი ლესბოსელი ქალი გითამაშია?“ „ჰო, შვილო, მართალია“. „ეგ როგორ გააკეთეო“... არადა, „შიმშილში“ კატრინ დენივთან ლესბოს ურ სცენამდე ქალთან საწოლში არ ვწოლილვარ. ისე კი შემიძლია თქმა, რომ ამ პროცესს ჩემში ზიზღი არ გამოუწვევია, თუმცა, საერთოდ, კამერის წინ გაშიშვლება საშინელია.

სურათში „თეთრი სასახლე“ ორალური სექსი უნდა მეკისრა ჯიმ სპეიდერთან, უფრო ზუსტად, ასეთი რამის სიმულირება. თანაც ეს პირველსავე გადასაღებ დღეს უნდა გამეკეთებინა! თავიდან, რასაკვირველია, აღშფოთებით უარვყავი სცენარი, მაგრამ მერე ახლოს გავიცანი რეჟისორი ლუის მანდოკი, ვნახე მისი ფილმები და გადავწყვიტე, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. არც შევმცდარვარ...

სად უფრო მომწონს თამაში – კინოსა თუ თეატრში? თეატრში გამოსვლა იგივეა, რაც სურვილობა. კინოში გადაღებები კი რაღაცითა მასტურბაციას წააგავს. სცენაზე შენ სრულფასოვნი პარტნიორი გყავს, რომელსაც ცოცხალ ემოციებს უცვლი, მისგანაც და დარბაზისგანაც საპასუხოდ რაღაცას იღებ. კინოში პარტნიორი ხშირად არც კი არის მოედანზე, ყველაფერს ნაჭერ-ნაჭერ იღებენ, პრაქტიკულად შენ თვითონ აკეთებ ყველაფერს...

მე ერთიც მომწონს და მეორეც. თეატრი ჩემი სამსახიობო ქალების რწმენას მმატებს, კინოში მუშაობას კი სახელი და დიდება მოაქვს... მომწონს გადაღებების დროს წარმოქმნილი ოჯახურობისა და თანამშრომლობის შეგრძნება. როგორც ეს იყო, მაგალითად, გოლო სურათში „სიყვარული და სიგარეტები“...

КП

აზიელი ოდრი ჰეპბერნი

გოლო დროს ჰოლივუდი აზიურ გუმს განიცდის. კინოეკრანებზე სულ მეტი და მეტი ირიგთვალებიანი მზეთუნახავი ჩნდება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ იმათ მხოლოდ მეორე პლანის როლების იმედის ქონა შეეძლოთ მეძავის ან ამერიკაში სამუშაოდ გამგზავრებული ღარიგი გოგონასი.

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. ჰოლივუდურ ფილმში „გეიშას მემუარები“ ყველა მთავარ როლს ჩინელი ქალები ასრულებენ. ერთ-ერთ მსახიობს, 26 წლის ჩუან ზიის „აზიელ ოდრი ჰეპბერნს“ უწოდებენ. ის პეკინში, ეკონომისტი მამისა და საგავშვო გალის აღმზრდელი დედის ოჯახში დაიგადა, მშობლიური ქალაქის სასწავლებლებში ეუფლებოდა ცეკვებსა და სამსახიოგო ოსტატობას. პირველი ამერიკული ფილმი, რომელშიც ჩუანი გადაიღეს, გახლდათ „პიკის საათი – 2“ (2001 წ.ძ, თუმცა მაშინ სულ არ იცოდა ინგლისური და რეჟისორის შენიშვნებს პარტნიორი ჯეკი ჩანი უთარგმნიდა. სახელი მოგვიანებით გაუვარდა, ორი სურათის შემდეგ: „მიპარული ვეფხვი, უჩინარი დრაკონი“ და „გმირი“, სადაც დაამტკიცა, თუ რა ბრწყინვალედაა დაუფლებული სამომარ ხელოვნებებს.

ჟურნალმა „თაიმმა“ ჩუან ზიი ჰოლივუდისადმი მირთმეულ ჩინურ საჩუქრად მოიხსენია, ხოლო ჟურნალმა „ფიფლმა“ ორჯერ შეიყვანა მსოფლიოს 50 ყველაზე ლამაზი ადამიანის სიაში.

მსახიობი რეკლამას უკეთებს კოსმეტიკას, შამპუნს, კომპიუტერებს, კორეულ მინერალურ წყალსა და კოკა-კოლას. „გეიშას მემუარები“ მის კარიერაში უმაღლესი მიღწევაა, ოღონდ სანანებლად აქვს, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ, ანტიიაპონურ განწყობათა აფეთქების შიშით, ქვეყანაში აკრძალა ამ ფილმის გაქირავება.

ამჟამად ჩუანი ჩინურ სურათში „ღამის ნადიმში“ მონაწილეობს, რომლის სცენარი დაიწერა უილიამ შექსპირის „ჰამლეტის“ მოტივების მიხედვით: ინგრავა ოდესლაც მძლავრი იმპერია. იმპერატორი, დედოფალი და მემკვიდრე პრინცი ანგარიშსწორების ღამის ლხინისას უპირებენ მტრებს.

Культура

◎ ყველაფერი ყველაფერზე

ხელოვნება შიშველი სახით

ვენეს უელას დედაქალაქ კარაკასში ათას ხუთასზე მეტმა ყველა ასაკის მამაკაცმა და ქალმა გადაწყვიტა გატიტვლება ხელოვნების გულისთვის. მოხალისეები პოზირებაზე დაეთანხმენენ სკანდალურად ცნობილ ფოტოგრაფს სპენსერ ტუნიკს. ხმამალლამოლაპარაკეთი გაცემული მისი მითითებების შესაბამისად, სიშიშვლით „გაერთიანებულებმა“ ადამიანთა თავისებური მოზაიკა შექმნეს სიმონ ბოლივარის ქუჩის წინ.

ამგვარმა გადაღებებმა ჩაიარა საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, ბელგიაში, ესპანეთში, ბრაზილიასა და აშშ-ში. ტუნიკის ყველაზე მასობრივი ფოტოგრაფირება ბარსელონაში შედგა 2003 წელს, სადაც 7 ათასმა მოხალისემ გაიძრო ტანსაცმელი კამერის წინ უკვდავსაყოფად.

ფოტოგრაფი ასეთ „ცოცხალ ინსტალაციებს“ 1992 წლიდან ეწევა. კარაკასელი მოხალისენი ორი საათის განმავლობაში იყვნენ იძულებულნი, რომ პოზირება გაეგრძელებინათ, დროდადრო საკმაოდ უხერხულ „საასფალტო“ პოზებშიც. „ეს რაღაც ახალია. გარდა განგოჭვისა, – რამდენადაც საჯაროდ ვშიშვლდებით – ეს ხელოვნებაც გახლავთ“, – განაცხადა მასობრივი გახდის აქტის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ალ პაჩინომ ირიდს დაუმიზნა

გამოჩენილი კინომსახიობი ლოს-ანჟელესის თეატრალურ სცენაზე ოსკარ უაილდის ტრაგედიის „სალომეას“ დადგმაში გამოვა – მეფე ირიდს ითამაშებს. სალომეას როლს მსახიობი ქალი ჯესიკა ჩასთეინი ასრულებს, იოანე ნათლისმცემლისას – ქევინ ანდერსონი, რომელმაც პრემია „ტონი“ მიიღო 1999 წელს, ართურ მილერის პიესაში „კომივოიაჟერის სიკვდილი“ როლისთვის.

ლოს-ანჟელესში დადგმის რეჟისორი ესთელ პარსონსი გახლდათ „სალომეას“ 2003 წლის ბროდვეის ვერსიის ავტორიც, სადაც ალ პაჩინოს გარდა, დაკავებულნი იყვნენ დევიდ სთრათარნი და მარიზა თომეი.



ალ პაჩინომ „ოსკარი“ 1992 წელს მოიპოვა მამაკაცის საუკეთესო როლისთვის ფილმში „ქალის სურნელი“. კინოვარსკვლავი არ უარობს თეატრალურ გამოსვლებს: ბროდვეიზე იუჯინ ონილის პიესაში და შექსპირისეული რიჩარდ III როლშიც გამოსულა.

„სეზარ“, გაიხსენი!

კინოლენტი „ჩემმა გულმა შეწყვიტა ძგერა“ 2005 წლის საუკეთესო ფრანგულ ფილმად არის მიჩნეული, ხოლო მისი შემქმნელი ჟაკ ოდიარი – საუკეთესო რეჟისორად. ასეთია კინოს ხელოვნებისა და ტექნიკის აკადემიის ჟიურის გადაწყვეტილება, რომელიც ამერიკული „ოსკარის“ ფრანგული ანალოგის „სეზარის“ მომცრო ქანდაკებათა ლაურეატებისთვის გადაცემის ყოველწლიურ 31-ე ცერემონიაზე გამოცხადდა.

გამარჯვებული სურათი, სადაც მთავარი როლი ჰარვი კეიტელმა შეასრულა, მოგვითხრობს უილბლო კომერსანტზე, რომელსაც მუსიკამ სიცოცხლის სიყვარული დაუბრუნა. ამავე ლენტმა 6 ჯილდო მოაგროვა სხვა ნომინაციებში (მუსიკა, მონტაჟი და ასე შემდეგ, ცოტა აღრე კი ამერიკული „ოქროს გლობუსის“ ფრანგული ანალოგის „ლიუმერის“ პრემია მოიპოვა.

წლის საუკეთესო მსახიობ მამაკაცად მიუფელ გუკე დაასახელეს ფრანსუა მიტერანზე გადალებულ ფილმში „გასეირნებები მარსის ველზე“ მთავარი როლისთვის, საუკეთესო მსახიობ ქალად კი – ნატალი გეი (ფილმი „პატარა ლეიტენანტი“ ქ. ჯილდო საუკეთესო სცენარისთვის ერგო რადუ მიხილეანუს (სურათი „წადი, იცოცხლე და დადექი“ ქ.

უცხოური ფილმებიდან „სეზარით“ აღინიშნა ამერიკელი ქლინთ ისთვუდის ნამუშევარი „პაწია გოგონა მილიონ დოლარად“. ფრანგული კინოაკადემიის საპატიო ლაურეატები გახდნენ პიერ რიშარი და ჰიუ გრანტი. სულ გაიცა 19 მცირე ქანდაკება „სეზარი“ – წოდება მისი შემქმნელი ფრანგი სკულპტორის სახელიდან მოდის.

ფილმი 11 სექტემბრის ტერაქტებზე

მრავალგზის ოსკაროსნის ოლივერ სთოუნის მტკიცებით, გადაწყვეტილება ფილმის, „მსოფლიო სავაჭრო ცენტრის“ გადაღების შესახებ (იმაზე, თუ როგორ მოახდინეს ისლამისტებმა ცნობილი ტერაქტი ნიუ-იორკშიძ არ ყოფილა პოლიტიკური მოტივებით გამოწვეული. რეჟისორი თავის მომავალ ლენტს რეპორტაჟად მოიხსენიებს იმ ორი ნიუიორკელი პოლიციის ოფიცრის ცხოვრებიდან ალებული 24 საათის თაობაზე, რომლებიც ტყუპი კოშკის ნანგრევებში მოექცნენ.

„ორივემ ეს 24 საათი ექსტრემალურ პიროებებში გაძლო. ჩემი სურათი იმის ფსიქოლოგიური გამოძიების ცდა გახლავთ, თუ როგორ მოახერხეს გადარჩენა“, – ამბობს სთოუნი. ფილმის გმირები სამ სხვა პოლიციელთან ერთად სამხრეთ კოშკში შედიან ჩამონგრევამდე ცოტა ხნით აღრე და ეს კოლეგები ილუპებიან...

ორ მთავარ როლს – სერჟანტი ჯონ მაძლაფლინი და რიგითი უილ ჰიმენო – ასრულებენ ნიკოლას ქეიჯი და მაიქლ პენია. გადაღებები ნიუ-იორკსა და ნიუ-ჯერსის შტატში მიმდინარეობდა, თუმცა მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ნანგრევები ჰოლივუდის სტუდიაში წარმოსახეს.

ფაქიზი საკითხია, მზადაა თუ არა ამერიკა და მსოფლიო ეკრანზე 11 სექტემბრის საშინელების სანახაობაში ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფრანგი კინომსახიობი ჟერარ დეპარდიე იყო. გაზეთმა „ფიგარომ“ ფრანგ კინოვარსკვლავთა ჰონორარების რეიტინგი გამოაქვეყნა. 2005 წელს დეპარდიე ოთხ კინოლენტში გადაილეს და 3,2 მილიონი ევრო გადაუხადეს.

სიაში მომდევნოა ჟან რენო – 2,3 მილიონი ევროთი. სამეულს ხურავს კრისტიან კლავიე. მსახიობი ქალები მამაკაცებზე ნაკლებ ჰონორარებს იღებენ. ეს ფაქტი ალბათ ბევრ ადამიანს ეკვირვებოდა, ოღონდ ეს ასეა. ბრიტანელ ლეგენდარულ ელიზაბეთ ტეილორს ერთ ფილმში ათამაშებენ ბრიტანელ, ამერიკელ, ფრანგ, ესპანელ, ბერძენ, ბელგიელ, ბრაზილიელ, ინდოელ, ბულგარ

◎ საეკლესიო კალენდარი

წმინდა მოწამე ძმები დავითი და ტარიჭანი

31 მაისს ქართული სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ძმებს დავითს და ტარიჭანს, რომლებიც ქართველ მეფეთა ნათესავნი იყვნენ.

დავითს და ტარიჭანს მამა ადრე გარდაეცვალათ. მათი მამული კი წარმართმა ბიძამ მიიტაცა. ძმების დედამ თაგინემ თავის უკეთურ ძმა-თევდოსს შეუთვალა: „სამკვიდრეებელი ესე შვილთა ჩემთანი და ყოველი მონაგები მათისა მამისაი კმა ეყავნ შენდა, ხოლო საფასოი იგი გამოუპარველი და სამკვიდრეებელი იგი მიულებელი მამისა მიერ ზეცათა-ისა და ღმრთისაი ვერ შემიძლოთ“.

... როდესაც დის შეუპოვროგა იხილა, თევდოსიმ გაგზავნა მსტოვრები. მან გაიგო, რომ ძმები მაღალ მთაზე აძოვებდნენ ცხვარს. წაიყვანა მეომრები და ტყეში ჩაუსაფრდა წმინდანებს... მთის წვერზე მოთამაშე ძმებს მეომრები ჩაუსაფრდნენ და მოკლეს.

... თაგინემ ტირილით მრისხანედ ამხილა ძმა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ძმამ მოინანია უმანკო დისწულების მოკვლა, მაშინ კი შეეცოდა ძმა და უფალს შეევედრა განეკურნა ამ მძიმე ცოდვის გამო დაგრმავებული თევდოსი. განკურნებულმა თევდოსმა შენდოგის შემდეგ ძმისწულთა სახელზე ეკლესია ააშენა.

კაცთმოყვარე ღმერთმა ყველას აუწყა ძმათა სიმწინდე და მოწამეობა – ღამით მათ ცხედრებს ნათელი დაადგა.

მოამზადა
გიული ლიპარტიამ

◎ დარია თუ ავდარია

ამინდი 31 მაისს

დასავლეთ საქართველოში – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +15⁰ – +22⁰, ღამით +9⁰ – +15⁰.

აღმოსავლეთ საქართველოში – მცირე მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: დღისით +12⁰ – +18⁰, ღამით +4⁰ – +12⁰.



თბილისში – ცვალებადი მოღრუბლულობა, ჰაერის ტემპერატურა: ღამით +15⁰ დღისით +28⁰.

ბათუმი – ღ. +17⁰, დ. +27⁰; სოხუმი – ღ. +16⁰, დ. +27⁰; ქუთაისი – ღ. +17⁰, დ. +28⁰, ოზურგეთი – ღ. +15⁰, დ. +28⁰, ზესტაფონი – ღ. +16⁰, დ. +25⁰; რუსთავი – ღ. +15⁰, დ. +28⁰, ფოთი – ღ. +17⁰, დ. +28⁰; მესტია – ღ. +14⁰, დ. +19⁰; სტეფანწმინდა – ღ. +14⁰, დ. +17⁰; თელავი – ღ. +14⁰, დ. +27⁰; გორი – ღ. +13⁰, დ. +24⁰; ახალციხე – ღ. +10⁰ დ. +19⁰; ბორჯომი – ღ. +12⁰, დ. +25⁰; ცხინვალი – ღ. +10⁰, დ. +21⁰; სამტრედია – ღ. +16⁰, დ. +30⁰; ზუგდიდი – ღ. +14⁰, დ. +29⁰; ჭიათურა – ღ. +14⁰, დ. +28⁰.

◎ ანეკდოტები

წამოყვინჩილებული მიხო თანატოლ მაროსთან მივიდა და ეუბნება:

– მარო, შეიძლება, რომ ძალად გამოგიყენო?

– უჰ, რა გარყვნილი აზრები გაქვს!

– ეს შენა გაქვს გარყვნილი აზრები, უბრალოდ, მინდოდა, რომ შენთვის ძალების ტუალეტიდან ჩემი გურთის გამოტანა მეთხოვა.

* * *

მიხო სახლში დაბრუნდა. კარებთან გახარებული ცოლი შეეგება:

– იცი, ჩვენს ნიკას პირველი კბილი ამოუვიდა.

– რა კარგია!

– პირველი ნაბიჯიც გადადგა!

– შესანიშნავია!

– მაგრამ პირველი ნაბიჯის გადადგმისას წაიქცა და თავისი პირველი კბილი დაკარგა, ხოლო ამ პირველი კბილის დაკარგვისას პირველი სიტყვაც წამოიძახა.

– ვენაცვალე ჩემს ვაუკაცს!

– მაგრამ ერთი მოგესმინა, რა სიტყვა წამოიძახა!

* * *

დიასახლისი ახალგაზრდა მოახლეს ეჩხუბება და დათხოვნით ემუქრება.

– თქვენი ქმარი კი სულ სხვა აზრისაა, ქალბატონო, მიაჩნია, რომ საუკეთესოდ ვამზადებ სადილს.

– წაეთრიე, აქ მე ვარ უფროსი!

– ამას გარდა საწოლშიც თქვენზე უკეთესი ვარ!

– იკბინება მოახლე.

– ესეც ჩემმა ქმარმა გითხრა?

– არა, თქვენმა მძღოლმა.

* * *

– ბიჭებო, წავიდეთ, დაშასთან კარტი ვითამაშოთ!

– ტანსაცმლის გახდაზე?

– შენ დაშა ნანახი გყავს? მასთან მხოლოდ ფულზე შეიძლება თამაში!

* * *

მეგობარი ის ადამიანია, რომელიც დანარჩენებზე ძვირად გაგყიდით.

◎ ლარის კურსი

31 მაისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები

ინგლისური გირვ. სტერლ.	1	3,3445 ლარი
აშშ დოლარი	1	1,7980 ლარი
ევრო	1	2,2916 ლარი
რუსული რუბლი	1	0,0664 ლარი.
აზერბაიჯანული მანათი	1	1,9978 ლარი.

◎ ყველაფერი ყველაფერზე

«ბეჭედი» სცენაზე მოხვდა

ტორონტოში „ბეჭდების მბრძანებლის“ თეატრალური ადაპტაციის პრემიერამ ჩაიარა. დადგმის რეჟისორია მეტიუ უორჩსი. გენდალფის როლში გამოდის კანადელი მსახიობი გრენთ ქარვერი, ფროდოს როლს ასრულებს ახალგაზრდა ბრიტანელი მსახიობი ჯეიმს ლიე, ხოლო მოგვს სარუმანს თამაშობს რიჩარდ მაკმილანი.

დამდგმელთათვის ერთ-ერთ ყველაზე დიდ პრობლემას შეადგენდა იმის აუცილებლობა, რომ რაც შეიძლება ზუსტად დაეცვათ თოფკინის ტექსტი: ერთის მხრივ, მისი თანყვანისმცემლების აღშფოთება რომ არ გამოეწვიათ, მეორეს მხრივ, კომერციული დადგმა საინტერესო გახადათ ნებისმიერი მაყურებლისათვის.

ყველაზე მთავარი ამოცანა კი ის იყო, რომ არავითარ შემთხვევაში არ იგრძნოგოდეს დადგმაში ჰოლივუდის იმ კინოვერსიის გავლენა, რომელმაც ცოტა „ოსკარი“ როდი მოიხვეჭა. „მე ამ ფილმის სრულიგნორირებაზე წავედი, მხოლოდ წიგნში მოცემულ აღწერებს ვეყრდნოგოდი“, – თქვა დამდგმელმა მხატვარმა როგ ჰაუელმა.

◎ ჰიპოკრატეს კუთხე

კოსმოსურ კვლევათა ევროპის სამმართველო (ESA) იუწყება, რომ ერთ-ერთმა ფრანგულმა კომპანიამ კოსმოსში ასტრონავტთა დასაცავად შემუშავებული კოსმოსური ტექნოლოგია წარმატებით მიუსადაგა დედამიწაზე ფრინველის გრიპის შესაძლო პანდემიასთან გრძოლას.

კოსმოსი ფრინველის გრიპის წინააღმდეგ

ბიოდაცვის სისტემას Plasmer **შეუძლია იმუნიტეტის არმქონე პაციენტებს ფრინველის გრიპის ვირუსისთვის წინააღმდეგობის გაწევაში დაეხმაროს, მას შეუძლია აგრეთვე ჰაერწვეთოვანი გზით გადამდები სხვა დაავადებების გამომწვევ მიკროგებთან გრძოლაშიც დაეხმაროს ადამიანებს.**

ESA აღნიშნავს, Plasmer-ის ტექნოლოგია მრავალსაფეხურიანი სისტემაა, რომელშიც გამოიყენება ძლიერი ელექტროველები და ცივპლაზმიანი კამერები კოსმოსური ხომალდის ბორტზე საჰაერო სივრცის ბიოლოგიური დეზაქტივიზაციისთვის. გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გაკეთებული ამ გამოყენების ნაწილი რუსეთის მეცნიერებს ეკუთვნის.

კომპანიამ AirinSpace ეს ტექნოლოგია გამოიყენა და მის საფუძველზე შექმნა დაცვის პორტატიული ბლოკი საავადმყოფოებში და საგანგებო სიტუაციებში გამოსაყენებლად. ლაპარაკია ადვილად დასაკეტ და ასევე ადვილად დასაშლელ სტერილურ პალატაზე. ამჟამად სპეციალისტები Plasmer-ის ტექნოლოგიის არასაავადმყოფოს პირობებში, მაგალითად, სამგზავრო ავიალაინერებისა და კერძო თვითმფრინავების ბორტზე, სამრეწველო საწარმოებსა და ჩვეულებრივ საცხოვრებელ სახლებში ტექნოლოგიის გამოყენების გაფართოებაზე მუშაობენ.

MIGnews.com

კარგი ამბები კვერცხების შესახებ



მოგეხსენებათ, ქოლესტერინით მდიდარი საკვები საფრთხეს უქმნის ჩვენს გულსა და სისხლძარღვებს. დიდი ხნის განმავლობაში ქათმის კვერცხი ქოლესტერინიანი საფრთხის განსახიერებას წარმოადგენდა. მაგრამ ბოლო დროის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ეს მოსაზრება ძალზე გაზვიადებულია.

კონეკტიკუტის (აშშ) უნივერსიტეტის მეცნიერებმა გამოიკვლიეს კვერცხის ჭამის ზეგავლენა საშუალო და უფროსი ასაკის მოხალისეებზე.

დადგინდა, რომ დღეში რამდენიმე კვერცხის ჭამა არ ზრდის სისხლში დაბალი სიმკვრივის ქოლესტერინის ჯანმრთელობისთვის საზიანო ფრაქციათა რაოდენობას.

ამასთან დაკავშირებით გულის, ფილტვებისა და სისხლის ეროვნულ ინსტიტუტს (აშშ) მიაჩნია, რომ კვირაში ოთხი კვერცხის გული ჯანმრთელობისთვის არასაზიანო დოზაა. საკმაოდ მოზრდილი ქათმის კვერცხში დღეში 200 მგ-ზე ნაკლები ქოლესტერინი შედის, სისხლში ქოლესტერინის სადღეღამისო რაოდენობა კი არ უნდა აღემატებოდეს 300 მგ-ს ყველა საკვები პროდუქტიდან.

ასე რომ, კვერცხთან დაკავშირებული ზოგი მითი გაქარწყლდა. მაგალითად, მითი იმის შესახებ, რომ არ შეიძლება კვირაში სამზე მეტი ქათმის კვერცხის ჭამა, რომ კვერცხის ჭამა იწვევს ყაგზობას და უფრო მეტიც – სკლეროზს.

Medafarm.ru

დედის თირკმელი – ქალიშვილს

მოსკოველმა ქირურგებმა გააკეთეს უნიკალური ოპერაცია – პაციენტ ქალს ერთდროულად ორი (!) ორგანო გადაუნერგეს. შაქრის დიაბეტით დაავადებულ ქალიშვილს თავისი კუჭქვეშა ჯირკვლის ნაწილი და ერთი თირკმელი უწილადა მშობელმა დედამ.

25 წლის პეტერბურგელი პაციენტი სამი წლიდან იყო შაქრის დიაბეტით დაავადებული. ინსულინის გამუდმებულმა ინექციებმა და ავადმყოფობის სხვადასხვა გართულებამ ცხოვრება ნამდვილ კოშმარად უქცია – არც სწავლა შეეძლო, არც მუშაობა. დროთა განმავლობაში დიაბეტმა თირკმლის უკმარობა განუვითარა და სხვა ნაკლებად სასიამოვნო პროცედურებს დიპლიაც დაემატა.

პაციენტს სასწრაფოდ სჭირდებოდა არა მხოლოდ კუჭქვეშა ჯირკვლის, არამედ თირკმლის გადანერგვაც. გაუმართლებელი ჩანდა ჯერ ერთი ოპერაციის, მერე მეორის შესრულება: ადრე თუ გვიან ერთ-ერთი გადანერგილი ორგანო თავს იჩენდა. ამრიგად, ექიმებმა ორივე ტრანსპლანტაციის განხორციელება ერთეტაპად გადაწყვიტეს. დონორი გახდა ავადმყოფის 47 წლის დედა.

დასტაქარმა მშობელს ჯერ კუჭქვეშა ჯირკვლის ნაწილი აართვა – ეგრეთწოდებული კუდი მიმდებარე სისხლძარღვებითურთულა. ფრაგმენტი მშვიდობიანად ჩაუსვა რეციპიენტს. ასევე წარმატებით ჩატარდა თირკმლის ტრანსპლანტაცია. ექიმების აზრით, ასეთი ძირეული ჩარევა დედის ჯანმრთელობას სულაც არ ავნებს, შვილს კი სრულფასოვანი სიცოცხლის შანსი უჩნდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ოთარ ტურაბელიძე

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობი 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.